ალექსანდრე კოტრიკაძის ფოტო



## გასაინძელმა მოგებით დაიწყო

გვ. 10




## იყიდება?

გვ. 3




შესარჩევი მატჩების წინათქმა გვ. 6

პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

8 ოქტომბერი **პარასკევი** 2010

№237 (13225) ფასი 60 თეთრი

# გამარჯვების დროა!

ლევან ჯაფარიძის ფოტო

გვ. 2




## ქეცბაიას თავისუფალი არჩევანი




## მალტისთვის ფრეც მოგების ტოლფასია



ფეხბურთი

### გუცაევმა კარპინი ანანიძეზე დაითანხმა

პრესკონფერენცია გვ. 4



ფეხბურთი

### კაკას მილანური არჩევანი

დაბრუნება? გვ. 7



ქართული ჭიდაობა

### ეროვნული სპორტით სპეკულირება?!

გამოხმაურება გვ. 11

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

● ევრო 2012 საქართველო-მალტა

# ქეცბაიას თავისუფალი არჩევანი



სასიამოვნო ამბით დავიწყოთ - მალტასთან მატჩის წინა დღეს საქართველოს ნაკრებში გამოძახებული 23-ივე ფეხბურთელი ჯანმრთელადაა. ვერც კი ვიხსენებთ, როდის იყო ბოლოს ასეთი შემთხვევა. ბუნებრივია, აქ არ ვგულისხმობთ იმ რამდენიმე მოთამაშეს, რომლებიც გუნდს რამდენიმე დღის წინ გამოაკლდნენ. მთავარი ისაა, რომ ყველა წამყვანი ფეხბურთელი მწყობრში გვყავს. მხოლოდ იმას შეგახსენებთ, რომ **უჩა ლობჟანიძე** წინა მატჩებში მიღებული გაფრთხილებების გამო დისკვალიფიცირებულია და უნდა ვივარაუდოთ, რომ მის არყოფნაში მალტელთა წინააღმდეგ საქართველოს ნაკრების დაცვის მარჯვენა ფლანგს **ლაშა სალუქვაძე** გაამაგრებს.

თუკი აქამდე **თემურ ქეცბაია** გუნდს „მიხეილ მესხზე" ავარჯიშებდა, გუშინ ქართველებმა მალტასთან შეხვედრის ჩატარების ადგილზე, ეროვნულ სტადიონზე გადაინაცვლეს. საბედნიეროდ, გადაუღებელი წვიმის შემდეგ გუშინ გამოიდარა და ალბათ ამიტომაც იყო, ბოლო წინასამალტო ვარჯიში წინებზე ხალისიანი რომ გამოდგა. ჩვენს ფეხბურთელებს აშკარად ეტყობოდათ კარგი განწყობილება, მაგრამ ამასთანავე, მოედანზე ბევრი ოფლი დაღვარეს. მწვრთნელების თითოეულ დავალებას საქართველოს ნაკრების წევრები უდიდესი მონდომებით ასრულებდნენ.

გუშინდელი ვარჯიში საღამოს 7 საათზე იყო დაგეგმილი, მაგრამ დათქმულზე რამდენიმე წუთით ადრე დაიწყო და საათნახევრამდე გასტანა. მეკარეები თავიდანვე **მამუკა აბუსერიძის** მეთვალყურეობის ქვეშ გადავიდნენ, დანარჩენები კი თავიდან სამად გაიყვნენ და „კვადრატი" ითამაშეს, რის შემდეგაც ვარჯიში უკვე ქეცბაიას ბერძენი ასისტენტის, ფიზმომზადების მწვრთნელ **მიხალის მიხალისის** ხელმძღვანელობით გაგრძელდა. ფეხბურთელები მის მითითებებსაც დიდი ენთუზიაზმით ასრულებდნენ.

ყველაზე საინტერესო კი ორმხრივი თამაში იყო, რომელიც ნახევარ მოედანზე, თერთმეტი-თერთმეტზე გაიმართა. შევეცადეთ, აქედან დღევანდელი მატჩისთვის სავარაუდო შემადგენლობა ამოგვეკითხა, მაგრამ ის ფეხბურთელები, რომლებიც ქეცბაიას წინა შეხვედრებში ძირითადში ჰყავდა გამწესებული, დაახლოებით თანაბრად იყვნენ გადანაწილებულნი. წინა ვარჯიშების მსგავსად, თამაში აქაც სწრაფ ტემპში მიმდინარეობდა. ქეცბაიას მითითებით, ფეხბურთელები ბურთს მხოლოდ სამ-სამჯერ ეხებოდნენ.

ჩვენების ეს ვარჯიშიც ღია იყო და ქართველმა გულშემატკივრებმა ეს შესაძლებლობა გამოიყენეს. ნაკრების წვრთნას უამრავი ქომაგი დაესწრო.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ საქართველო-მალტის მატჩი დღეს, ეროვნულ სტადიონზე 21 საათზე დაიწყება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ალექსანდრე იაშვილი ...სხვა შედეგი უნდა გამოვრიცხოთ

თავდამსხმელი ალექსანდრე იაშვილი ნაკრებს მცირედი ტრავმით შეუერთდა. „კარლსრუეს" ფორვარდმა კლუბში ბოლოს ჩატარებული მატჩი გამოტოვა. თუმცა, როგორც გამოჩნდა საგანგაშო არაფერია. მიმდინარე შესარჩევ ციკლში, ჯერჯერობით ერთადერთი ქართული გოლის ავტორი იაშვილი მწყობრშია და გუნდთან ერთად ემზადება მალტასთან მატჩისთვის. როგორც გულშემატკივარი და სპეციალისტები, პარასკევის მატჩში ისიც მოგებას ელის.

საინტერესოა თუ რას ფიქრობს ნაკრების ერთ-ერთი სტაჟიანი წევრი მოახლოებულ თამაშზე. მალტასთან მატჩზე, სანაკრებო და საკლუბო თემაზე ალექსანდრე იაშვილს ვესაუბრეთ.

**- „კარლსრუეში" ბოლო ტურის მატჩი ტრავმის გამო გამოტოვეთ. ახლა როგორ გრძნობთ თავს?**

- კუნთი მქონდა დაჭიმული და სანაკრებო პაუზამდე ჩატარებულ მატჩში რომ მეთამაშა დიდი ალბათობა იყო ტრავმა გამიზეზებულიყო. მწვრთნელს ვითარება ავუხსენი, გაგებით მოეკიდა ჩემს მდგომარეობას და ამიტომაც გამოვტოვე ის მატჩი. გერმანიაში ექიმს ვაჩვენე ჩემი ტრავმა და დამაიმედა. ახლა ბევრად უკეთ ვარ. ნაკრებში სრული დატვირთვით ვვარჯიშობ.

**- ესე იგი, მალტასთან თამაშს შეძლებთ?**

- კი, ჩემთვის ეს პრობლემა არ იქნება. თუ ვინ იქნება სასტარტოში, ამას უკვე ნაკრების თავკაცი თემურ ქეცბაია გადაწყვეტს.

**- მართალია მალტა ჯგუფში ბოლო ადგილზეა და უქულოდ არის, მაგრამ აუტსაიდერად კუნძულელთა ჩათვლა მაინც არ უნდა იყოს გამართლებული. მით უმეტეს, მალტელებმა შარშან მოგვიგეს. მეტოქეზე რას ფიქრობთ?**

- მალტას აუტსაიდერად არ ვთვლით და სათანადოდ ვაფასებთ მეტოქეს. ერთი სიტყვით, მოწინააღმდეგეს პატივს ვცემთ, მაგრამ ეს შეხვედრა უნდა მოვიგოთ. მით უმეტეს, შინ ვთამაშობთ.

**- ნაკრების თავკაცმა პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ მალტასთან მატჩში მოგების გარდა სხვა შედეგი არ დააკმაყოფილებს. გულშემატკივარიც შესარჩევში პირველ მოგებას სწორედ პარასკევის თამაშში ელის...**

- მეც სწორედ ამ აზრის ვარ და ნაკრებში გამოძახებული ყველა ფეხბურთელი ასე ფიქრობს. რადაც არ უნდა დაგვიჯდეს ეს თამაში უნდა მოვიგოთ. პარასკევის მატჩში გამარჯვება ლატვიაში თამაშის წინ, ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც დიდი სტიმული იქნება. ერთი სიტყვით, მალტას უნდა მოვუგოთ და ჩვენი გულშემატკივარი გავახაროთ. ასე რომ, მხოლოდ მოგება, სხვა შედეგი უნდა გამოვრიცხოთ.

**- სპეციალისტების შეფასება ასეთია - ჩვენი ნაკრების დაცვაში დალაგებულია საქმე. ახლა ჯერი შეტევაზეა. უფრო მწვავედ და ორგანიზებულად უნდა შევუტიოთ მეტოქეს და საგოლე მომენტების რეალიზებაც უნდა გავაუმჯობესოთ. ამაზე რა აზრის ხართ?**

- სამუშაო ყველა რგოლშია. წინა მატჩებში ჩვენი მიზანი იყო მთელ გუნდს ეზრუნა ჩვენი კარის უსაფრთხოებაზე. ფეხბურთი გუნდური თამაშია და მხოლოდ 4 მცველს გაუჭირდება კარის მშრალად შენახვა. ეს ამოცანა კარგად შევასრულეთ. მალტასთან მატჩში, ალბათ ახალი ამოცანის წინაშე დავდგებით - მთელმა გუნდმა ბალანსირებულად ვითამაშოთ. დაცვაშიც საიმედოდ გავისარჯოთ და შეტევაშიც მწვავედ ვიმოქმედოთ. იმედი მაქვს, ამ ამოცანასაც კარგად შევასრულებთ.

**- ისრაელის ნაკრების თამაში თუ ნახეთ და მეტოქეზე რა წარმოდგენის ხართ?**

- ისრაელი-მალტის დაპირისპირება ვნახეთ. ერთი რამ შემიძლია ვთქვა - მეტოქეზე საკმაო წარმოდგენა გვაქვს. ჩემი აზრით, მთავარია ჩვენი ვუჩვენოთ, ისე როგორც ქართველებს გვჩვევია. მჯერა ამას მოვახერხებთ და ამ თამაშს მოვიგებთ.

**- ისევ კლუბზე ვისაუბროთ. მეორე ბუნდესლიგაში 7 ტური მიილია და „კარლსრუეს" საქმე დაგეგმილივით ვერ უნდა მიდიოდეს. მიმდინარე სეზონში რა მიზნისთვის იბრძვით?**



- სეზონის წინ მთავარ ბუნდესლიგაში დაბრუნება დავისახეთ მიზნად. ჯერ მხოლოდ 7 ტურია გასული. სათანადოდ ვერ ავეწყო საქმე, ქულების დათმობა მოგვიწია, მაგრამ ჯერ კიდევ არაფერია დაკარგული და ვნახოთ.

**- ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელი რევაზ ბარაბაძე „კარლსრუეში" იყო ტესტირებაზე, მაგრამ მისი ტრანსფერი არ შედგა. რა მოხდა?**

- ბარაბაძეს სათამაშო პრაქტიკის არქონა ეტყობოდა, მაგრამ მწვრთნელებმა მაინც დაინახეს მისი შესაძლებლობები. იყო შანსი ტრანსფერი შედგარიყო, მაგრამ, რამდენადაც ვიცი, მხარეები პირობებზე ვერ შეთანხმდნენ.

**- „კარლსრუესთან" საკონტრაქტო ვადა 2 წლის შემდეგ გიმთავრდებათ. ხელშეკრულების თანახმად, ამ ვადის ამოწურვის შემდეგ ამავე გუნდში დარჩებით სამუშაოდ. ხომ არ გადაგიწყვეტიათ რაზე იმუშავებთ მწვრთნელად თუ სხვა პროფილით?**

- ამ ორი წლის განმავლობაში ჩემი უმთავრესი მიზანია კარგად ვითამაშო და გუნდს დიდი სარგებელი მოვუტანო. მერე რას ვიზამ და რა პოსტზე ვიმუშავებ, ეს ჯერ არ გადამიწყვეტია. გაივლის ეს 2 წელი და ვნახოთ.

**დავით ცაბაძე**

# მალტისთვის ფრე გამარჯვების ტოლფასია




საქართველოს ნაკრების ვარჯიშის დასრულების შემდეგ უკვე მალტელთა ჯერი დადგა. სტუმრები ეროვნული სტადიონის გაზონზე ზუსტად დღევანდელი თამაშის დაწყების დროს, ანუ საღამოს 9 საათზე გავიდნენ. ვერ დავიჟინებთ, რომ მალტის ნაკრების სრული წვრთნის ხილვა ძალიან გვსურდა, არც ის ვიცით, ასეთი რა ჰქონდათ დასამალი, მაგრამ ფაქტია, რომ კუნძულელებმა თბილისში ჩატარებული ყველა ვარჯიში უცხო თვალისთვის საწყისი 15 წუთის შემდეგ დახურეს.

**რაკი ამ პერიოდის განმავლობაში განსაკუთრებული არაფერი გვინახავს, პირდაპირ პრესკონფერენციაზე გადავინაცვლოთ, რომელიც „ბორის პაიჭაძეზე" მალტის ეროვნული გუნდის ვარჯიშამდე გაიმართა და ჩვენ წინაშე სტუმართა თავკაცი ჯონ ბუტიგეგი და მათი ყველაზე ცნობილი ფეხბურთელი, თავის დროზე გერმანულ „კაიზერსლაუტერნში" ნათამაშები მაიკლ მიფსუდი წარდგნენ.**

ჯონ ბუტიგეგი:

- ამ მატჩს მოუთმენლად ველით. წყვილის უდავო ფავორიტი, რა თქმა უნდა, საქართველოს ნაკრებია, მაგრამ წარმატების იმედი მაინც გვაქვს. გულის სიღრმეში ყოველთვის გამარჯვებაზე ვფიქრობთ, მაგრამ რეალობას ობიექტურად ვუყურებთ და ჩვენთვის ფრე გამარჯვების ტოლფასი იქნება.

**- მალტასა და საქართველოს შორის შარშან გამართული მატჩის შემდეგ თქვენს გუნდში ბევრი რამ შეიცვალა?**

- მას შემდეგ წელიწადი გავიდა და ჩვენი ნაკრების შემადგენლობა გარკვეულწილად მართლაც შეიცვალა.

**- როგორი წარმოდგენა გაქვთ საქართველოს ნაკრებზე და ვის გამოარჩევდით ამ გუნდის შემადგენლობიდან?**

- საქართველოს ჰყავს კალაძე და სხვა ძლიერი გამოცდილი ფეხბურთელები, მაგრამ მე განსაკუთრებულ საფრთხეს იმ ახალგაზრდებისგან ველი, რომელიც საქართველოს ნაკრებში სულ ახლახან დამკვიდრდნენ და მისთვის უკვე დიდ ძალას წარმოადგენენ.

ბუტიგეგს შვედმა ჟურნალისტმა ჰკითხა, გაქვთ თუ არა ჯგუფიდან გასვლის იმედიო, მალტელთა დამრიგებელმა კი მას კითხვა შეუბრუნა, ამას სერიოზულად მეკითხებითო? დადებითი პასუხის მოსმენის შემდეგ კი თქვა, რომ მალტისნაირ პატარა ქვეყანას ფინალურ ეტაპზე გასვლის იმედი არ უნდა ჰქონდესო.

მაიკლ მიფსუდი:

**- როგორ აფასებთ მალტის ნაკრების მიერ ჩატარებულ ბოლო მატჩებს?**

- ისრაელთან ძალიან ცუდად ვითამაშეთ და სამართლიანად დავმარცხდით, აი ლატვიასთან კი ურიგოდ არ გამოვიყურებოდით და შეგვეძლო, ფრისთვის მაინც მიგვეღწია.

**- რამდენი ხანი გაგრძელდება თქვენი უკლუბოდ ყოფნა?**

- ამჟამად მხოლოდ ნაკრების შეხვედრებზე ვარ კონცენტრირებული, რის შემდეგაც ამ პრობლემას აუცილებლად მოვაგვარებ.

მალტელმა ჟურნალისტებმა საკუთარი ქვეყნის ნაკრების ის სავარაუდო შემადგენლობა გვითხრეს, რომელსაც ბუტიგეგი დღეს ჩვენს წინააღმდეგ ათამაშებს: **ჰოგი - ერერა, კარუანა, აგიუსი, მამო - ბრიფა, პეისი, პენეჩი, ბაიადა - შემბრი - მიფსუდი.**

ზემოთ შვედი ჟურნალისტები ვახსენეთ და ცოტა უცნაურად მოგვეჩვენა, **რიქარდ ოდოგრიპი** და **კამილა კვარნტოპი** საკონფერენციო დარბაზში სამ მალტელ კოლეგასთან ერთად რომ ვიხილეთ. როგორც გავარკვიეთ, სკანდინავიური წყვილი თბილისში პირად საქმეზე ჩამოსულა, მაგრამ ამასთანავე, საქართველო-მალტის მატჩის სრულყოფილად გაშუქებაც გადაუწყვეტია. ამაზე მეტად კი ისინი ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის შეხვედრებით არიან დაინტერესებულნი. ალბათ მიხვდით, თბილისში ჩასატარებელ ჯგუფის შეხვედრებს ვგულისხმობთ, რომელიც 18 ოქტომბერს დაიწყება და ჩვენი ერთ-ერთი მეტოქე შვედეთი იქნება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ავტორის ფოტო

**F ჯგუფი**

**დღეს**

22:45 საბერძნეთი-ლატვია

**9 ოქტომბერი**

23:05 ისრაელი-ხორვატია

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ხორვატია | 2 | 1 | 1 | 0 | 3-0 | 4 |
| 2. ისრაელი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 3. ლატვია | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 4. საქართველო | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 5. საბერძნეთი | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 6. მალტა | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

მედია პალიტრის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ინფრასტრუქტურა



# ეროვნული სტადიონი იყიდება?

გემახსოვრებათ, 2009 წელს მოლდოვის ნაკრებთან წაგებით აღშფოთებული მაყურებელი ტრიბუნებს რომ დაერია. ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. შემდეგ იყო ესტონეთთან შეხვედრა და სტადიონის დირექციამ დათვალა, რომ სულ 5 000 სკამი იყო დამტვრეული, ანუ იმდენი, რამდენიც ზესტაფონის სტადიონს სჭირდება...

*„დაახლოებით 5 ათასამდე ახალი სკამი დავამონტაჟეთ, კიდევ 8 ათასი ჩვენ მიერ შემუშავებული ტექნოლოგიით მყარად დავამაგრეთ, რომელიც დატვირთვებს კარგად უძლებს. რიგების ნუმერაციაც გავაუმჯობესეთ და მაყურებელი ადგილს ადვილად მიაგნებს. სხვათა შორის, ისრაელის ნაკრებთან მატჩის შემდეგ სკამების მასობრივი დაზიანება თავიდან ავიცილეთ - მაქსიმუმ 30 სკამი დაზიანდა. რაც საფეხბურთო მატჩის შემდეგ ჩვეულებრივი მოვლენაა. ეს ბოლო წლებში პირველად მოხდა“*, - ამბობს სტადიონის გენერალური დირექტორი **სანდრო შახოვი**.

საქართველო-მალტის მატჩამდე გულშემატკივრისთვის საინტერესო უნდა იყოს, რა მდგომარეობაშია ეროვნული სტადიონის საფარი. ამის გასაგებად მინდორი საგანგებოდ მოვინახულეთ - ბალახი გაიშვიათებულია და საკმაოდ სუსტად აქვს ფეხი მოკიდებული, მაგრამ ასე იყო თავიდანვე და ახლა მისი გაუმჯობესება თუ მოხერხდება, თორემ იდეალური მაინც ვერ გახდება. 10 დღეა სტადიონის ხელმძღვანელობა მინდორს დღე და ღამე უვლის, თუმცა ყველა აღიარებს, რომ საფარს შეცვლა სჭირდება.

*„საფარი ხუთი წლისაა და ბუნებრივია, შელახულია. მისი ხარისხის გაუმჯობესება ჩვენზე მეტად არავის უნდა. კარგია, ყოველ წელს იცვლებოდეს, მაგრამ ეს დიდ თანხებთანაა დაკავშირებული, რაც იოლად არ იშოვება. საკითხი განიხილება და სავარაუდოდ, საფარი შეიცვლება. თუმცა მასზე თამაში ჯერ კიდევ შეიძლება“*, - გვითხრა სტადიონის დირექტორმა.

ამას გარდა, ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ შესაძლოა, მალე ეროვნული სტადიონი ახალი მეპატრონის ხელში გადავიდეს. შახოვი ამის თაობაზე არაფერს უწყის. ამჟამად, სტადიონი თბილისის მერიის ბალანსზეა. მერია დაინტერესებულია, ქვეყნის მთავარი სტადიონი კერძო მეპატრონეს გადააბაროს - ამით სახელმწიფოს ხარჯი შეუმცირდება. კულუარებში დაინტერესებულ კომპანიად „ქიათურმანგანუმს“ ასახელებენ, თუმცა საკითხი ჯერ გაურკვეველია და არავინ იცის, როდის გადაწყდება - საქართველოში სპორტული ობიექტების გასხვისება საკმაოდ რთული პროცესია, რასაც „ლოკომოტივის“ სტადიონის ბოლო სამი წლის ისტორიაც ადასტურებს.

**მერაბ მამულაშვილი**

U 19

## გიორგი ჭანტურია

# არაფერია, ამ ორ თვესაც მოვითმენ...

**გურამ კაშია საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების თავდამსხმელ გიორგი ჭანტურიას არ იცნობდა - პირველად არნემში შეხვდა. ხანმოკლე ნაცნობობის მიუხედავად, კაშია გაოცებული დარჩა 17 წლის ფორვარდის ნიჭით და საგოლე ალღოთი. როგორც გურამმა გვითხრა, გიორგი ყველა ვარჯიშზე, „ორკარასა“ თუ საკონტროლო მატჩში მწვრთნელებსა და ფეხბურთელებს აოცებს - გოლი გოლზე გააქვს. 19-წლამდელთა შეკრებაზე ჩამოსულ ჭანტურიას ინტერვიუ ვთხოვეთ...**

**- გიორგი, მარტო ვარჯიშებით ფორმის შენარჩუნება რთულია.**

- რა თქმა უნდა, რთულია, მაგრამ მე, „ვიტესის“ მწვრთნელი და ვფიქრობ, ქართველი გულშემატკივარიც ელოდება იანვარს, როდესაც თამაშს დავიწყებ. სადაც ამდენი გავიჭირვე და მოვითმინე, იანვრამდე რაღა დარჩა? სულ რაღაც ორი თვე და ამ დროსაც რამენაირად გადავიტან. მერე კი, შევეცდები, რაც შემეძლება, ყველაფერი გავაკეთო ჯერ ქართული ფეხბურთისა და მისი გულშემატკივრისთვის, მერე კი „ვიტესისთვის“. ძალიან მინდა, სანამ მე იქ ვიქნები, „ვიტესი“ დიდი გუნდი და ყველასთვის ანგარიშგასაწევი ძალა გახდეს. არნემშიც ვვარჯიშობ, ახლა უკვე 19-წლამდელებშიც და არ გავჩერებულვარ. იმედია, ყველა იურიდიული პრობლემა მოგვარდება და მერე ჩავირიცხები.

**- ნაკრებშიც პრობლემები შეგექმნათ. ჩეხეთის ელიტრაუნდში დისკვალიფიკაციის გამო მხოლოდ ბოლო მატჩში თუ შეძლებთ თამაშს...**

- მთავარია, ნაკრებს დავეხმარო. ერთი შეხვედრა იქნება თუ სამი, მნიშვნელობა არ აქვს.

**- მომავალ მეტოქეებზე რაიმე ინფორმაციას თუ ფლობთ?**

- არაფერი არ ვიცი, მაგრამ 19-წლამდელთა ნაკრებების დონე უკვე საკმაოდ მაღალია. პორტუგალიელებს ყოველთვის და ყველა ასაკში ძლიერი ნაკრებები ჰყავთ. ბერძნები ბრძოლისუნარიანობით გამოირჩევიან. შედარებით სუსტი თითქოს აზერბაიჯანელები უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ ბრაზილიელები დაიმატეს და ალბათ, გაძლიერდნენ. ბიჭები კარგად ვემზადებით და მართალია, პირველ ორ შეხვედრას გამოვტოვებ, მაგრამ გუნდს წარმატებას ვუსურვებ. ღმერთმა ქნას, რომ მესამე შეხვედრას გადამწყვეტი მნიშვნელობა აღარ ჰქონდეს. და თუ ასეთი მნიშვნელობის იქნება, მე ყველაფერს ვიზამ იმისთვის, რომ ელიტრაუნდში გავიდეთ და ქართველი ხალხი გავახაროთ.

**- გურამ კაშიას ჩასვლის შემდეგ „ვიტესს“ გოლი აღარ გაუშვია. ეტყობა, ის გუნდს კარგად შეეწყო...**

- ძალიან კარგი ფეხბურთელი და ადამიანია. ჰოლანდიამდე მე არც ვიცნობდი, არანაირი ურთიერთობა არ მქონია, მაგრამ ძალიან მცირე ხანში იმდენი მოახერხა, ძმასავით შემიყვარდა. ასე მგონია, ბავშვობიდან ერთად მოვდივართ. რაც შეეხება მის ფეხბურთელობას, ეჭვი მეპარება, მისი დონის ცენტრალური მცველი ბევრი გვყავდეს. შესაძლოა, ნაკრებში თამაშს ბევრი იმსახურებს, მაგრამ მათ შორის გურამს გამორჩეული მგონია. დარწმუნებული ვარ, კაშია თავის სიტყვას მალე იტყვის და დაამტკიცებს, რომ ეროვნულში მოხვედრის ღირსია. ჰოლანდიაში ყველა ამბობს, რომ კაშია მერაბ ჟორდანიას ტყუილად არ ჩაუყვანია. პირველივე შეხვედრის შემდეგ, ტურის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა. მართალს ამბობთ, ძირითადში მისი დაყენების შემდეგ, „ვიტესს“ ბურთი არ გაუშვია.

არადა, როგორია, კაცი თბილისის „დინამოდან“ წავიდა, ევროპაში საერთოდ არ უთამაშია და ჰოლანდიის ჩემპიონატში სადებიუტო შეხვედრაში საერთოდ არ უნერვიულია. უკვე ჰოლანდიელებიც ამბობენ, რომ არნემში ძალიან მაღალი კლასის მცველი ჩაიყვანეს.

**მერაბ მამულაშვილი**




ტელეფეხბურთი

## ტორპედო-ზესტაფონით

# აღდგება...

## ფეხბურთი და ტელევიზია კომერციულ საწყისებზე უნდა თანამშრომლობდნენ

**ორიოდე დღის წინ პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრესატაშე მიხეილ აბაიშვილის კომენტარი შემოგთავაზეთ, სადაც ის ამბობდა, რომ პროფესიული ფეხბურთის ლიგის გენერალური მდივანი პაატა ბურჯალიანი „პირველი არხის“ ხელმძღვანელ გია ჭანტურიას ესაუბრა და ისინი შეთანხმდნენ - სანაკრებო მატჩების შემდეგ, მეორე წრიდან, „პირველ არხზე“ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის რეპორტაჟები და მიმოხილვა აღდგებოდა. ითქვა ისიც, რომ ტექნიკური საკითხების დაზუსტების შემდეგ შეთანხმებას ხელი მალე მოეწერებოდა.**

**თუმცა ამის შემდეგ გავრცელდა კომენტარი, თითქოს, არანაირი შეთანხმება არ ყოფილა. აბაიშვილმა გუშინ ეს ამბავი კიდევ ერთხელ დაგვიდასტურა: „შეთანხმება მიღწეულია და კონტრაქტი მალე გაფორმდება. როგორც ვიცი, 17 ოქტომბერს ქუთაისიდან „ტორპედო“-“ზესტაფონის“ მატჩის ტრანსლაცია „პირველი არხის“ საეთერო ბადეშია ჩასმული. საკითხი უშუალოდ საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურ დირექტორ გია ჭანტურიასთანაა შეთანხმებული, ისევე, როგორც ყველა შემდეგი ტურის ცენტრალური შეხვედრის რეპორტაჟის ჩვენება. ამას გარდა, ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვაც უნდა აღდგეს, რომელიც ყოველ ორშაბათს 22:00 საათზე გადიოდა“.**

***„ჭანტურიას ვითარებიდან გამოსავალზე დაველაპარაკე, რომ დეკემბრამდე რეპორტაჟები უნდა გასულიყო. გულშემატკივრები შეწუხებულები არიან, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ გიორგი ვითარებას არავიზე ნაკლებად არ განიცდიდა. საბოლოოდ, ფედერაცია, ლიგა და „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ შევთანხმდით, რადგან საერთო ენის გამონახვა არ გაგვჭირვებია. ასე რომ, „პირველი არხი“ უკვე 17 ოქტომბერს ქუთაისიდან პირველ რეპორტაჟს შემოგვთავაზებს. „ტორპედო“-“ზესტაფონის“ მატჩი ძალიან საინტერესო იმერული დერბია, ხალხი იქნება და დარწმუნებული ვარ, მას ტელემაყურებელიც სიამოვნებით მიადევნებს თვალს“, - თქვა პროფესიული ფეხბურთის ლიგის გენერალურმა მდივანმა პაატა ბურჯალიანმა, რომელმაც „პირველ არხთან“ მოლაპარაკებები წარმატებით დააგვირგვინა.***

***კომენტარისთვის „პირველი არხის გენერალურ დირექტორ გია ჭანტურიას დავუკავშირდით.***

**- ბატონო გია, როგორც გავიგეთ, „პირველმა არხმა“ ეროვნული ჩემპიონატის რეპორტაჟები აღადგინა...**

- დიახ, ეს უკვე გადაწყვეტილია. ლიგის გენერალურ მდივან პაატა ბურჯალიანს ველაპარაკე და შევთანხმდით. უკვე ვამზადებთ ხელშეკრულებას, რადგან სწრაფად გვინდა პროექტის აღდგენა. ჩვენ გვსურდა, მთელ მსოფლიოში აპრობირებული სქემის ამუშავება, სადაც ფეხბურთი, სარეკლამო ბაზარი და შემოსავლის წყარო გაიგივებულია. არავინაა ვალდებული, უფასოდ რაიმე გააკეთოს. ზოგადად ფეხბურთს კომერციალიზაცია სჭირდება და მხოლოდ ასეთ შემთხვევაში განვითარდება. ეს ჩვენი მოგონილი არ არის, ასეა მთელ მსოფლიოში... სხვათა შორის, მედიაკომპანია „კოლხიდამ“ ეროვნული პირველობის გაშუქება რომ დაიწყო, გადაცემის ხარჯებს გვინაზღაურებდა, სამაგიეროდ, სარეკლამო შემოსავლებს თავად იტოვებდა. ახლაც მოლაპარაკება სწორედ ამის თაობაზე გვქონდა - ან ჩვენი იქნებოდა რეპორტაჟების ხარჯები და მათი - სარეკლამო შემოსავლები, ან პირიქით. ლიგა მოლაპარაკებებს კომერციულ არხებთანაც აწარმოებდა, მაგრამ ჩემი აზრით, ჩემპიონატის გაშუქება „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“ სჯობდა. ბურჯალიანთან შევთანხმდით, რომ დეკემბრამდე რეპორტაჟებს აღვადგენთ, ამის შემდეგ კი სამომავლო ურთიერთობებზე დავილაპარაკებ. შეთანხმების მიხედვით, სარეკლამო შემოსავლები დარჩება „საზოგადოებრივ მაუწყებელს“, ისინი კი რეპორტაჟების ხარჯებს საკუთარ თავზე აიღებენ. ეს გადაწყვეტილება იმიტომ მივიღეთ, რომ ფეხბურთის განვითარებას ხელი უნდა შევუწყოთ. დარწმუნებული ვარ, ეს პროექტი იმუშავებს, სამომავლოდ კი ეროვნული ჩემპიონატისა და ფეხბურთის გაშუქების უფრო მაღალ საფეხურზე აყვანა გვინდა, მაყურებლისთვის რაც შეიძლება მიმზიდველი და ყურებადი რომ გავხადოთ. თუმცა თავისთავად ცხადია, რომ მხოლოდ ჩვენი მონდომება საკმარისი არ იქნება, კლუბებმაც უნდა შეგვიწყონ ხელი. სხვათა შორის, თავის დროზე რეპორტაჟებმა და მიმოხილვამ თავისი როლი შეასრულა და ეროვნული ჩემპიონატის პოპულარობა გაიზარდა. წელს ძალიან საინტერესო ჩემპიონატი მიმდინარეობს, რაც უმაღლეს ლიგაში ქუთაისის „ტორპედოს“ დაბრუნებამ განაპირობა. ეს გუნდი მაყურებელში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა და ძალიან ვწუხვარ, ხალხს ბევრი ისეთი შეხვედრის ყურების საშუალება რომ არ მიეცა, გადაჭედილი ტრიბუნების თანხლებით რომ ჩატარდა.




გია ჭანტურია

**- ეროვნული ჩემპიონატი საფეხბურთო სამყაროს პროდუქტია და ფედერაციაში გაოცებულები იყვნენ, რომ რეპორტაჟებში ტელევიზიები ფულს ითხოვდნენ.**

- ტელევიზიამ პროდუქტი უნდა იყიდოს, პროდუქტი კი ყურებადი უნდა იყოს. სამწუხაროდ, ჯერ ასეთი ურთიერთობები არ ჩამოყალიბებულა, ეროვნული ჩემპიონატი რეიტინგული არ არის და ამის გამო, გარკვეულ დათმობებზე წასვლა გვიწევს. თუმცა, ადრე თუ გვიან, მთელ მსოფლიოში დამკვიდრებული ურთიერთობები ჩვენთანაც უნდა დამკვიდრდეს და ქართული ფეხბურთისა და ტელევიზიების ურთიერთობები კომერციულ საწყისზე გადავიდეს - ანუ, ტელევიზია ყიდულობს რეპორტაჟის უფლებას და ამ ხარჯს სარეკლამო შემოსავლებით აბალანსებს. შესაძლოა, პროფესიული ფეხბურთის ლიგასთან მიღწეული შეთანხმება ახალი სქემის აწყობის საფუძველი გახდეს.

**- თუკი ეროვნული ჩემპიონატის გაშუქება გსურდათ, რეპორტაჟებს აქამდე რატომ არ გადასცემდით?**

- ფიზიკურად ვერ შევძლებდით, რადგან „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ დადგენილი ბიუჯეტი აქვს, რომელსაც ვერაფრის დიდებით ვერ შევცვლიდით. დეკემბრის ბოლომდე კი შესაძლებელი გახდა რეპორტაჟების განახლება. ასე რომ, გულშემატკივარი დაამშვიდეთ - „პირველი არხი“ რეპორტაჟებს განაახლებს!

**მერაბ მამულაშვილი**

ქართული ფეხბურთი

ს 19. ვლადიმერ გუცაევის პრესკონფერენცია

# გუცაევმა კარპინი ანანიძეზე დაითანხმა

**სამ დღეში საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის ჯგუფურ რაუნდში ჩაებმება. ვლადიმერ გუცაევის გუნდმა დასკვნითი მოსამზადებელი შეკრება დაასრულა. პორტუგალიაში გამგზავრებამდე ჭაბუკთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვლადიმერ გუცაევმა შემაჯამებელი პრესკონფერენცია გამართა...**

## მომზადების დონე

*„ესპანეთში გვინდოდა დასკვნითი მოსამზადებელი შეკრების ჩატარება, მაგრამ გარკვეულ მიზეზთა გამო არ მოხერხდა. შესაბამისად, 5-6 დღის განმავლობაში თბილისში ვემზადებოდით და ერთი საკონტროლო შეხვედრაც გავმართეთ, „გაგრა“ 4:1 დავამარცხეთ. შესაძლებლობის ფარგლებში ნორმალურად მოვემზადეთ. თუმცა ტრავმების გამო ფეხბურთელები გამოგვაკლდნენ. „ემპოლის“ თავდამსხმელ ირაკლი შეყილაძე გამოვიძახეთ, მაგრამ დაშავდა. შეყილაძეს ტელეფონით ვესაუბრე. მას მუხლის ტრავმა აწუხებს და პორტუგალიაში ვერ დაგვეხმარება. „ანჟის“ ფორვარდი გიორგი ილურიძეც მოვიწვიეთ, ჩამოვიდა კიდეც, მაგრამ ისიც დაშავებულია. კოჭის ტრავმა აქვს და მისი თამაშიც გამორიცხულია. წლის დასაწყისიდან მოყოლებული რამდენიმე მოსამზადებელი შეკრება გვქონდა. ჩვენი ნაკრებისთვის ასაკით შესაფერისი ფეხბურთელები გამოვცადეთ. ისეთი მოთამაშეებიც იყვნენ, რომელთა საქმეში ნახვა ბოლოს მოვახერხეთ - მაგალითად, ცსკა-ში მოასპარეზე ნიკა ძალამიძე. ფიფას მიერ გამოცხადებულ სათამაშო დღეებში ის ხან 21-წლამდელთა ნაკრებში იყო გამოძახებული, ხან ტრავმა აწუხებდა. სხვა თარიღებში შეკრებისას კი არმიული კლუბის ხელმძღვანელობამ არ დაგვითმო. ამჯერად ძალამიძე თბილისურ შეკრებაზე გვყავდა და ისიც გამოვცადეთ“.*

## ძალამიძის ტრავმა

„გაგრის“ ახალგაზრდა მოთამაშეებმა ძალზე მოინდომეს, მით უმეტეს ნაკრებს ეთამაშებოდნენ. ერთ-ერთი ორთაბრძოლისას ძალამიძე დაშავდა და სპეციალურად შევცვალეთ, ტრავმის გამიზეზებას მოვერიდეთ. ძალამიძის ტრავმა სერიოზული არ არის. დღეს დავასვენეთ და ხვალ გუნდთან ერთად ივარჯიშებს“.

## მხოლოდ ერთი თავდამსხმელი?

*„არა, რატომ მხოლოდ ჩაფიძის ამარად? ჯერ კიდევ ბელარუსის შეკრებასა და იქ გამართულ ორ მატჩში თორნიკე ოქრიაშვილი თავდამსხმელად ვათამაშეთ და კარგადაც წარმოჩნდა. ასე რომ, ოქრიაშვილსაც თავდამსხმელად განვიხილავთ“.*

## გულის პრობლემა

„გუნდში ასეთი წესი გვაქვს. მოსამზადებელი შეკრებისას ფეხბურთელებს ყოველ დილით ვწონით, პულსსა და წნევას ვუზომავთ. გუშინ დილით სიხარულიას მაღალი წნევა აღმოაჩნდა. სპორტული პროფილის სამედიცინო კლინიკაში, ვალერი ახალკაცთან გავუშვით გამოკვლევისთვის. მას გულზე პრობლემები აღმოაჩნდა. ექიმის რეკომენდაციით მას დასვენება ესაჭიროება და პორტუგალიაში მისი თამაშიც გამოირიცხა. უკვე გადაწყვეტილი ამბავია, ჯანო ანანიძე, რომელიც ეროვნულ ნაკრებშია გამოძახებული, ლატვიიდან პორტუგალიაში შემოგვიერთდება. ანანიძის დათმობაზე ტელეფონით უკვე ვესაუბრე მოსკოვის „სპარტაკის“ მთავარ მწვრთნელ ვალერი კარპინს. თავდაპირველად მან მოსაფიქრებლად დრო ითხოვა. მეორე საუბრისას უპრობლემოდ დაგვთანხმდა. ჯანო მხოლოდ ჯგუფის დასკვნით შეხვედრაში, 16 ოქტომბერს აზერბაიჯანის წინააღმდეგ ითამაშებს. ბოლო ხანს მას „სპარტაკში“ თამაში არ უწევს და პრაქტიკისთვისაც კარგია. ანანიძე აზერბაიჯანელებთან მატჩის მომდევნო დღეს პორტუგალიიდან მოსკოვს გაემგზავრება და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური რაუნდის „ჩელსისთან“ 19 ოქტომბრის მატჩისთვის „სპარტაკთან“ ერთად მოემზადება“.

## კვეკვესკირი და ჭანტურია

*„უკვე შეთანხმებულნი ვართ, რომ მალტასთან მატჩის შემდეგ „ბაიას“ მცველი ნიკა კვეკვესკირი ჩვენს ნაკრებში გადმოვა და პორტუგალიაში ჩვენთან ერთად გამოემგზავრება. სამწუხაროდ, დისკვალიფიკაცის გამო დავით ლეგაშვილი პირველ მატჩში არ გვეყოლება. ამიტომ პორტუგალიაში სამი მეკარით გავემგზავრებით. მესამე მეკარედ გიორგი აზნიაშვილი მიგვყავს, რომელიც მამუკა ნადირაძესთან ერთად იქნება პირველი მატჩის განაცხადში. სულ 18 მოთამაშე გვყავს სიაში. სამი მეკარე და ჯანო ანანიძის ჩათვლით, მოედნის 15 მოთამაშე“.*

## მეტოქეები

*„ჩემი მეგობრების დახმარებით საფრანგეთთან, საბერძნეთის ნაკრების თამაშის ჩანაწერი მოვიპოვეთ. ეს მატჩი, 3:3 დასრულდა. პირველი შეხვედრა სწორედ ბერძნებთან გვაქვს და პორტუგალიაში ჩასვლისას ჩანაწერს ფეხბურთელებსაც ვაჩვენებთ და უკეთ შევასწავლით მეტოქეს. პირველ ტურში ჩვენი მატჩის პარალელურად პორტუგალია აზერბაიჯანს ეთამაშება. ამ თამაშს ჩვენი შტაბის ერთ-ერთი წევრი დაესწრება. უეფას რეგლამენტით, მეტოქეებს უფლება არ აქვთ ამ მატჩის ფირი არ გადმოგვცენ. ასე რომ, სასტარტო ტურის შემდეგ, ორივე მოწინააღმდეგეს შევისწავლით“.*

## ჩვენი პლუს-მინუსი

*„ჩვენს ჩემპიონატში მოასპარეზე ფეხბურთელები ნაკლებად არიან მომზადებული. არ დაგიმალავთ და ველოდი, რომ მათი ფიზიკური კონდიციები უკეთესი იქნებოდა. ლეგიონერთა მომზადების დონე ნორმალურია. ჩვენს შეკრებაზე ფიზიკური კონდიციების დახვეწისთვის დრო არ არის. ამ პერიოდს უმთავრესად ტაქტიკური მუშაობისთვის ვიყენებთ“.*

## ვინ არის ფავორიტი?

„ტრადიციული საფეხბურთო ქვეყნები ყოველთვის ფავორიტად თვლიან თავს. შესაძლოა ასე ფიქრობენ პორტუგალიელებიც. მით უმეტეს, ჯგუფის მასპინძლები არიან. თუმცა მე ასე არ ვფიქრობ. ჩემი აზრით, 19-წლამდელთა ასაკში ფავორიტი არ არსებობს. მით უმეტეს ჩვენს ჯგუფში მეტ-ნაკლებად თანაბარი გუნდები ვართ. არავის ეგონოს, რომ აზერბაიჯანი აუტსაიდერია. ჩვენმა მეზობლებმა ისრაელი და პოლონეთი ერთნაირი ანგარიშით 3:0 დაამარცხეს“.

## მიზანი

*„ჩემი აზრით, ელიტრაუნდში გასასვლელად ყველა გუნდს თანაბარი ძალა აქვს. მთავარია მონდომება, ბრძოლის ჟინი, გამარჯვების წყურვილი. რა თქმა უნდა, სათანადო ტაქტიკა-სტრატეგიას საკმაო მნიშვნელობა აქვს. გარდა ამისა, იღბალმაც უნდა გაგვიღიმოს. ასე რომ, პორტუგალიაში ელიტრაუნდისთვის მივდივართ და საამისოდ ბოლომდე ვიბრძოლებთ“.*

**დავით ცაბაძე**

ლეგიონერი

# კიდევ ორი წლით ჩერნომორეცში



გიორგი ჩელებაძე

ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲨᲘ სახელგანთქმული ფორვარდის **რევაზ ჩელებაძის** ვაჟი - **გიორგი ჩელებაძე** უკრაინის ერთ-ერთ პოპულარულ კლუბ ოდესის „ჩერნომორეცში“ ერთი წლის წინ ჩაირიცხა. 17 წლის ბიჭი თავიდან დუბლებში გამოდიოდა, ახლა კი მთავარ გუნდში გადაიყვანეს და ძირითადის ფეხბურთელად ითვლება. გიორგი საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების წევრიცაა. ვინც მის თამაშს ნახავს, დარწმუნდება, რომ **ვლადიმერ გუცაევს** ის მამამისთან მეგობრობის გამო არ აუყვანია...

*„ოდესელები უკვე მენდობიან და ძირითად გუნდში მათამაშებენ. ოდესაში ჩავედი როგორც პლეიმეიკერი, მაგრამ ახლა მარცხენა ნახევარმცველად მათამაშებენ. „ჩერნომორეცთან“ კონტრაქტი დეკემბერში მიმთავრდება. სანაკრებო შეხვედრების შემდეგ უკრაინაში დავბრუნდები და ახალ კონტრაქტს გავაფორმებ. შემომთავაზება უკვე მაქვს. თუკი აქამდე ერთწლიანი მქონდა, ახლა ორწლიანს, თანაც გაუმჯობესებული პირობებით მთავაზობენ“.*

„ჩერნომორეცი“ ვიშალიგიდან უფულობის გამო გავარდა, ფეხბურთელები ვერ შეინარჩუნა და გაკოტრების პირას მივიდა.

*„ახალი სეზონიდან კლუბში ვითარება შეიცვალა, კარგად გვაფინანსებენ და პირველ ლიგაში საუკეთესო ბიუჯეტიც გვაქვს. მართალია, ჯერ მეოთხე ადგილზე ვართ, მაგრამ პირველადგილოსანს მხოლოდ ოთხი ქულით ჩამოვრჩებით. გუნდი კარგ ფორმაშია და დარწმუნებული ვარ, უმაღლესში დაბრუნება არ გაგვიჭირდება“*, - ამბობს ჩელებაძე.

გიორგი ჩელებაძე უკრაინამდე 35-ე საფეხბურთო სკოლასა და კარლო მჭედლიძის საფეხბურთო აკადემია „ოლიმპიკში“ ვარჯიშობდა.

**მერაბ მამულაშვილი**

ერთი გადადგომის გამო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უხმაური ცვლა



თემურ მახარაძე

ერთი კვირის წინ იყო, XXII ჩემპიონატის პირველ სამწვრთნელო ცვლილებას ვრცელი წერილი რომ მივუძღვენით. „უხმაურო წამოსვლა“, - აი, ასე დავასათაურეთ ის წერილი, რამაზ მუმლაძისა და ქუთაისის „ტორპედოს“ ურთიერთგანშორებას რომ ეძღვნებოდა. წერილის ბოლოს საგანგებოდ აღვნიშნეთ ერთი ფაქტორი: „ტორპედოში“ გატარებული წარუმატებელი პერიოდის მიუხედავად, რამაზ მუმლაძის კვალიფიკაციაში ეჭვი ერთი წამითაც არ გვეპარება-თქო. ეგ კი არა, მაშინაც დარწმუნებული ვიყავით, რომ ასეთი სპეციალისტის უმუშევრობა დიდხანს არ გაგრძელდებოდა. ასეც მოხდა: თითქმის გადაწყვეტილია, რომ რამაზ მუმლაძე „ოლიმპის“ მთავარი მწვრთნელი გახდება და ამ პოსტზე თემურ მახარაძეს შეცვლის. XXII ჩემპიონატის რიგით მეორე სამწვრთნელო ცვლილებას ვერც „უხმაუროს“ დავარქმევთ და ვერც „სკანდალურს“; ყოველ შემთხვევაში რუსთაველთა გუნდში მოსალოდნელი საკადრო ცვლილებების შესახებ ხმები ადრეც გავრცელდა. კონკრეტულად კი, მას მერე, ქვეყნის ჩემპიონმა ფოთში დიდი ანგარიშით (1:5) წააგო. ეს მატჩი 25 სექტემბერს გაიმართა, წინა დღეს კი „ტორპედოს“ მთავარი მწვრთნელის რანგში ბოლო შეხვედრა ჩაატარა რამაზ მუმლაძემ. მოკლედ, იმ დღეებში გავრცელებული ვერსია უსაფუძვლო ნამდვილად არ იყო: „ოლიმპის“ ხელმძღვანელობა ასეთი ანგარიშით წაგებას მახარაძეს არ აპატიებდა (მერე რა, რომ წინა სეზონში გუნდი ჩემპიონი გახადა) და მის ნაცვლად არანაკლებ წარმატებულ მუმლაძეს დანიშნავდა, რომელიც „ტორპედოდან“... 1 დღის წამოსული გახლდათ! ეს ვერსია მასმედიითაც გავრცელდა. თანაც ეჭვი მას მერე უფრო გამძაფრდა, „კოლხეთთან“ წაგებული მატჩის შემდეგ მომდევნო ტურის შეხვედრაში „ოლიმპის“ სამწვრთნელო სკამზე თემურ მახარაძე რომ არ გამოჩენილა (გუნდი მისმა ასისტენტებმა, იური გაბისკირიამ და არმაზ ჯელაძემ გამოიყვანეს). შეგახსენებთ, თუ როგორი იყო კლუბის „ოფიციალური“ ვერსია ამის თაობაზე: მახარაძემ 2 მატჩით დასვენება ითხოვა და ჩვენც მისი თხოვნა დავაკმაყოფილეთო. ეგ კი არა, მწვრთნელის სავარაუდო შეცვლაზე საგანგებო კომენტარიც გააკეთეს: მახარაძეს კლუბთან კონტრაქტი აკავშირებს და აბა, რა მოხსნაზე ლაპარაკობთო; თან დასძინეს: მომავალ ტურში, ბოლნისის „სიონთან“ გუნდს მახარაძე მოამზადებსო. ასეც მოხდა: ქვეყნის ჩემპიონი „სიონთან“ მახარაძემ გამოიყვანა, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობამ გამოცდილ მწვრთნელს სეზონში მესამე მარცხი არ აპატია! ჰოდა, „ოლიმპის“ ოთხწლიან ისტორიაში... მეათე (!) სამწვრთნელო ცვლილებაც, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი ამბავია...

>> მე-5 გვერდზე

ევრო 2012. შესარჩევი მატჩების წინ

# დახშული წრე

« მე-4 გვერდიდან

## ოლიმპის „უცნაურობანი"

მართლაც „უცნაურობა" დაებედა რუსთავის „ოლიმპს": გუნდი ოთხი წელიწადია რაც არსებობს და როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ხნის განმავლობაში უკვე მეათედ იცვლება მთავარი მწვრთნელი. „უცნაურობაში" კი, რაღა თქმა უნდა, გუნდის მიერ ნაჩვენებ შედეგს ვგულისხმობთ; ჰო, ვისაც არ ახსოვს, შევახსენებთ, რომ ამ 4 წლის განმავლობაში „ოლიმპი" ორჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი, ერთხელ მესამეზე გავიდა და ერთხელაც - მეოთხეზე!

2006 წლის ზაფხულში რუსთავის „ოლიმპმა" უმაღლეს ლიგაში ასპარეზობის უფლება რომ მიიღო, მთავარ მწვრთნელად გამოცდილი სპეციალისტი **ნოდარ აკობია** დაინიშნა. თუმცა, ვიდრე ჩემპიონატი დაიწყებოდა, აკობიამ გუნდი დატოვა და „ოლიმპის" ხელმძღვანელებმა ერთობ თამამი, მაგრამ, ცოტა არ იყოს, სარისკო გადაწყვეტილებაც მიიღეს - მწვრთნელებად ახალგაზრდა სპეციალისტთა დუეტი (**გიორგი კიკნაძე-ზაზა ზამთარაძე**) დანიშნეს. თუმცა დრომ დაამტკიცა, რომ არჩევანი სწორი იყო: დებიუტანტი მწვრთნელების ხელმძღვანელობით მოასპარეზე „ოლიმპმა" პირველი წრე მართლაც შთამბეჭდავად ჩაატარა (ერთი წაგება ჰქონდა, ორი ფრე - დანარჩენი ყველა მოიგო) და სატურნირო ცხრილსაც სათავეში ჩაუდგა.

თუმცა ზამთრის პაუზის დროს კიკნაძე-ზამთარაძის „დუეტს" რუსთავიდან წასვლამ მოუწია და „ოლიმპის" მთავარ მწვრთნელად გამოცდილი და ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი ქართველი მწვრთნელი **რევაზ ძოძუაშვილი** დაინიშნა. მთავარი მიზანი მიღწეული იყო - „ოლიმპმა" სადებიუტო სეზონშივე შესძლო ჩემპიონობის მოპოვება, მაგრამ ამ მიღწევისათვის მიძღვნილი საზეიმო ცერემონიიდან ერთი-ორი დღეც არ იყო გასული, ძოძუაშვილი თანამდებობიდან რომ გაათავისუფლეს!

„ოლიმპს" ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობა ელოდა და ახალი სეზონისათვის გუნდის გაძღოლა **ვარლამ კილასონიას** დაევალა, ვინც ძოძუაშვილის ასისტენტად მუშაობდა. სამწუხაროდ, „ოლიმპს" ევროტურნირებზე წარუმატებელი დებიუტი ჰქონდა (ყაზახურ „ასტანას" ორი მატჩის ჯამში ვერ აჯობა - 0:0, 0:3); ამასობაში ახალი ჩემპიონატიც დაიწყო და პირველ ტურში „დინამოსთან" საშინაო მარცხის მერე კილასონიაც გაათავისუფლეს!

მომდევნო ტურიდან „ოლიმპის" სათავეში ამ კლუბის ისტორიაში პირველი და უკანასკნელი უცხოელი მწვრთნელი მოვიდა - უკრაინელი **ანატოლი პისკოვეცი**, რომელიც 15 ტურის განმავლობაში ხელმძღვანელობდა რუსთავის გუნდს. პისკოვეცის თავკაცობით „ოლიმპმა" მეტ-ნაკლები წარმატებით იასპარეზა დსთ-ს თასზე, მაგრამ საქართველოს ჩემპიონატში არასტაბილურად თამაშობდა და სუპერთასზე „ამერთან" დიდი ანგარიშითაც წააგო. საინტერესო ფაქტია: პისკოვეცი იმის მერე გაათავისუფლეს, „ვიტ ჯორჯიასთან" საშინაო მატჩი რომ წააგო. თანაც, „ვეტერინარებს" იმ დროს... რამაზ მუმლაძე წვრთნიდა!

XIX ჩემპიონატის ბოლომდე „ოლიმპში" ახალი მწვრთნელი მუშაობდა - **ხვიჩა ქასრაშვილი**, ვისი ხელმძღვანელობითაც დაიწყო რუსთავის გუნდმა მომდევნო, საიუბილეო ჩემპიონატი. თუმცა, ახალ სეზონში „ოლიმპმა" წარუმატებელი სტარტი აიღო: 5 მატჩში 3 ფრე და 2 წაგება ჰქონდა; აქედან გამომდინარე, ბევრისთვის მოულოდნელი არ იყო მორიგი სამწვრთნელო გადაადგილებაც: ქასრაშვილის ნაცვლად კვლავ ვარლამ კილასონია დაინიშნა. სეზონის დარჩენილი ნაწილი „ოლიმპმა" ალმავლობით ჩაატარა: ჩემპიონატში 17-მატჩიანი ნაუგებელი სერიაც ჰქონდა, საბოლოოდ მესამე ადგილზე გავიდა და თასის ფინალში პენალების სერიაში დამარცხდა თბილისის „დინამოსთან".

ამასობაში, ევროტურნირების დროც მოვიდა და უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპზე პოლონური „ლეგიას" ბარიერის ვერდაძლევა... ახალი მწვრთნელის მოყვანის საბაბიც გახდა! ანუ, XXI ჩემპიონატის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე კილასონიას ნაცვლად „ოლიმპში" ახალი მთავარი მწვრთნელი დაინიშნა - **ოთარ კორღალიძე.** გუნდის წინაშე მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთი მიზანი იყო: ქვეყნის ჩემპიონობის მოპოვება და ამაში გარკვეული როლი ბრაზილიიიდან ჩამოყვანილ ფეხბურთელებსაც უნდა შეესრულებინათ. „ოლიმპმა" სეზონი რიხით დაიწყო: ზედიზედ 5 გამარჯვება მოიპოვა, მაგრამ VI ტურში „დინამოსთან" სასტიკად დამარცხდა (0:4). სხვათა შორის, „ოლიმპს" მანამდე ასეთი დიდი სხვაობით საქართველოს ჩემპიონატში არასდროს წაეგო.

„დინამოსთან" მარცხს ზედიზედ სამი ფრე მოჰყვა, პლუს 2 გამარჯვებაც, მაგრამ საქართველოს თასის მერვედფინალში პირველი ლიგის წარმომადგენელ საჩხერის „ჩიხურასთან" სენსაციური მარცხის მერე „ოლიმპში" ახალი მწვრთნელის მიყვანის საკითხი გადაწყდა: ოთარ კორღალიძის ნაცვლად რუსთავის გუნდის სათავეში საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი მწვრთნელი თემურ მახარაძე დაინიშნა!

## ბოლნისის „სიონი", როგორც მახარაძის ბედისწერა

წინა სეზონი მახარაძემ ბოლნისის „სიონში" დაიწყო, თანაც მანამდე კარგა ხნის უმუშევარი მწვრთნელი თავისთვის ძველ-ახალ გუნდში, ფაქტობრივად, ზედ ჩემპიონატის დაწყების წინ მივიდა. თუმცა, ბოლნისში ხუთწლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნებულმა მახარაძემ თავისი ხელი გუნდს მალე დაატყო და არცთუ სოლიდური შემადგენლობის მიუხედავად, „სიონმა" არაერთი გრანდიც გაამწარა. 2009 წლის 18 ოქტომბერს კი მახარაძის ხელმძღვანელობით მოასპარეზე „სიონმა" საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში პირველად შეძლო სტუმრად თბილისის „დინამოს" დამარცხება! ამ შეხვედრიდან ერთ კვირაში კი მახარაძე უკვე... „ოლიმპს" მოძღვრავდა და სწორედ აქედან დაიწყო კიდეც რუსთავის გუნდის შთამბეჭდავი სერია: ჯერ იყო ზედიზედ 11 მოგება, სულ კი 22 წაუგებელი შეხვედრა, საბოლოოდ საჩემპიონო ტრიუმფით რომ დასრულდა.

„ოლიმპის" ჩემპიონობა სრულიად კანონზომიერი ფაქტი იყო, რასაც ვერ ვიტყვით ახალი სეზონის დაწყებამდე ამავე გუნდში განვითარებულ მოვლენებზე; ეგ კი არა, არც კი ვიცით, როგორი ახსნა მოვუძებნოთ „ოლიმპის" სატრანსფერო პოლიტიკას: გუნდს ჩემპიონთა ლიგის მატჩები ელოდებოდა და ამ დროს კლუბიდან 17 ფეხბურთელი მიდიოდეს?!. თუმცა, „ოლიმპისათვის" მსგავსი „მეტამორფოზები" არახალი ამბავია: თითქმის იგივე სურათი იყო ამ ზამთრის სატრანსფერო პერიოდში, წინა სეზონის დაწყების წინ, უფრო ადრეც და ასე შემდეგ. ჰოდა, „ოლიმპის" „უცნაურობები" რომ ვახსენეთ, სწორედ ამას ვგულისხმობდით: ექვს თვეში ერთხელ გუნდის შემადგენლობა, ფაქტობრივად, 80-90 პროცენტით იცვლება, სეზონში, სულ მცირე, ორ მწვრთნელს ათავისუფლებენ და შესაბამისად, ახლები მოჰყავთ, ამ დროს კი შედეგი ისეთი რჩება, ბევრს რომ საოცნებოდ აქვს გამხდარი: ოთხ წელიწადში ორჯერ ჩემპიონობა, ერთხელ მესამე ადგილზე გასვლა და ერთხელაც - მეოთხეზე.

თუმცა ამ 4 წლის განმავლობაში ვერც ერთმა მწვრთნელმა „გადაბმულად" 1 სეზონი ვერ იმუშავა! გამონაკლისი ვერც მახარაძე გამოდგა, რომლის „ოლიმპიდან" წასვლა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია. არადა, ბედის ირონიაა თუ უბრალო დამთხვევაა მაგრამ ფაქტია: თემურ მახარაძის სამწვრთნელო კარიერაზე უკვე მერამდენედ იმოქმედა კონკრეტული გუნდის ფაქტორმა; ბოლნისის „სიონზე" ვსაუბრობთ, თემურ მახარაძეს მართლაც უამრავი ტკბილ-მწარე მოგონებები რომ აკავშირებს...;

...ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში მახარაძეს არაერთ ქართულ გუნდში უმუშავია: თბილისის „დინამო 2"-ში, თელავის „კახეთში", თბილისის „მერანი 91"-ში, „ლოკომოტივში", „ვიტ ჯორჯიაში", 2001 წელს V ტურიდან ბოლნისის „სიონში" მივიდა და ბევრი რომ ამ გუნდს ქვედა ლიგაში დაქვეითებას უწინასწარმეტყველებდა, VIII ადგილზე გაიყვანა. ეგ კი არა, მომდევნო სეზონში შედეგი გაუმჯობესდა: „სიონმა" ჩემპიონატი V ადგილზე დაასრულა, თასის ფინალშიც პირველად იასპარეზა და ბოლნისურ კლუბს სულაც ევროტურნირების საგზური მოუტანა!

2003-04 წლების სეზონიც „სიონში" დაიწყო, შემდეგ... გაათავისუფლეს, მაგრამ I წრის დასრულების შემდეგ... დააბრუნეს და ბოლნისურ კლუბს ერთი ნაბიჯი აშორებდა ჩემპიონობასთან, მაგრამ „ოქროს მატჩში" „ვიტ ჯორჯიასთან" დამარცხდა. ბოლნისიდან წამოსული მახარაძე გარკვეული პერიოდი უმუშევარი იყო, ვიდრე „ზესტაფონის" მშველელად არ დაუძახებდნენ. 2004 წლიდან 2008 წლის შემოდგომამდე მახარაძე „ზესტაფონში" მუშაობდა, მაგრამ ამ დროის განმავლობაში მხოლოდ ორი სეზონი იყო, თავიდან ბოლომდე რომ ჩაამთავრა, ერთხელ სულაც სამჯერ მოხსნეს და ისევ სამჯერ აღადგინეს თანამდებობაზე...

...XX ჩემპიონატიც „ზესტაფონში" დაიწყო, მაგრამ თავის მომავალ გუნდთან (!), რუსთავის „ოლიმპთან" საშინაო წაგებას თბილისის „დინამოსთან", თასის მეოთხედფინალში დამარცხება მოჰყვა და იმერული გუნდის მთავარი მწვრთნელის რანგში უკანასკნელი მატჩი... ბოლნისის „სიონთან" ჩაატარა! მერე იყო, თითქმის ერთწლიანი უქმობა, ვიდრე იმავე „სიონში" არ დაუძახებდნენ და სწორედ ბოლნისურ კლუბში წარმატებული მუშაობის გამოც უხმეს ქვემო ქართლის ბევრად უფრო ამბიციურ გუნდში. არადა, მართლაც, უცნაური დამთხვევაა: სწორედ „სიონთან" უკანასკნელ წაგებას მოჰყვა კიდეც მახარაძის „ოლიმპიდან" განთავისუფლების, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი ამბავი...

***P.S.*** *თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ისიც გადაწყვეტილია, რომ „ოლიმპის" ახალ მთავარ მწვრთნელად რამაზ მუმლაძე იმუშავებს. აქაც უცნაურ დამთხვევასთან გვაქვს საქმე: მახარაძეზე არანაკლებ წარმატებული სპეციალისტის ბოლო სამუშაო ადგილი ქუთაისის „ტორპედო" იყო და მუმლაძემ ეს პოსტი... ყოფილ გუნდთან („ვიტ ჯორჯია") წაგების მერე დატოვა. თუ არაფერი შეიცვალა და მუმლაძემ „ოლიმპი" ჩაიბარა, პირველივე შეხვედრა 16 ოქტომბერს... „ვიტ ჯორჯიასთან" უწევს, მომდევნო ტურში კი „ტორპედოსთან"! ეგ კიდევ არაფერი: ჩემპიონატის ამ ორი შეხვედრის შემდეგ სუპერთასის მატჩი ჩატარდება (27 ოქტომბერს) და ერთმანეთის პირისპირ ქვეყნის ჩემპიონი („ოლიმპი") და თასის მფლობელი („ვიტ ჯორჯია") წარდგებიან. ანუ, რამაზ მუმლაძემ თავის ახალ გუნდში საწყისი 3 მატჩი თავის ყოფილ გუნდებთან უნდა ჩაატაროს...*

გია ტუხაშვილი

---

პირველი ლიგა. VII ტური

### გაგრა-ლოკომოტივი 4:1

ზ. ქაჯაია (31), 1:1 ოვონიკოკო (56), 2:1 ოვონიკოკო (61), 3:1 ვ. ორდინსკი (78), 4:1 მ. ნაკონეჩნი (86)

გაგრა: ლ. ნადირაშვილი, ჯ. გაბუნია, გ. ტყეშელაშვილი (88. დ. გიგაური), მ. ნაკონეჩნი, ნ. ჯიშკარიანი, ლ. შარიქაძე, ზვ. ჩხეტიანი, თ. მოსიაშვილი (85. ლ. კალანდაძე), ოვონიკოკო, ი. ხუციძე, ვ. ორდინსკი (80. გ. ყურულაშვილი).

სათადარიგოები: ი. ხომერიკი, გ. ნათენაძე, ე. კაჭახიძე, ლ. ცხადაძე

მთავარი მწვრთნელი: ანატოლი პისკოვეცი.

ლოკომოტივი: გ. ნაჭყებია, ზ. გვაძაბია, ზ. ქაჯაია, ჯ. მიქავა, დ. მიქავა (79. ი. გონაძე), დ. ჩაგელიშვილი, მ. ხოკერაშვილი (64. დ. ბაქრაძე), თ. ჩარგეიშვილი (70. ლ. კვარაცხელია), ბ. მახარაძე, რ. წულაძე, გ. ხატიაშვილი.

სათადარიგოები: თ. ოდიკაძე, თ. ბახტაძე, გ. მჭედლიშვილი, გ. შარანგია

მთავარი მწვრთნელი: ლაშა ჭალიაშვილი.

გაფრთხილება: თ. მოსიაშვილი, ოვონიკოკო, მ. ნაკონეჩნი, ბ. მახარაძე, თ. ჩარგეიშვილი, ზ. გვაძაბია, დ. მიქავა, ჯ. მიქავა.

არბიტრი: ჯ. ხორავა

### მარტვილი-მერცხალი 7:2

1:0 დ. ბერუაშვილი (1), 2:0 ტაპე (3), 3:0 ტაპე (23), 4:0 დ. ბერუაშვილი (32), 5:0 ტაპე (34), 5:1 ლ. ათუაშვილი (67), 6:1 ლ. კუჭუხიძე (75), 7:1 ლ. კუჭუხიძე (77), 7:2 ლ. ჩხაიძე (87-პენ)

მარტვილი: ჯ. შეროზია, გ. ჟვანია, ვ. იობაშვილი, ა. სუხიაშვილი (59. კ. მელივა), თ. კაკუშაძე, იატრო, გ. ილურიძე (46. ა. კუჭუხიძე). დ. ბერუაშვილი, ტაპე (46. ო. ტორაძე), ლ. კუჭუხიძე, გ. ამბროლაძე.

სათადარიგოები: გ. წოწორია, ი. შარანგია, ო. გიორგობიანი, ა. ბილიხოძე.

მთავარი მწვრთნელი: მ. ჟვანია

მერცხალი: ს. ვერულიძე, ნ. მაჭავარიანი (46. ნ. ხინთიბიძე), თ. ჩხატარაშვილი (19. ლ. ათუაშვილი), მ. ქობულაძე, გ. ხამაშურიძე (50. ი. ბაჯელიძე), რ. ჭეიშვილი, ი. ნაჭყებია, ნიკა ჭკუასელი, ს.ვ. ჩიგოგიძე, ლ. ჩხაიძე, ს. გ. ჩიგოგიძე.

სათადარიგოები: თ. ცეცხლაძე, ბ. გოლიაძე.

მთავარი მწვრთნელი: ხარიტონ ჩხატარაშვილი

გაფრთხილება: ნიკა ჭკუასელი

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი

### კოლხეთი (ხ)-ადელი 1:0

1:0 მ. ჭკადუა (48)

კოლხეთი: დ. ხარძეიშვილი, მ. შონია, გ. ფარფალია, ა. კვირკველია, ლ. გოგენია, გ. გოგენია (83. კ. ალანია), მ. ბესარაშვილი, ო. ფიფია, ი. კუტალია, მ. ჭკადუა (88. დ. ქირია), ე. ლეფსაია (81. გ. ლომაია).

სათადარიგოები: ზ. გელაშვილი, ლ. ლეფსაია, ლ. ჩაჩიბაია, კ. გოგენია.

მთავარი მწვრთნელი: ლევან ნოდია

ადელი: ლ. ბეკტაშევი, ვ. ხიდეშელი, გ. ზოიძე, ბესიკ თედორაძე (61. ლ. მამეიშვილი), ლ. მახარაძე, ვ. დარჩიძე, ი. ცანავა, გ. ფალავანდიშვილი (61. ი. ჰაადი), კ. ქაცარავა (72. ა. აბუსელიძე), ნ. ნასუაშვილი, ნ. ტვილდიანი.

სათადარიგოები: ი. თავაძე, ნ. წულაძე, ბ. ზოიძე.

მთავარი მწვრთნელი: სოსო ნასუაშვილი

გაფრთხილება: ნ. ნასუაშვილი, ა. აბუსელიძე, გ. ზოიძე, კ. ალანია, ე. ლეფსაია

არბიტრი: ა. გუნთაძე

### მეშახტე-ჩხერიმელა 1:0

1:0 ლ. გაბრიჭიძე (60-პენ)

მეშახტე: ი. ორბელაძე, გ. პირველი, ა. ბუცხრიკიძე, ა. ქუთათელაძე, ა. გუბელაძე, გ. აბურჯანია, გ. ჯიშიაშვილი, ა. ნოზაძე, ლ. კობახიძე, გ. ჯულელი (71. გ. ცუცქირიძე), ლ. გაბრიჭიძე.

სათადარიგოები: დ. ოდიშარია, ვ. ვაჩიბერაძე, ბ. შარვაშიძე, ბ. ჯიშიაშვილი

მთავარი მწვრთნელი: მალხაზ ფორჩხიძე

ჩხერიმელა: ი. კუჭუხიძე, გ ტორაძე (53. გ. მეტრეველი), ნ. ხარაბაძე, ვ. თაბუკაშვილი, ლ. ქურდაძე, გ. ზაქარაშვილი, ვ. ჭაჭიაშვილი, ლ. მაჩალაძე, თ. დანელია, დ. კოსტავა, ი. ლიბრაძე.

სათადარიგოები: მ. ლომსაძე, გ. ხეცურიანი, ზ. კაპანაძე, ბ. ტყეშელაშვილი, ც. ნანიტაშვილი

მთავარი მწვრთნელი: ლევან ჭყოიძე

გაფრთხილება: ა. ქუთათელაძე, ა. გუბელაძე, ა. ბუცხრიძე, გ. პირველი, ვ. ჭაჭიაშვილი, გ. ზაქარაშვილი, გ. მეტრეველი, დ. კოსტავა

არბიტრი: ვ. გუმბერიძე

### გურია-გორი 1:3

1:0 კ. ძაგანია (20), 1:1 დ. რაჟამაშვილი (27), 1:2 გ. ქარქუზაშვილი (53), 1:3 რ. გოგინაშვილი (74)

გურია: მ. გოგუაძე, ი. კილაძე, თ. ქურიძე (46. ა. დოლონაძე), ჯ. გოგიბერიძე, რ. კუკულაძე, კ. ძაგანია, გ. თოლორდავა, გ. შეწირული, მ. კოტრიკაძე (46. ს. ფირცხალაიშვილი), ი. ტულუში (66. იაკობ დეისაძე), ტ. კუკულაძე.

სათადარიგოები: ლ. ეზიეშვილი, ნ. ტოროტაძე, გ. კუკულაძე, ლ. რუსიეშვილი.

მთავარი მწვრთნელი: გ. ჩხაიძე.

გორი: ბ. კეჩხუაშვილი, გ. ქარქუზაშვილი, დ. ტლაშაძე, ო. ცარიელაშვილი (55. რ. გოგინაშვილი), თ. შათირიშვილი, ნ. ნოდ-ძე ნოზაძე, გ. ნინამძღვრიშვილი, კ. ხანიშვილი (85. ვ. რუსიშვილი), ნ. სადალაშვილი (89. გ მიხანაშვილი), დ. რაჟამაშვილი, გ. სამადაშვილი.

სათადარიგოები: ა. თათანაშვილი, ნ. ნიკ-ძე ნოზაძე, ი. ლომიძე, შ. პაპიტაშვილი.

მთავარი მწვრთნელი: რეზო ხაჭაპურიძე

გაფრთხილება: გ. ნინამძღვრიშვილი, კ. ძაგანია, ი. კილაძე

არბიტრი: თ. გვანცელაძე

### იმერეთი-სქური 0:2

0:1 დ. კუტალია (90), 0:2 გ. ქირია (90-პენ)

იმერეთი: ი. შენგელია, დ ფესტვენიძე (78. გ. ფაჩუაშვილი), თ. ხარებავა, ბ. ხაჭიპერაძე, რ. კაშია, რ. გვანცელაძე (46. გიორგი უგულავა), გ. გოდერიძე, ბ. ჩხეტიანი, ი. ვეკუა, გ. ცაგარეიშვილი, გ. ქობალია (86. ი. ასათიანი).

სათადარიგოები: ს. მეძველია, ა. მეტონიძე, დ. ხაბურძანია, ა. გვამბერაძე.

მთავარი მწვრთნელი: დავით ჭელიძე.

სქური: ა. მაქაცარია, ლ. სეირავა, ე. ფარცვანია, დ. კვიტატიანი, ნ. შონია, ბ. გუჯეჯიანი (87. დ. თოდუა), დ. რაფავა (90+2. პ. ქომეთიანი), გ. ქირია, ლ. გაბუნია, თ. გერგედავა, დ. კუტალია (90. გელა ჭკუასელი).

სათადარიგოები: ტ. ხარჩილავა, ჯ. ყურუა, ბ. სვანიძე, ლ. არდაშელია.

მთავარი მწვრთნელი: ვასო გულორდავა

გაფრთხილება: რ. გვანცელაძე, დ. კუტალია, ბ. ჩხეტიანი, რ. კაშია, თ. ხარებავა.

არბიტრი: ხ. გაგნიძე

### ბათუმი-ჩიხურა 0:0

ბათუმი: თ. კაკალაძე, მ. ჟვანია, ნ. ხუხია, გ. კაჭკაჭიშვილი, ლ. რამიშვილი, გ. მანწკავა, ა. ბაჯელიძე (60. ზვ. ლობჟანიძე), თ. ბერიძე (46. მ. ჯორბენაძე), ე. გრიგალაშვილი (65. ნ. დიასამიძე), დ. სამსეიშვილი, გ. ბოხუა.

სათადარიგოები: ა. ბაციკაძე, ბ. დემურაძე, დ. მალაზონია, დ. კეკელიძე.

მთავარი მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე

ჩიხურა: ზ. მნყერაშვილი, დ. ქამუშაძე (83. ა. ალავიძე), ი. ჭილლაძე, ე. ზივზივაძე, გ. ენუქიძე, ი. გვეტაძე, ი. ზაბახიძე, ი. ტყებუჩავა, ლ. ჩიკვაიძე, ნ. მაჭარაშვილი, თ. მეტრეველი (89. ბ. პეტრიაშვილი).

სათადარიგოები: შ. დოლაძე, გ. ცარციძე, მ. მიქაძე, ა. ივანიშვილი.

მთავარი მწვრთნელი: სოსო ფრუიძე.

გაფრთხილება: თ. ბერიძე, გ. მანწკავა, ე. ზივზივაძე, ი. ჭილლაძე.

არბიტრი: თ. ხუჭუა

### ჭიათურა-ნ/დინამოელი 2:5

0:1 ვ. კაკაშვილი (15-პენ), 0:2 ი. ქავთარაძე (19), 1:2 თ. ასანიძე (25), 2:2 დ. სევასტოპულო (35-პენ), 2:3 გ. მაისურაძე (60), 2:4 ა. შენგელია (62), 2:5 გ. მაისურაძე (89)

ჭიათურა: გ. ბადურაშვილი, ბ. ჭუმბურიძე, გ. ბრეგვაძე, ლ. ცუცქირიძე, ნ. გაფრინდაშვილი, ნ. ტყემალაძე (46. გ. ზაბახიძე), გ. მეცხოვრიშვილი, ზ. ნოზაძე, თ. ასანიძე, დ. ტაბატაძე (74. დ. რობაქიძე), დ. სევასტოპულო.

სათადარიგოები: ა. დარბაიძე, გ. კავთელაძე, თ. კურტანიძე, ი. კახნიაშვილი, თემურ მიშველიძე.

მთავარი მწვრთნელი: ამირან სევასტოპულო

ნ/დინამოელი: თ. ცინცაბაძე, გ. ბერიშვილი, ვ. კაკაშვილი, გ. ლომიძე, გ. ჯელაძე, გ. თანიაშვილი (46. ო. გაგნიძე), ა. ხვთისავრიშვილი, ზვ. კვარაცხელია, ი. ქავთარაძე (25. ბ. ახალბედაშვილი), ა. შენგელია (80. დ. მაჭარაძე), გ. მაისურაძე.

სათადარიგოები: დ. გლოველი, თ. ტაბატაძე, გ. ოდიშვილი, გ. ოსეფაშვილი.

მთავარი მწვრთნელი: ვალერი გაგუა

გაფრთხილება: გ. ბრეგვაძე, ზ. ნოზაძე, გ. ჯელაძე, გ. თანიაშვილი, გ. ლომიძე, გ. მაისურაძე.

არბიტრი: ი. ურუშაძე

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები | | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | გატ | გაშ | |
| 1 | გაგრა | 7 | 5 | 2 | 0 | 21 | 8 | 17 |
| 2 | მარტვილი | 7 | 5 | 1 | 1 | 20 | 6 | 16 |
| 3 | მეშახტე | 7 | 4 | 1 | 2 | 12 | 11 | 13 |
| 4 | გორი | 7 | 3 | 3 | 1 | 11 | 8 | 12 |
| 5 | ბათუმი | 6 | 3 | 1 | 2 | 13 | 3 | 10 |
| 6 | სქური | 7 | 3 | 1 | 3 | 11 | 10 | 10 |
| 7 | სამგურალი | 6 | 3 | 1 | 2 | 9 | 11 | 10 |
| 8 | გურია | 7 | 3 | 0 | 4 | 14 | 17 | 9 |
| 9 | ჩიხურა | 7 | 2 | 3 | 2 | 8 | 11 | 9 |
| 10 | ლოკომოტ | 6 | 2 | 2 | 2 | 10 | 10 | 8 |
| 11 | მერცხალი | 7 | 2 | 2 | 3 | 11 | 20 | 8 |
| 12 | იმერეთი | 6 | 2 | 1 | 3 | 8 | 11 | 7 |
| 13 | კოლხეთი (ხ) | 7 | 1 | 4 | 2 | 7 | 8 | 7 |
| 14 | ნდინამო | 7 | 2 | 0 | 5 | 13 | 19 | 6 |
| 15 | ჩხერიმელა | 6 | 0 | 5 | 1 | 7 | 8 | 5 |
| 16 | ადელი | 6 | 1 | 1 | 4 | 8 | 9 | 4 |
| 17 | ჭიათურა | 6 | 1 | 0 | 5 | 5 | 17 | 3 |

---

საჭილდაო ქვა

# დილა თუ გორი?

**ამას წინათ „ლელოში" გორელი გულშემატკივრის წერილი მივიღეთ, რომელიც გვატყობინებდა, რომ საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში მოასპარეზე გორის გუნდს ჰქვია არა „გორი," არამედ „დილა." დაინტერესებულ მკითხველს მაშინ პროფლიგიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ვაცნობეთ, რომ გუნდი სწორედ „გორის" სახელითაა რეგისტრირებული. გულშემატკივრებს ახლა სხვა პრეტენზიები გაუჩნდათ. ვითარებაში გარკვევა შიდა ქართლში ჩვენი გაზეთის კორესპონდენტს ვთხოვეთ. აი, რა გვაცნობა მან:**

გორის რაიონის სპორტის სამსახურის ახალდანიშნულმა უფროსმა **გია პაპიტაშვილმა** გვითხრა, რომ შპს „გორის დილას", რომელიც ორი წლის წინ საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგიდან დაქვეითდა, ფეხბურთის ფედერაციაში გარკვეული თანხა ჯერ კიდევ გადასახდელი აქვს. ის გუნდი აღარ მონაწილეობს საქართველოს ჩემპიონატში. ხოლო რამდენიმე წლის წინ შექმნილი გორის „გორი", რომელიც მეორე ლიგაში ასპარეზობდა, გასულ სეზონში პირველ ლიგაში გადავიდა ქალაქის საფეხბურთო სკოლის მიერ უკანასკნელ წლებში აღზრდილმა თითქმის ყველა ფეხბურთელმაც სწორედ იმ კლუბში მოიყარა თავი. შესაბამისად, ჩვენს ქალაქს ამჟამად „გორი" წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ქალაქის ხელმძღვანელობა დაინტერესებულია, გუნდს დაუბრუნდეს ძველი სახელი და მხარეებთან მართავს კიდეც მოლაპარაკებას.

— სახელწოდებასთან იქნება დაკავშირებული თუ გუნდისთვის ნორმალური პირობების შექმნასთან, ჩვენ ფეხბურთის ადგილობრივი გულშემატკივრების აზრის გათვალისწინებით ვაპირებთ მოქმედებას, — დასძინა გია პაპიტაშვილმა.

ვასილ ბალახაძე
გორიდან

უცხოური ფეხბურთი

ევრო 2012 შესარჩევი ტურნირი

# ადვოკაატი: გადით და დამიმტკიცეთ, რომ ვარსკვლავები ხართ

ისრაელის ნაკრების გოლკიპერი **დუდუ ავატე** ოპტიმიზმით ელის შაბათის მატჩს ხორვატიასთან: „ძნელი მატჩი გველის, რადგან ხორვატია ძლიერია, მაგრამ თუკი ჩვენ საკუთარ შესაძლებლობებს სრულად გამოვავლენთ, დადებითი შედეგის ჩვენება შეგვიძლია. ჩვენ ერთმანეთის გვწამს და გვჯერა, რომ მოგება შეგვიძლია. ისრაელის ნაკრები ხორვატიასთან მოსაგებად ითამაშებს", - განუცხადა ისრაელის ფედერაციის ოფიციალურ საიტს „ესპანიოლის" ებრაელმა გოლკიპერმა. შეგახსენებთ, რომ ისრაელის ნაკრები საქართველოს ჯგუფშია, **ლუის ფერნანდესის** გუნდს ორი ტურის შემდეგ 4 ქულა აქვს (მოგება მალტასთან, ფრე საქართველოსთან).

ჩერნოგორიის ნაკრებმა ევრო-2012-ის საკვალიფიკაციო ეტაპი საოცრად დაიწყო, გუნდმა უელსი და ბულგარეთი დაამარცხა. ყოფილ იუგოსლავიელთა თავკაცი **ზლატან კრანჩარი** უფრო შორს მიდის და შვეიცარიის ნაკრებთან მატჩშიც 3 ქულას გეგმავს: „ჩემთვის პირველი ორი ტურის შედეგი სულაც არ ყოფილა მოულოდნელობა, რადგან კარგად ვიცი საკუთარი გუნდის შესაძლებლობა. არ შეიძლება მოდუნება, ამ შეხვედრაშიც სამი ქულისთვის ვიბრძოლებთ, მთავარია მოგების რწმენა გვქონდეს. ინდივიდუალურად მაღალი კლასის ფეხბურთელები მყავს, გუნდს კი უდიდესი პოტენციალი აქვს. შვეიცარიელებს დაცვაში პრობლემები აქვთ, რაც კარგად გამოჩნდა ინგლისელებთან მატჩში. მაგრამ ჩვენ დიდ პატივს ვცემთ მეტოქეს, რომელსაც მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელი ოტმარ ჰიტცფელდი წვრთნის", - განაცხადა ჩერნოგორიელთა თავკაცმა.

გერმანიის ნაკრების მეკარე **მანუელ ნოიერი** დიდი ენთუზიაზმით ელის თურქეთის ნაკრებთან მატჩს: „როცა ევრო 2008-ზე გერმანიამ თურქეთს მოუგო, დუბროვნიკიში ვიყავი არდადეგებზე. რა თქმა უნდა, მატჩს ვუყურე და ძალიან ვიხალისე. ძალიან მაგარი იყო, როცა ფილიპ ლამმა 3:2 გახადა. ჩემთვის გერმანიის ნაკრების პირველი მეკარეობაა იგივეა, რაც „შალკეში" კაპიტნობა. ახლა მთელი ყურადღება თურქეთთან მატჩისკენ მაქვს მიმართული. ორივე ნაკრებმა ბრწყინვალედ დაიწყო საკვალფიკაციო კამპანია. ამიტომაც ურთიერთდაპირისპირება ბევრს გაარკვევს. თურქეთის ნაკრები სერიოზული მეტოქეა - 100 პროცენტით მზად უნდა შევხვდეთ თამაშს, თუკი მეტოქის დამარცხება გვინდა", - განუცხადა ნოიერმა ფიფას ოფიციალურ საიტს.




ადვოკაატმა თავისი ვარსკლავები შემოიკრიბა

„ბარსელონას" ცენტრალური მცველი **ჟერარდ პიკე** დარწმუნებულია, რომ ნაკრებში მის თანაკლუბელ **ჩავი ერნანდესს** სათანადოდ შეცვლიან. ჩავი მცირე ტრავმის გამო სანაკრებო პაუზისას ეროვნული გუნდის თავკაცთან შეთანხმებით, ისვენებს: „ის სამუშაო, რასაც ჩავი მოედანზე ასრულებს, უზარმაზარია, მაგრამ ნაკრებში გვყავს ძალიან კარგი ფეხბურთელები, რომელთაც მისი შეცვლა შეუძლიათ: ანდრეს ინიესტა, ჩაბი ალონსო და სერხიო ბუსკეტსი. სამივეს შეუძლია ისე ითამაშოს, რომ მოედანზე ჩავის არყოფნა არ იგრძნობოდეს. ვფიქრობ, ჩავი სწორედ მოიქცა, დასვენება, რომ გადაწყვიტა, ტრავმა შეიძლება გამიზეზებოდა და ნაკრებს და კლუბს უფრო დიდი ხნით დაკლებოდა".

„მონაკოს" რუმინელი ფორვარდი **დანიელ ნიკულაე** დარწმუნებულია, რომ მისი ნაკრები დადებით შედეგს მიაღწევს საფრანგეთის ნაკრებთან მატჩში, რომელიც ღრმა კრიზისიდან ცდილობს თავის დაღწევას. „ჩვენი საკვალიფიკაციო შანსები დიდად დამოკიდებულია, იმაზე, თუ როგორ ვითამაშებთ საფრანგეთში. მართალია, მხოლოდ ეს თამაში ვერ გადაწყვეტს ყველაფერს, მაგრამ ფავორიტთან გამარჯვება უმნიშვნელოვანესია. წესით, საფრანგეთის ნაკრებს ყველაზე კარგი შანსი აქვს პირველ ადგილზე გასვლის, ჩვენ კი მეორისთვის ვიბრძოლებთ, მაგრამ ის ნაკრები, რომელიც შაბათს იმარჯვებს, ერთი ნაბიჯით წინ იქნება. ჩვენ გავალთ მოსაგებად. ცუდი სტარტის შემდეგ ყველაზე მეტად რაც გვჭირდება, ეს საფრანგეთის ნაკრების დამარცხებაა", - განუცხადა ნიკულაემ საფრანგეთის პროფესიული ლიგის საიტს.

საფრანგეთის ნაკრებში ტრავმირებული **ბენუა ტრემულინასი ალი სისოხომ** შეცვალა. რუმინეთთან მატჩის წინ **ლორან ბლანმა** შეიტყო, რომ „ბორდოს" მცველი ფეხის ტრავმის გამო სამფეროვნებს დააკლდა. 24 წლის მცველს სულ სკანირებას ჩაუტარებენ, რომ გაარკვიონ, რამდენ ხანს მოუწევს მას უქმობა. მანამდე ნაკრების მაისურს მის ნაცვლად „ლიონის" მცველი **ალი სისოხო** მოირგებს, რომელსაც საფრანგეთის ნაკრებში დებიუტი წლეულს ნორვეგიელებთან ამხანაგურ მატჩში ჰქონდა.

რუსთა ჰოლანდიელი მთავარი მწვრთნელი **დიკ ადვოკაატი** თავის ვარსკვლავებს მოუწოდებს ირლანდიელებთან შეხვედრაში დაამტკიცონ თავიანთი კლასი: „ახლა სწორედ ის მომენტია, როცა მთელი ევროპიდან შეკრებილმა რუსმა ვარსკვლავებმა უნდა დაამტკიცონ, რომ მათ დიდი მიზნებისთვის ბრძოლა შეუძლიათ. რომ წავაგოთ, ირლანდია ძალიან დაწინაურდება ჩვენთან მიმართებაში. ასე რომ, ახლა ყველაზე მეტად მჭირდება ანდრეი არშავინის, რომან პავლიუჩენკოს და დინიარ ბილიალეტდინოვის კლასი. სლოვაკეთთან მარცხმა გამოუვალ მდგომარეობაში ჩაგვაგდო, ბევრი შეცდომის დაშვების დრო აღარ გვაქვს. ისეთ გუნდს გავიყვან, რომელსაც გამარჯვების მიღწევა შეუძლია, თუმცა ჯოვანი ტრაპატონის გუნდთან იტალიას, საფრანგეთსა და სხვებსაც გაუჭირდათ", - განუცხადა ESPN-ს დიკ ადვოკაატმა.

» მე-7 გვერდზე

ინტერვიუ



ვისენტე დელ ბოსკე

## ვისენტე დელ ბოსკე

# გუშინდელი წარმატებით ტკბობა სპორტსმენის საქმე არაა

**დღეს მშობლიურ სალამანკაში ვისენტე დელ ბოსკეს დიდი ტრიუმფი ელის, მსოფლიოს ჩემპიონი მწვრთნელი მსოფლიოს ჩემპიონი გუნდით მიესალმება „ელ ელმანტიკოს", რომლის ყველა ბილეთიც დიდი ხნის წინათ გაიყიდა - ესპანეთის ნაკრები მუნდიალის მოგების შემდეგ პირველად თამაშობს შინ, მეტოქე ლიტვაა. თამაშამდე ესპანელთა 59 წლის თავკაცს „ევრონიუსი" გაესაუბრა...**

**- რა უნდა გააკეთოს გუნდმა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგოს?**

- უპირველესად საჭიროა გამართლება. ცხოვრებაშიც ხომ ასეა? ცოტა იღბალი თითოეულ ჩვენგანს სჭირდება. ნაყოფიერად მოვემზადეთ მუნდიალისთვის, 10 საკვალიფიკაციო მატჩიდან 10-ვე მოვიგეთ. ევროპის ჩემპიონობა დამატებითი სტიმული იყო მუნდიალისთვის. ვფიქრობ, ესპანეთს დიდებული თაობა ჰყავს, თაობა, რომელმაც ფეხბურთის თამაშის ახალი სტილი შემოიღო. განსაკუთრებით ჩვენი ნახევარმცველები მინდა შევაქო, რომელთაც მთელი ტურნირი საკუთარი ნების მიხედვით წარმართეს.

**- ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ნაკრების თამაშის სტილი... „ბარსელონასია"...**

- დიას ესპანეთის ნაკრების და „ბარსელონას" თამაშის სტილი ერთნაირია, იმიტომ, რომ ორივე გუნდის ნახევარდაცვაში თითქმის ერთი და იგივე ფეხბურთელები თამაშობენ. რა თქმა უნდა, ნაკრებში სხვებიც არიან, რომელთაც თავიანთი სიკეთეები დაუმატეს ნაკრებს.

**- მსოფლიოს ჩემპიონატზე თქვენი გუნდის გარდა, რომელი ნაკრები მოგეწონათ?**

- გერმანიის ნაკრებს კარგი მუნდიალი ჰქონდა. იმავეს თქმა შეიძლება არგენტინის ნაკრებზე, სანამ ეს გუნდი გერმანიასთან განადგურდებოდა. ჰოლანდიის ნაკრებმაც ტყუილუბრალოდ არ გააღწია ფინალამდე. მოკლედ, ბევრი კარგი გუნდი იყო და მუნდიალის საერთო დონეც საკმარისად მაღალი გახლდათ.

**- ევრო-2012-ზე გერმანიის ნაკრებს მომავალ კონკურენტად მიიჩნევთ?**

- დიახ, ასეა - გერმანიის ნაკრები არა მარტო კარგია ფიზიკური კონდიციებით, არამედ ძალზე ტექნიკური გუნდია. ძალიან გაგვიჭირდა მათი დამარცხება ნახევარფინალში, თუმცა საბოლოოდ მაინც შევძელით ეს.

**- ქვეყანაში, სადაც რეგიონული ნაციონალიზმი ბობოქრობს, მუნდიალის მოგება ყველამ ერთად იზეიმა. ფიქრობთ, რომ ნაკრებმა ქვეყანა გააერთიანა?**

- ჩემთვის ეს მხოლოდ ფეხბურთია. ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონები გავხდით - სულ ეს არის. ბევრმა ისიც გვითხრა, რომ ჩვენს მოგებას სოციალური ხასიათის წინსვლები მოჰყვა ქვეყანაში. თუ ეს გამარჯვება ესპანელთა შორის ურთიერთგაგებას ხელს შეუწყობს, ამაზე კარგი რა იქნება. მაგრამ პირადად არ ვფიქრობ, რომ ჩვენი ქვეყნის ერთიანობა მხოლოდ მუნდიალის მოგებაზე „დგას".

**- ამას წინათ, ნაციონალურმა დაჯგუფებებმა ფეხბურთის ფედერაციას მოსთხოვეს, რეგიონული პრინციპით დაყოფა, საერთაშორისო არენაზე კატალონიური და ბასკური ფედერაციების გამოსვლა...**

- ჩვენ პატივს ვცემთ ესპანეთის მთავრობას. ფაქტია, ესპანეთს მხოლოდ ერთი ფედერაცია წარადგენს. ჩემპიონატში რეგიონის ღირსებას წარადგენ, მაგრამ ნაკრებში - მთელი ქვეყნისას.

**- ესპანეთში ტრიუმფატორად დაბრუნდით. თქვენს მშობლიურ სალამანკაში ერთ-ერთ ქუჩას თქვენი სახელიც კი უწოდეს. თქვენ და ნაკრებმა ასტურიის პრინცის ჯილდოც დაიმსახურეთ. როგორ შეხვდით ამ დიდებას?**

- მე ვიცი ვინ ვარ - მხოლოდ და მხოლოდ საფეხბურთო მწვრთნელი. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გაგვიმართლა კიდეც, რომ მსოფლიოს ჩემპიონები გავხდით. აუცილებელია ფეხბურთისა და ყოველდღიური ცხოვრების ერთმანეთისგან გამიჯვნა. სპორტსმენის ცხოვრება კი ასეთია, წარმატებას წარუმატებლობა მოსდევს და პირიქით.

**- მართლაც საოცარია, ასეთი პატივის შემდეგ როგორ ახერხებთ „მიწაზე დარჩენას"?**

- სპორტსმენის კარიერა ხანმოკლეა. ყველამ კარგად უნდა იცოდეს, რომ სულ მალე მოვა დასასრულიც. ასეთია მწვრთნელის ყოფაც. არ შეიძლება წარმატებით ცხოვრება, სპორტსმენისთვის ეს დამღუპველია. ყოველთვის უნდა ეცადო, ახალი მიზნები დაისახო, იშრომო. გუშინდელი წარმატებით თუ ტკბები, სპორტსმენი აღარა ხარ.

**- რამდენიმე კვირის წინათ, „მიწაზე დაგანარცხეს", არგენტინელებმა 4:1 მოგიგეს...**

- არ მიმაჩნია, რომ ძალიან ცუდად ვითამაშეთ, არა მგონია, რომ მეტოქე ვერ შევაფასეთ სათანადოდ. პირველი ტაიმი 0:3 წავაგეთ, მაგრამ მაინც არ დავნებდით. მაშინაც კი შევეცადეთ, მატჩის გადარჩენა. სამწუხაროდ, ეს ანგარიშზე ვერ აისახა. ჩემი ფეხბურთელები არ ფიქრობენ, რომ იმაზე უკეთესები არიან, ვიდრე ეს სინამდვილეშია.

**- მუნდიალის შემდგომი ესპანეთის ნაკრების თამაში მოგწონთ?**

- საკმაოდ მძიმე მატჩები გვქონდა. ახლა შანსი მოგვეცა შესარჩევ ჯგუფს სათავეში ჩავუდგეთ, მაგრამ მეტოქეები არც ახლა გვყავს ხელწამოსაკრავი... ჯერ ლიტვა და შემდეგ შოტლანდია. ახლა მხოლოდ ამ ორ შეხვედრაზე ვფიქრობ.

**- მუნდიალს დავუბრუნდეთ, მსაჯობა ძალზე გააკრიტიკეს. რას ფიქრობთ, როგორ უნდა ეშველოს ამ საკითხს?**

- ვიცი, რომ ბევრს სურს ფეხბურთშიც შემოვიდეს თანამედროვე ტექნოლოგიები, მაგრამ ჩვენ ჯერ ვერ გადავდგით ეს ნაბიჯი. ისე, პირადად კონსერვატორი ვარ, როცა საქმე ფეხბურთს ეხება და, მჯერა, რომ ბევრ სიტუაციაში „მანქანა" ადამიანზე უკეთეს გამოსავალს ვერ მოძებნის.

**- ანუ თქვენ ვიდეოგამეორებების გამოყენების წინააღმდეგი ხართ?**

- არა, მთლად ასეც ნუ ვიტყვით. კარგად მესმის, რომ პროგრესის წინააღმდეგ წასვლა არასწორია, მაგრამ ხანდახან ვფიქრობ, რომ ფეხბურთი ძალიან ძნელად ეგუება ახალ წესებს.

**- მალე ფიფას წლის ფეხბურთელს დაასახელებენ, თქვენი ფავორიტი ვინ არის?**

- მინდა, რომ ესპანელმა ფეხბურთელმა მოიგოს ჯილდო. მათ დაამტკიცეს, რომ ტექნიკურადაც მაგრები არიან და გუნდურადაც. ფეხბურთი გუნდური თამაშია, მსოფლიოს ჩემპიონატი კი ესპანეთმა მოიგო. წესით, პრიზიც ესპანელს ეკუთვნის.

**- და რომელს?**

- კონკრეტული ფეხბურთელის დასახელებისგან თავს შევიკავებ.

**- აბა ნაკრების ყველა წევრი იმსახურებს „ოქროს ბურთს"?**

- არა, რა თქმა უნდა. რამდენიმე მათგანი.

**- ინტერვიუ დავიწყეთ კითხვით, როგორ მოვიგოთ მუნდიალი. დავასრულოთ კითხვით, როგორ მოვიგოთ ევროპის ჩემპიონატი?**

- თუკი ჩვენ შევძლებთ ამ ტურნირის მოგებასაც, კითხვაზე პასუხიც მაშინ მექნება. ახლა კი მომავალ მოგებებზე ვფიქრობთ, ვშრომობთ. ჩემი აზრით, 2008 წლის შემდეგ ესპანეთის ნაკრები ერთად შეკრული გუნდია, როგორც არასდროს. ეს კი იმედს მაძლევს, რომ თქვენი ბოლო კითხვის პასუხის გაცემაც მე მომიწევს...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ევრო 2012

« მე-6 გვერდიდან

**A ჯგუფი**

**8 ოქტომბერი**

20:00 ყაზახეთი-ბელგია
22:30 ავსტრია-აზერბაიჯანი
22:45 გერმანია-თურქეთი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 2 | 2 | 0 | 0 | 7-1 | 6 |
| 2. თურქეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-2 | 6 |
| 3. ავსტრია | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| 4. ბელგია | 2 | 0 | 0 | 2 | 2-4 | 0 |
| 5. აზერბაიჯანი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-6 | 0 |
| 6. ყაზახეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-5 | 0 |

**B ჯგუფი**

**8 ოქტომბერი**

19:00 სომხეთი-სლოვაკეთი
21:00 ანდორა-მაკედონია
22:45 ირლანდია-რუსეთი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ირლანდია | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| 2. სლოვაკეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 2-0 | 6 |
| 3. რუსეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-1 | 3 |
| 4. სომხეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 4. მაკედონია | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 6. ანდორა | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |

**C ჯგუფი**

**8 ოქტომბერი**

22:30 სერბეთი-ესტონეთი
22:45 ჩრ. ირლანდია-იტალია
22:45 სლოვენია-ფარერები

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იტალია | 2 | 2 | 0 | 0 | 7-1 | 6 |
| 2. სერბეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-1 | 4 |
| 3. ჩრ. ირლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 4. ესტონეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 5. სლოვენია | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 6. ფარერები | 3 | 0 | 0 | 3 | 1-10 | 0 |

**D ჯგუფი**

**8 ოქტომბერი**

22:15 ლუქსემბურგი-ბელარუსი
22:30 ალბანეთი-ბოსნია

**9 ოქტომბერი**

23:00 საფრანგეთი-რუმინეთი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ალბანეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 2. ბელარუსი | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| 3. ბოსნია | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| 4. საფრანგეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-1 | 3 |
| 5. რუმინეთი | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 6. ლუქსემბურგი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-4 | 0 |

**E ჯგუფი**

**8 ოქტომბერი**

21:00 უნგრეთი-სან მარინო
22:30 მოლდოვა-ჰოლანდია

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შვედეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 8-0 | 6 |
| 2. ჰოლანდია | 2 | 2 | 0 | 0 | 7-1 | 6 |
| 3. მოლდოვა | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 4. უნგრეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 5. ფინეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |
| 6. სან მარინო | 2 | 0 | 0 | 2 | 0-11 | 0 |

**G ჯგუფი**

**8 ოქტომბერი**

22:30 ჩერნოგორია-შვეიცარია
22:30 უელსი-ბულგარეთი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინგლისი | 2 | 2 | 0 | 0 | 7-1 | 6 |
| 2. ჩერნოგორია | 2 | 2 | 0 | 0 | 2-0 | 6 |
| 3. უელსი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 4. შვეიცარია | 1 | 0 | 0 | 1 | 1-3 | 0 |
| 5. ბულგარეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-5 | 0 |

**H ჯგუფი**

**8 ოქტომბერი**

22:00 კვიპროსი-ნორვეგია
23:45 პორტუგალია-დანია

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნორვეგია | 2 | 2 | 0 | 0 | 3-1 | 6 |
| 2. დანია | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 3. კვიპროსი | 1 | 0 | 1 | 0 | 4-4 | 1 |
| 4. პორტუგალია | 2 | 0 | 1 | 1 | 4-5 | 1 |
| 5. ისლანდია | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |

**I ჯგუფი**

**8 ოქტომბერი**

22:15 ჩეხეთი-შოტლანდია
00:00 ესპანეთი-ლიტვა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შოტლანდია | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 2. ლიტვა | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| 3. ესპანეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 4-0 | 3 |
| 4. ჩეხეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 5. ლიხტენშტაინი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-6 | 0 |

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ინტერი

# მილიტოს ეტო'ო უტევს

## სტანკოვიჩის ახალი კონტრაქტი


თანაგუნდელები და კონკურენტები

იტალიური პრესის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მილანის „ინტერის" მესვეურებმა **დეიან სტანკოვიჩთან** ხელშეკრულების გახანგრძლივება გადაწყვიტეს და სულ მალე სერბ ნახევარმცველს ახალ პირობებსაც წარუდგენენ. დეიანის კონტრაქტს მომავალ ზაფხულს გასდის ვადა და მილანელთა სურვილია, რომ ის კიდევ ორი წლით გახანგრძლივდეს. ანუ, თუ შეთანხმება შედგა, სტანკოვიჩი „ინტერში" 2013 წლის ზაფხულამდე დარჩება. შეთანხმებას კი წინ პრაქტიკულად არაფერი უდგას და ამაში თავად ფეხბურთელის პოზიცია დაგარწმუნებთ:

*„მილანში თავს შესანიშნავად ვგრძნობ, აქ ბედნიერი ვარ და არავითარი სურვილი არ მაქვს, რომ სხვაგან გადავბარგდე. მეტიც, მინდა, რომ კარიერა სწორედ „ინტერში" დავასრულო და ალბათ, ასეც იქნება. შესაბამისად, ძალიან გამახარა ცნობამ იმის შესახებ, რომ კლუბის მესვეურები ჩემთვის ახალ ხელშეკრულებას ამზადებენ. პირობები? - სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, რა პირობებს შემომთავაზებენ, მაგრამ გავრისკავ და ვიტყვი, რომ ამაზე არ ვნერვიულობ. დარწმუნებული ვარ, შეთანხმების მიღწევა არ გაგვიჭირდება".*

იტალიელი ჟურნალისტები კი თავის სტიქიაში არიან და „ინტერის" სასტარტო შემადგენლობასთან დაკავშირებით მეტად საინტერესო თემას განიხილავენ. **დიეგო მილიტოს** ტრავმის გამო, მიმდინარე სეზონში ცენტრფორვარდის პოზიციაზე **სამუელ ეტო'ო** ირჯება და თანაც, შესანიშნავად. კამერუნელმა გოლიც არაერთი გაიტანა და მთლიანობაში, მართლაც რომ შთამბეჭდავია. ამასობაში, მილიტოც გამოჯანმრთელდა და „იუვენტუსთან" პაექრობაში იასპარეზა კიდეც. გამომდინარე იქიდან, რომ ოპტიმალური ფორმისგან შორს არის, თავი ბევრი ვერაფრით დაგვამახსოვრა. შედეგად, გაჩნდა კითხვა: დარჩება თუ არა ეტო'ო ცენტრფორვარდის პოზიციაზე და თუ დარჩება, რა ბედი ელის მილიტოს? - სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლებს თუ პოზიციას შეუცვლიან? ამ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრება თავად მილიტომ გამოთქვა და უმჯობესია, სიტყვა სწორედ მას გადავცეთ:

*„ფეხბურთში ცვლილებები აუცილებელია, რადგან დინამიური სპორტია და მოვლენები ელვისებური სისწრაფით ვითარდება. სეზონის სტარტზე არცთუ კარგ ფორმაში ვარ, რასაც ტრავმა დაერთო და ამ ყველაფერმა ცენტრფორვარდის პოზიციაზე სამუელ ეტო'ოს დაყენება განაპირობა. კამერუნელი ბრწყინვალე თავდამსხმელია და სულაც არ მიკვირს, რომ ახალ პოზიციაზე თავი შესანიშნავად წარმოაჩინა. დარწმუნებული ვარ, ნახევარდაცვაში რომ დააყენო, იქაც ნაყოფიერად გაირჯება. ეს ძალიან ჩვეულებრივი ამბავია და არ მესმის, რატომ გახდა განსჯის საგანი. რაც შეეხება გუნდში ჩემი როლის შესუსტებას, ამაზე დღეს საუბარი ცოტა ნაადრევი მგონია. ალვიდგენ ფორმას და ვნახავთ, რამდენად წავადგები „ინტერს". ჩემი ღრმა რწმენით, თავი ჯერ არ ამომიწურავს და გუნდისთვის დიდი სარგებლის მოტანა შემიძლია. ყველაფერი კი მთავარ მწვრთნელზეა დამოკიდებული და მოდით, მის კომპეტენციაში ნუ ჩავერევით".*

**ლაშა წიკლაური**

### ინტერს შვაინი უნდა!

ჩვენი იტალიელი კოლეგების ცნობით, მილანის „ინტერს" „ბაიერნისა" და გერმანიის ნაკრების ლიდერის, **ბასტიან შვაინშტაიგერის** გადაბირება უნდა და ყველაფერს გააკეთებს საიმისოდ, რომ შვაინი ზამთარში ან მომავალ ზაფხულს შეიძინოს. ეს ინფორმაცია გუშინ „კორიერე დელო სპორტმა" გაავრცელა. თუკი „ინტერის" ნახევარმცველ **ტიაგო მოტას** ტრავმა გაურთულდება და დიდხანს დაისვენებს, „ნერაძურის" ხელმძღვანელები შვაინშტაიგერის ყიდვას იანვარშივე შეეცდებიან, თუ არა და, ზაფხულამდე მოიცდიან და „ბაიერნზე" იერიშებს ივნისიდან მიიტანენ.

ცნობილია, რომ შვაინშტაიგერის გადაბირება მადრიდის „რეალის" თავკაც **ჟოზე მოურინიოსაც** უნდა და თანაც, საკმაოდ დიდი ხანია (ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა პორტუგალიელი „ინტერს" წვრთნიდა). „კორიერე დელო სპორტის" ცნობით, „ინტერი" მზადაა, „რეალთან" აუქციონში ჩაებას.

გაგახსენებთ, რომ „ინტერის" ბოსმა **მასიმო მორატიმ** ჯერ კიდევ ზაფხულში თქვა, შვაინშტაიგერი ყოველთვის ძალიან მომწონდა და რამდენიმე წლის წინ „ბაიერნს" მის შესახებ ერთხელ უკვე ჩამოვუგდე სიტყვა, ახლა კი, მსოფლიოს ჩემპიონატზე მისი თამაშის ყურებისას დავრწმუნდი, რომ ბასტიანი უკვე ჩამოყალიბებული ვარსკვლავიაო.

**გოტფრიდ ლენცი**

● პალერმო



ხავიერ პასტორე

# ძამპარინის პასტორე არ ეთმობა

იტალიურ სპორტულ პრესაში გავრცელდა ცნობა, რომლის თანახმადაც მომავალ ზაფხულს „პალერმოს" პრეზიდენტი **ხავიერ პასტორეს** 50 მილიონ ევროდ გასხვისებას შეეცდება. ამ ამბავმა **მაურიციო ძამპარინიმდეც** მიაღწია და საჭიროდ ჩათვალა, კომენტარი გაეკეთებინა:

*„გაოცებული ვარ, საიდან ვრცელდება ასეთი აბსურდული ინფორმაციები. არასდროს მითქვამს, რომ პასტორეს გასხვისებას ვაპირებ და თანაც 50 მილიონ ევროდ. ეტყობა, ვილაცის ინტერესებში შედის ამ დეზინფორმაციის გავრცელება. სიმართლე კი რადიკალურად განსხვავებულია - 60 მილიონიც რომ მომცენ, ხავიერს არ გავყიდი, რადგან მისი თამაშისგან მიღებული სიამოვნება შეუფასებელია. საერთოდ, ფეხბურთით ფულის კეთება ჩემი საქმე არაა, სპორტის უპირველეს სახეობაში იმიტომ ვარ, რომ ძალიან მიყვარს და მინდა, ჩემი ქალაქის გუნდი მაღალი მიზნებისთვის იბრძოდეს. ამ სიტყვების შემდეგ, ჟურნალისტმა ლოგიკური კითხვა დასვა: „მაშინ რატომ გაყიდეთ ედისონ კავანი?" - აქვე, პასუხი: „ეს უკვე ის შემთხვევა გახლდათ, როდესაც უძლური ვიყავი. კავანი სამი წელი ემსახურა ჩვენს კლუბს და დიდი წვლილიც მიუძღვის გუნდის ბოლოდროინდელ წარმატებებში. მისივე სურვილი იყო, რომ გარემო გამოეცვალა და ბუნებრივია, ძალით ვერ დავაბავდით. ამის არც იურიდიული და არც მორალური უფლება არ გვქონდა, რადგან ედისონი გუნდის წინაშე ვალმოხდილია. რაც შეეხება პასტორეს, პირად საუბარში განმიცხადა, რომ ჯერჯერობით არსად წასვლას არ აპირებს და როგორც ზემოთ ალვნიშნე, ჩვენი ინიციატივით მას არ გავასხვისებთ".*

**ლაშა წიკლაური**

● სავარაუდო ტრანსფერი

# კაკას მილანური არჩევანი

ძალიან საინტერესო ინფორმაციასავრცელებს ტურინული „ტუტოსპორტი", რომლის თანახმადაც „მილანის" მესვეურები ზამთრის სატრანსფერო პერიოდში **კაკას** დაბრუნებას შეეცდებიან. ბრაზილიელმა შემტევმა ტრავმა მოიშუშა, თუმცა მოხვდება თუ არა „რეალის" სასტარტო შემადგენლობაში, ძნელი სათქმელია. ამბობენ, **ჟოზე მოურინიო** იმის წინააღმდეგი არ არის, რომ კაკა სხვა გუნდში გადაბარგდეს.

იტალიელი ჟურნალისტები იმ სქემაზე საუბრობენ, რომელსაც „როსონერის" ვიცე-პრეზიდენტი **ადრიანო გალიანი** ამუშავებს. გეგმის მიხედვით, მილანელები მადრიდელ კოლეგებს მთლიანობაში 24 მილიონ ევროს შესთავაზებენ, რომელსაც სამი წლის განმავლობაში დაფარავენ. ანუ, „მილანი" სამეფო კლუბს წელიწადში რვა მილიონ ევროს გადაურიცხავს. ბევრი რამ იმაზე იქნება დამოკიდებული, რა პოზიციას დაიკავებს თავად ფეხბურთელი - როგორც ამბობენ, მადრიდში თავს მთლად კომფორტულად ვერ გრძნობს და თუ ეს მართლაც ასეა, დიდია შანსი გარიგება შედგეს.

საინტერესოა, რომ კიდევ ერთმა აპენინურმა გამოცემამ, „კორიერემ" კაკასთან დაკავშირებით სხვა ინფორმაცია გაავრცელა - საუბარია ბრაზილიელით „ინტერის" მესვეურთა დაინტერესებაზე. ჟურნალისტის მტკიცებით, **მასიმო მორატიც** ზამთარში აპირებს ბრაზილიელის გადაბირებას, მხოლოდ ამ შემთხვევაში საიჯარო ხელშეკრულებაზეა საუბარი. გამორიცხული ნამდვილად არ არის, რომ კაკას მიმართ ორივე კლუბს ჰქონდეს ინტერესი - ამ შემთხვევაში კი არჩევანის გაკეთება თავად ფეხბურთელს მოუწევს.

**ლაშა წიკლაური**


დაბრუნდება კაკა მილანში?

● იუვენტუსი

# კიელინი: ფავორიტი ინტერია

ტურინის „იუვენტუსის" ერთ-ერთი ლიდერი **ჯორჯო კიელინი** მიიჩნევს, რომ იტალიურ კლუბებს შორის საუკეთესო მაინც „ინტერია". თუმცა, მიუხედავად ამისა, მომავალს ოპტიმისტურად უყურებს და იმედოვნებს, რომ მისი გუნდი ძლიერ მეტოქეს ღირსეულ კონკურენციას გაუწევს:

*„უნდა ვაღიარო, რომ „ინტერი" უფრო ძლიერია და მათთან კონკურენციის გაწევა ურთულესი იქნება. თუმცა, იმედი მაქვს, რომ ბრძოლის ისეთი ჟინი აღარ აქვთ, როგორც წინა წლებში და შესაბამისად, მათთან ჩამორჩენას მალე ალმოვფხვრით. რაც შეეხება ჩვენს თამაშს, წუნი ჯერ კიდევ ბევრია და აშკარაა, რომ ოპტიმალური ფორმისგან შორს ვართ. მთავარია, რომ რაც შეიძლება მალე გამოვასწოროთ ხარვეზები და ამ რთულ პერიოდში დაუგეგმავი ქულები არ დავკარგოთ. ლუიჯი დელ ნერიმ იცის რასაც აკეთებს და ჯერ კიდევ სეზონის დაწყებამდე გვეუბნებოდა, რომ სტარტი რთული იქნებოდა".*

კიელინიმ საამსეზონო მიზნებზე ისაუბრა და შემდეგი განაცხადა: *„ზემოთ „ინტერთან" კონკურენციაზე ვისაუბრე, რაც იმას ნიშნავს, რომ ძალიან გვინდა სკუდეტოსთვის ვიბრძოლოთ. სხვაგვარად არც შეიძლება იყოს, რადგან ჩვენ „იუვენტუსის" ღირსებას ვიცავთ. თუმცა, თუ ოთხეულში მოვხვდით და ჩემპიონთა ლიგის საგზური მოვიპოვეთ, ვფიქრობ, რომ სეზონი წარმატებულად უნდა ჩაითვალოს. ევროპის უპრესტიჟულეს საკლუბო ტურნირში დაბრუნება იმის საშუალებას მოგვცემს, რომ მომავალ ზაფხულს მსოფლიო დონის ვარსკვლავები მოვიზიდოთ. ასე რომ, პროგრამა მინიმუმი სწორედ ლიგის ზონაში მოხვედრაა".*

**ლაშა წიკლაური**



ჯორჯო კიელინი

● რომა

# სენსის ანტიკრიზისული გეგმა

აპენინელ ჟურნალისტთა და ექსპერტთა დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ „რომას" კრიზისიდან გამოსაყვანად მთავარი მწვრთნელის შეცვლაა საჭირო. იმასაც კი აცხადებენ, რომ **კლაუდიო რანიერისა** და ფეხბურთელებს შორის შავმა კატამ გაირბინა და ასეთ პირობებში რაიმე წარმატებაზე ფიქრი, ფაქტობრივად წარმოუდგენელია. განსხვავებული მოსაზრება აქვს კლუბის პრეზიდენტს, **როზელა სენსის**, რომელიც „გაძეტა დელო სპორტის" ჟურნალისტს გაესაუბრა:

*„რანიერი ჩვენი ნდობით სარგებლობს და ამ ეტაპზე, მისი სხვა მწვრთნელით ჩანაცვლება არ იგეგმება. გამოცდილება მკარნახობს, რომ რთულ პერიოდში მუშაობა უნდა გააორმაგო და მხოლოდ საქმეზე იყო კონცენტრირებული. ამ პროცესს ლაპარაკი უშლის ხელს და ამიტომ, ფეხბურთელებს ჟურნალისტებთან ურთიერთობა აკრძალული აქვთ. მთავარია, დიდი დრო გაატარონ საწვრთნელ ბაზაზე, სატრენაჟორო დარბაზში და რეჟიმში ჩადგნენ. მხოლოდ ასე დავძლევთ კრიზისს და გავაჩუმებთ კრიტიკოსებს. მჯერა, რომ ამ ყველაფერს რანიერისთან ერთად გავაკეთებთ".*

**ლაშა წიკლაური**

## უცხოური ფეხბურთი

ინგლისი



რობერტ გრინის ყბადაღებული შეცდომა

# კლემენსი: ფაბიო გრინს რომ არ იძახებდა, მართალი იყო

ინგლისის ნაკრების მეკარეთა მწვრთნელი **რეი კლემენსი** დარწმუნებულია, რომ **რობერტ გრინს** მსოფლიოს ჩემპიონატზე ამერიკელებთან შეხვედრაში **კლინტ დემპსის** დარტყმული ბურთის კურიოზულად გაშვების შემდეგ კიდევ რომ ეთამაშა და რაიმე შეშლოდა, შეიძლება მარტო კარიერა კი არა, მთელი ცხოვრება დამახინჯებოდა. „ლივერპულის" ლეგენდარულმა მეკარემ სამხრეთ აფრიკაში გრინის „თავგადასავალი" საკუთარი თვალით ნახა. ასე რომ, მისი დასკვნები უშუალო დაკვირვებასა და შთაბეჭდილებაზეა დაფუძნებული.

შეგახსენებთ: „ვესტ ჰემის" მეკარე ინგლისელთა თავკაცმა ამერიკელებთან მატჩში ბოლომდე ათამაშა, შემდეგ შეხვედრაში, ალჟირთან კი აღარ გაიყვანა მოედანზე. მსოფლიოს ჩემპიონატის დანარჩენ თამაშებში კარს **დევიდ ჯეიმსი** იცავდა. და აი, გრინი კვლავ გამოძახებულია - 12 ოქტომბერს ინგლისელები ჩერნოგორიას ხვდებიან და ამ მატჩში მონაწილეობისთვის კაპელომ გრინს უხმო. დავაზუსტოთ: იტალიელ მწვრთნელს „ჩაქუჩთა" გოლკიპერი არც მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ, ამხანაგურ და „ევრო 2012"-ის შესარჩევ შეხვედრებში გამოუძახია.

კლემენსი ამბობს, რომ მისთვის სრულიად გასაგებია, თუ რატომ იყო აუცილებელი ნაკრების ხელმძღვანელთა მხრიდან გრინის დროებით უგულებელყოფა.

*„ეს ფაბიოს გადაწყვეტილება გახლდათ და რომ ვაკვირდები, ცამდე მართალიც იყო. ბიჭი ისედაც ძალიან დიდი ყურადღებისა და ზეწოლის ქვეშ იყო. ასეთი სტრესის ქვეშ, ღმერთმა დაიფაროს, კიდევ ერთი შეცდომა რომ მოსვლოდა, მისი კარიერა კი არა, მთელი ცხოვრება დამახინჯდებოდა".*

გეხსომებათ, სექტემბერში „ვესტ ჰემისა" და „ტოტენჰემის" პრემიერლიგური თამაშის შემდეგ გრინმა პრესის ლოჟაში მსხდომთ უხამსი ჟესტი აჩვენა. საქმე ის არის, რომ იმ შეხვედრაში 30 წლის გოლკიპერმა საუცხოოდ ითამაშა და ეს ჟესტი მისი შურისძიება იყო. კლემენსი ამბობს, რომ გრინი ძლიერი ხასიათის ადამიანია, რომელსაც მიუხედავად იმისა, რომ ნაკრებში აღარ იძახებდნენ, გულის სიღრმეში ეროვნულ გუნდში თამაშზე უარი არასდროს უთქვამს.

*„არა მგონია, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ მას ფარ-ხმალი დაეყარა და ნაკრებში თამაშზე უარი ეთქვა. რამდენადაც ვიცი, ახლანდელი გამოძახება მან დიდი სიხარულით მიიღო და შეკრებაზე მოუხაროდა. კარგი მეკარეები 40 წლამდე თამაშობენ. გრინი მტკიცე ხასიათის ადამიანია და ეს აშშ-სთან შეხვედრის შემდეგ დაამტკიცა. ძალიან ბევრი ფეხბურთელი, მის ადგილას, დაიმალებოდა, გაიბუტებოდა, საკუთარ თავში ჩაიკეტებოდა, მან კი რეალობას თვალი გაუსწორა და თქვა: დიახ, ეს ჩემი შეცდომაა, რომელმაც ბევრი რამ მასწავლა. ამიერიდან მასთან ერთად ვიცხოვრებ და მის მაგალითზე გავიზრდები. ვფიქრობ, დღეს თუ არა, ერთ მშვენიერ დღეს ის კვლავ ნაკრების მთავარი გოლკიპერი გახდება".*

მანჩესტერ სიტი

# მანჩინი: სწორად მოვიქეცი, ტევესს რომ ვეჩხუბე...

„მანჩესტერ სიტის" მწვრთნელი **რობერტო მანჩინი** ამბობს, რომ **კარლოს ტევესთან** კონფლიქტი უსიამოვნო, მაგრამ აუცილებელი იყო. შეგახსენებთ: პრემიერლიგის ბოლო ტურში, ისტლენდელთა და ნიუკასლელთა შეხვედრის შესვენებისას იტალიელსა და არგენტინელს შეხლა-შემოხლა მოუვიდათ. სხვები შუაში რომ არ ჩამდგარიყვნენ, მწვრთნელი და ფორვარდი შეიძლება ფიზიკურადაც შეხებოდნენ ერთმანეთს. მანჩინი გინებაზე გაფიცხდა, თუმცა დღეს დამშვიდებული ასე ამბობს:

*„ის, რაც ჩვენს გასახდელში მოხდა, ყველგან ხდება და სხვათა შორის, ცუდი არ არის. „ნიუკასლთან" შეხვედრის პირველ ტაიმში „სიტის" აშკარად ეძინა. ფეხბურთელები ჩემი და ტევესის ჩხუბმა გამოაფხიზლა. მინდა გითხრათ, რომ ინგლისში იტალიისგან განსხვავებით, მოთამაშეებს პერიოდულად გამოფხიზლება სჭირდებათ. ტევესთან ჩემი კონფლიქტი ძალიან უსიამოვნო იყო, თუმცა შედეგი გამოიღო. მეორე ტაიმში სულ სხვა ფეხბურთი ვითამაშეთ. რაც შეეხება ურთიერთობას, ჩვენ ყველაფერი შესვენებაზევე მოვაგვარეთ, თამაშის მიწურულს კი ხელიც ჩამოვართვით ერთმანეთს".*

სხვათა შორის, ტევესმა იმ შეხვედრაშიც გაიტანა გოლი, ოღონდ ჩხუბამდე, პირველ ტაიმში, პენალტით. მანჩინიმ კონფლიქტის მიუხედავად ტევესი შეაქო:

*„მას გოლები პრინციპულ შეხვედრებში გააქვს. აქ, პრემიერლიგაში ტევესი მაღალ მცველებს ებრძვის, ტოლს არავის უდებს და ნამდვილად განსაკუთრებული თავდამსხმელია. ძალიან მინდა ის მრავალმხრივ განვითარდეს. მარტო გოლების გატანას არ ვგულისხმობ, განვითარებას ბევრი ასპექტი აქვს".*

ზემოთ ტევესის გოლი რომ ვახსენეთ, მიმდინარე სეზონში მისთვის მეხუთე იყო. იმ დღეს, „ნიუკასლმა" ანგარიში გაქვითა, შესვენების შემდეგ კი შეცვლაზე შესულმა **ადამ ჯონსონმა** გამარჯვებისა გაიტანა.

როგორც მოგახსენეთ, ადამ ჯონსონი შეცვლაზე შევიდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მანჩინიმ ის სასტარტო შემადგენლობაში არ ათამაშა. ამბობენ, რომ ამან ჯონსონი ძალიან გაანაწყენა. რატომ არ ათამაშა მწვრთნელმა იგი „ნიუკასლთან" თავიდანვე? საქმე ის გახლავთ, რომ მანჩინიმ ჯონსონი წინა შეხვედრაში „ბლექბერნთან" შეცვალა და ფეხბურთელმა უკმაყოფილება გამოხატა. როგორც ჩანს, მწვრთნელის შემდეგი ნაბიჯი მოთამაშის დასჯა იყო.



რობერტო მანჩინი

*„ადამი ახალგაზრდაა და ჯერ ბევრი რამ აქვს სასწავლი - თქვა იტალიელმა - მან უნდა გაიგოს, რომ ერთი და იმავე მოწინააღმდეგის ექვსჯერ მოტყუება სულაც არ ნიშნავს კარგად თამაშს. მოწინააღმდეგეს რომ მოატყუებ, მერე ან საგოლე პასი უნდა გადააწოდო ან თავად შეაგდო, როგორც ეს თავად ჯონსონმა გააკეთა „ნიუკასლთან" შეხვედრაში. მჯერა თუ არა ადამის შესაძლებლობების? რომ არ მჯეროდეს, მასთან ასე არც ვიმუშავებდი".*

მიმდინარე სეზონში მანჩინის ხშირად აკრიტიკებენ, რომ გუნდს ულამაზო ფეხბურთს ათამაშებს. თავად, თავდასხმაში მარტო მიტოვებული ტევესიც უკმაყოფილოა, რომ ისტლენდელები დაცვას ზედმეტ ყურადღებას აქცევენ.

მანჩინი თავს ასე იმართლებს: *„ადებაიორი ახლა მოშუშდა, ბალოტელი ჯერაც მკურნალობს. ვერ თამაშობენ სწრაფი განაპირა მცველები, ბოატენგი და კოლაროვიც, რომელთა გარეშე ბურთის თავდასხმაში სწრაფი გადატანა ძალიან ძნელია".*

დაბოლოს, შეეგუა თუ არა რობერტო მანჩინი ინგლისს: *„ოჯახი ინგლისში გადმოვიყვანე და ჩვეულებრივი ინგლისური ცხოვრებით ვცხოვრობთ. სხვა რა შემიძლია გითხრათ, ამ ქვეყანას ერთადერთი ამინდი თუ დაეწუნება. სხვა ყველაფერი ჩინებულია".*

ლივერპული

# ჰოჯსონი ბეწვის ხიდზე

საინტერესო დეტალი „ლივერპულის" მწვრთნელის **როი ჰოჯსონის** კონტრაქტიდან: კლუბს მეპატრონის შეცვლის შემთხვევაში მწვრთნელთან თანამშრომლობის შეწყვეტა შეუძლია. მოგეხსენებათ, ჰოჯსონმა მერსისაიდელებთან ხელშეკრულება გასულ ზაფხულს გააფორმა და, როგორც ირკვევა იმთავითვე იცოდა, რომ „ენფილდ როუდზე" შეფების შეცვლის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ წამოიჭრებოდა მისი სამსახურის საკითხი. ცნობილია აგრეთვე, რომ იმავე კონტრაქტის თანახმად „გაყრის" შემთხვევაში მწვრთნელი სრულყოფილ კომპენსაციას მიიღებს.



როი ჰოჯსონი

თუმცა, ეს ყველაფერი იურიდიული მხარეა. პრაქტიკულად რა ხდება? რას აპირებს „ლივერპულის" მომავალი პატრონი, ბეისბოლის კლუბის „ბოსტონ რედ სოქსისა" და მრავალი სხვა სპორტული ორგანიზაციის მესაკუთრე **ჯონ ჰენრი**? ეს ჯერჯერობით ცნობილი არ არის. ამ დღეებში ინგლისს New England Sports Venture-ის სამი წარმომადგენელი ესტუმრა, მაგრამ ისინი ჰოჯსონს ჯერ არ შეხვედრიან და არავინ იცის, რა გზას აირჩევენ.

„ლივერპულის" პრესმდივანმა განაცხადა: *„კლუბში მწვრთნელით ძალიან კმაყოფილები არიან. დირექტორატი როი ჰოჯსონს ენდობა და დარწმუნებულია, რომ ის „ლივერპულისთვის" ზედგამოჭრილი პიროვნებაა".*

თუმცა, ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ეს ძველი, უფრო სწორად კი ჯერჯერობით მოქმედი დირექტორატის მოსაზრებაა, ხოლო რას იტყვიან ახლები, მომავალში გაირკვევა.

„ლივერპულში" მომუშავე მავანმა ადამიანმა ტაბლოიდებს განუცხადა: *„ახალი მეპატრონეები მწვრთნელს ჯერ არ შეხვედრიან, თუმცა ზუსტად ვიცით, რომ შეხვდებიან და გაარკვევენ, სურს თუ არა მათთან მუშაობა. „ის, რომ კლუბი იყიდება და მას* New England Sports Venture *ყიდულობს, ძალიან კარგია. რასაკვირველია, ეს მახარებს. კარგად ვიცი, რამდენი იმუშავა დირექტორატმა რთული მდგომარეობიდან საუკეთესო გამოსავალი რომ მოძებნა".*

ჟილბლო

## ყველა საზიზღრობამ ერთად მოიყარა თავი

„ნიუკასლ იუნაიტედის" მწვრთნელი **კრის ჰაფტონი** დარწმუნებულია, რომ მისი თავდამსხმელი **ენდრიუ ქეროლი** მალე ალიდგენს ფორმას და ძველ პოზიციას დაუბრუნდება. საქმე ისაა, რომ 21 წლის ფეხბურთელი ჩერნოგორიასთან სათამაშოდ ნაკრებში არ გამოიძახეს და მეტიც, არც ახალგაზრდულ გუნდში უხმეს რუმინელებთან შესახვედრად. არადა, სეზონის დასაწყისში მშვენიერ ფორმაში მყოფი ფორვარდისგან მხოლოდ ალმასვლას ელოდნენ.

როგორც ხდება ხოლმე, თუ კაცს ცუდი პერიოდი უდგას, ეს ცხოვრების ყველა სფეროს ეხება - გასულ დეკემბერში ნიუკასლის ცენტრში ფიცხი ხასიათით ცნობილმა ფორვარდმა იჩხუბა და მაშინდელი ამბის სასამართლომაც კი ახლა უნია. და მოედანზე? ქეროლმა აგვისტოში, „ასტონ ვილასა" და „ვულვერჰემპტონის" კარში ოთხი გოლის გატანის შემდეგ ბურთი ვერავის კარში ვერ შეაგდო. შემდეგ, ფეხბურთელს გრიპი შეეყარა და დასუსტებული პრემიერლიგის ბოლო ტურის შეხვედრაში „მანჩესტერ სიტის" წინააღმდეგ არ ათამაშეს. ის შეხვედრის მიწურულს მხოლოდ 13 წუთით შეუშვეს მოედანზე.

ჰაფტონმა განაცხადა: *„მართალი გითხრათ, არ მგონია, რომ ენდიმ ნაკრებში არგამოძახება ძალიან განიცადა. საქმე ის არის, რომ მის შესახებ პრესაში ძალიან ბევრი იწერებოდა და იმისათვის, რომ ნაკრებში არ გამოიძახებდნენ, შინაგანად მზად იყო. მან ძალიან კარგად იცის, რომ ახალგაზრდაა და ჯერ ბევრი რამ უნდა ისწავლოს. ქეროლი აუცილებლად ისწავლის ჭკუას, გააანალიზებს ყველაფერს, რაც ამ სეზონში თავს გადახდა და კარგ შედეგსაც მიიღებს. „მანჩესტერ სიტისთან" რატომ არ ვათამაშე? იმიტომ, რომ გრიპით იყო ავად და დასუსტებული აღარ დავტვირთე. მისი კარიერის ამ ეტაპზე ალმასვლა და დაცემა სრულიად ლოგიკურია".*

მანჩესტერ იუნ.



სერ ალექს ფერგიუსონი

# ფერგი: სამწუხაროდ, მკვლელები არ ვართ

**სერ ალექს ფერგიუსონმა** აღიარა, რომ მის გუნდს „მკვლელის ინსტინქტი" აკლია. ლეგენდარულ სქოთს „მანჩესტერ იუნაიტედზე" ასე თქმამ პრემიერლიგის შვიდ შეხვედრაში ოთხი ფრის გამო მოუწია. კერძოდ, მრავლისმნახველმა სპეციალისტმა ბრძანა:

*„ჩემს დღევანდელ გუნდს მეტოქეთა „განგმირვის" უნარი არ აქვს, რაც ერთ-ერთი იმ ნაკლთაგანია, აუცილებლად და სასწრაფოდ რომ უნდა გამოსწორდეს. მაგალითად, ლონდონში, „ფულჰემს" რომ ვხვდებოდით, თამაშის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე პენალტი ვერ გავიტანეთ. რომ გაგვეტანა, ანგარიში 3:1 გახდებოდა და ამით ყველაფერს წერტილი დაესმებოდა. აი, ასეთი მომენტების ხელიდან გაშვებით ჩვენ ამ სეზონში უკვე ბევრი ქულა დავკარგეთ. უარესი ამბავი მოხდა ლივერპულში, „გუდისონ პარკზე" ევერტონთან თამაშის დროს. იმ შეხვედრაში, მსაჯის დამატებულ დროში ორი გოლი გავუშვით. ეს დაუჯერებელი გახლდათ. მსგავს შეცდომებს და დაუდევრობას დიდი ფასი აქვს".*

და მაინც, „მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცი მიიჩნევს, რომ მისი გუნდის მთავარი ნაკლი იმდენად თავდასხმაში არ უნდა ვეძიოთ, რამდენადაც დაცვაში.

*„კარგად თუ დავაკვირდებით, ჩვენ გოლების გატანის პრობლემა არ გვაქვს. „ლივერპულს" ერთ შეხვედრაში სამი გავუტანეთ. სამ-სამი შევაგდეთ „ევერტონის", „ვესტ ჰემისა" და „ნიუკასლის" კარშიც, რაც მხოლოდ და მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მოწინააღმდეგის კარში ბურთის შეგდება არ გვიჭირს".*

ფერგიუსონმა პრემიერლიგის ლიდერზე „ჩელსიზეც" თქვა ორიოდ სიტყვა... რასაკვირველია, მწარე. მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთლონდონელები ცხრილს შთამბეჭდავად ლიდერობენ და „იუნაიტედს" 5 ქულით უსწრებენ, სერ ალექსი დარწმუნებულია, რომ ამაში დიდი როლი კალენდარმა ითამაშა.

*„თუ „ჩელსის" კალენდარს ერთხელაც გადახედავთ, იფიქრებთ, რომ გუნდს ყველა თამაში მართლაც უნდა მოეგო. ჩვენ კი სტუმრად ვიყავით „ფულჰემთან" და ევერტონთან და „ლივერპულს" ვუმასპინძლებთ. შეადარეთ, ეს თამაშები „ჩელსისას"...*

კიდევ „იუნაიტედის" თავკაცმა თქვა, რომ იანვარში „უიგან ატლეტიკიდან" შეიძლება იჯარით გაშვებული 21 წლის **ტომ კლივერლი** დაიბრუნოს.

*„ტომი დიდი ფეხბურთელი გახდება. მე მისი თამაში ძალიან მომწონს. ვიცი, რომ ფანები მასზე უკვე ლაპარაკობენ და ცამდე მართალნიც არიან, რადგან ტომი კლივერლი ის ფეხბურთელია, რომელსაც შემდეგი თაობის ვარსკვლავად ალიარებენ. რატომ გავუშვი სხვა გუნდში? ვფიქრობდი, რომ მისი განვითარებისთვის საჭირო თამაშების რაოდენობას ვერ დავუთმობდი და მინდოდა, ხუთი ან ექვსი თვით სხვაგან მოესინჯა ძალა. დარწმუნებული ვარ, ის გამოცდილება, რომელიც მან „უიგანში" შეიძინა, კლივერლის ძალიან გამოადგება".*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყურადღების ცენტრში

# სადაური ხარ, ბიჭო, შენ?

## მესუთ იოზილს დღეს ძალიან მძიმე დღე აქვს


თურქული ფესვების მქონე გერმანელი მესუთ იოზილი

გერმანიის ნაკრები თურქეთის ეროვნული გუნდის წინააღმდეგ: ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მესამე ტურის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი **მესუთ იოზილისთვის** განსაკუთრებული მოვლენაა. 21 წლის ფლეიმეიკერმა, რომელიც ახლა მადრიდის „რეალის" ღირსებას იცავს, ორი წლის წინ თავის კარიერაში უმნიშვნელოვანესი არჩევანი გააკეთა: თურქული ფესვების მქონე გერმანელს, რომელიც გელზენკირხენში დაიბადა და გაიზარდა, ან გერმანიის ნაკრებში უნდა ეთამაშა, ანაც მშობლიური თურქეთის ეროვნულ გუნდში. იოზილმა გერმანია აირჩია და დღეს ის თავისი მშობლიური ნაკრების წინააღმდეგ ითამაშებს, რაც ახალგაზრდა ვარსკვლავისთვის უდიდესი ტვირთია. მესუთს თურქეთში ყველა აკრიტიკებდა და არც დღეს აქებენ. ამ მხრივ განსაკუთრებით **ჰამით ალთინთოფი** გამოირჩევა, რომელიც ასევე გელზენკირხენში დაიბადა და გაიზარდა, მაგრამ გერმანიის ნაკრებში თამაშს, თურქეთის დროშის ქვეშ ასპარეზობა ამჯობინა და როცა ამის საშუალება ეძლევა, იოზილს ყოველთვის კბილს გაჰკრავს ხოლმე. დღეს ჰამითი და მესუთი ერთმანეთის წინააღმდეგ წარდგებიან.

გერმანიის ნაკრების სპონსორმა, რომელიც ბერლინში ბუნდესგუნდის პრესკონფერენციებს ასპონსორებს, დარბაზში, სადაც ამ დღეებში ბუნდესმწვრთნელი და ფეხბურთელები სიტყვით გამოდიოდნენ, გერმანიის ნაკრების ფეხბურთელების დიდი ფიგურები დადგა. იოზილის ფიგურა კი ყველაზე წინ განათავსეს - **მიროსლავ კლოზეს**, მუნდიალის ბომბარდირ **თომას მიულერისა** და თვით დროებით კაპიტან **ფილიპ ლამის** ფიგურების წინ, რაც მესუთს მაინცდამაინც არ მოსწონებია. მისთვის 100 ჟურნალისტის თვალწინ პრესკონფერენციის ჩატარება ისეთივე გამოწვევაა, როგორიც მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი იქნებოდა - მით უმეტეს იმ დროს, როცა პრესკონფერენცია გერმანიისა და თურქეთის მატჩს ეხება. ზოგადად, იოზილს ამ დღეებში ძალიან ბევრი რამ უშლის ხელს. ჯერ ერთი, 21 წლის ფეხბურთელისგან უკვე იმას ითხოვენ, რომ გერმანიის ნაკრების წამყვანი მოთამაშე, იდეალური გამთამაშებელი იყოს; მეორე: მადრიდის „რეალის" ძირითად შემადგენლობაში ადგილი უნდა დაიმკვიდროს, რაც ფაქტობრივად საფეხბურთო ოლიმპის დაპყრობას ნიშნავს. მესამე: მსოფლიოს ჩემპიონატზე მან მთელი საფეხბურთო სამყაროს ყურადღება მიიქცია და ვალდებულია, პროგრესი არ შეწყვიტოს, რასაც ახერხებს კიდეც - გერმანიის საფეხბურთო კავშირის სტატისტიკით, მუნდიალის მერე ყველაზე მეტად სწორედ იოზილის პოპულარობა გაიზარდა. მეოთხე და ყველაზე მთავარი: თურქეთთან მატჩში მესუთი საუკეთესო, მისაბაძი მაგალითი უნდა იყოს არაგერმანელის გერმანიაში ინტეგრაციისა. დაგვეთანხმებით, რომ ეს ყველაფერი 21 წლის ბიჭისთვის ძალიან ბევრია და დიდი შანსია, რომ მესუთმა დღეს მაინცდამაინც ვერ გაიბრწყინოს.

გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრესმდივან **ჰარალდ შტენგერის** თქმით, ამ დღეებში მას იოზილთან ინტერვიუს ჩამორთმევის თხოვნით 400-ზე მეტმა ჟურნალისტმა მიმართა. გერმანია-თურქეთი - ეს ის მატჩია, რომლის დროსაც ყველა მესუთს დაუწყებს ყურებას. მიუხედავად იმისა, რომ მას მერე, რაც იოზილმა თურქეთის ნაკრებს ბუნდესგუნდი ამჯობინა ორი წელი გავიდა, მისი მშობლების ნამდვილ სამშობლოში მესუთს დღემდე აკრიტიკებენ. თვითონ კი ამბობს, ყველაფერი კარგადაა და თურქეთიდან ახლა უკვე უფრო პოზიტიური შეფასებები მომდის, ვიდრე ნეგატიური, მაგრამ ასე აშკარად არაა საქმე.

**ჰამით ალთინთოფმა** გუნდში თამაშობს. გუშინწინ „ზუდდოიჩე ცაითუნგს" ინტერვიუ მისცა, სადაც ის ამბობს: *„ტოლერანტული ადამიანი ვარ და მესუთის არჩევანს პატივს ვცემ, რადგან ეს მისი პირადი არჩევანია, მაგრამ ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ მისი გადაწყვეტილება მომეწონა. საქმე ის არის, რომ გერმანიის ნაკრების ფეხბურთელის რანგში იოზილი უფრო ცნობილი ადამიანია და უფრო მაღალ ხელფასსაც გამოიმუშავებს. მისი ფასი ახლა გაცილებით დიდია, ვიდრე თურქეთის ნაკრების ფეხბურთელობის შემთხვევაში იქნებოდა. მოკლედ, საქმე სწორედ ამაშია. რაც არ უნდა ილაპარაკონ მისიონერებმა, იოზილის გადაწყვეტილებას „არაგერმანელის გერმანიაში ინტეგრაციასთან" არავითარი კავშირი არ აქვს. გერმანიაში მეც იდეალურად ვარ ინტეგრირებული. აქ დავიბადე და გავიზარდე, იდეალურად ვიცი გერმანული ენა და ჩემი ნაშოვნი ფულიდან გერმანიას საკმაოდ დიდ გადასახადებს ვუხდი, მაგრამ მშობლიურ ნაკრებზე უარი არ ვთქვი!"*

ჰამით ალთინთოფის ეს სიტყვები ნაღდად არ მოეწონებოდათ გერმანიის საფეხბურთო კავშირში, სადაც დღენიადაგ თავს იქებენ იმის გამო (მაგალითისთვის ბუნდესგუნდის მენეჯერ **ოლივერ ბირჰოფის** სიტყვებს მოვიშველიებთ), თუ როგორ ეხუტება მუსლიმანი მესუთ იოზილი ქრისტიან **კაკაუს**. ბირჰოფი ამბობს, ეს ინტეგრაციის სიმბოლოა, სიმბოლო იმისა, თუ როგორ ცხოვრობს ხალხი გერმანიაშიო. ბირჰოფი იმასაც სიამაყით იხსენებს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის დროს იოზილს სიამოვნებით უპოვეს მეჩეთი...

ამ სიტყვების შემდეგ თვითონ იოზილს რაღა უნდა ეთქვა? ბირჰოფის განცხადების შემდეგ მან მხოლოდ ესღა დასძინა: *„ინტეგრაციის სფეროში გერმანიის საფეხბურთო კავშირზე უკეთესი მაგალითი არ არსებობს! ამას ჯერ კიდევ ბავშვობაში ვგრძნობდი."* ცხადია, მესუთმა იმაზეც ისაუბრა, რომ ძალიან ამაყობს გერმანიის ნაკრების ფეხბურთელობით და რომ სხვა ნაკრებში თამაშზე არასდროს უფიქრია.

დღევანდელი მატჩის წინ მესუთი მშვიდად გამოიყურება, მაგრამ ეს უფრო მოჩვენებითი სიმშვიდეა. მან იცის, რომ მთელი თურქეთი მას დაუწყებს ყურებას და თანამემამულეების უმრავლესობას არაერთი სალანძღავი სიტყვაც წამოსცდება. თვითონ კი მაინც ამბობს, მე ჩემი მეგობრების წინააღმდეგ ვთამაშობ და ძალიან მიხარია, მოუთმენლად ველი მატჩის დაწყებასო.

პრესკონფერენციაზე, იოზილთან და ბირჰოფთან ერთად, ფილიპ ლამიც იჯდა. ორი აზრი არ არსებობს, ამ ტრიოდან ყველაზე პოპულარული და ძვირფასი დღეს მესუთ იოზილია, მაგრამ მას ოდნავადაც ვერ შეატყობდით, რომ „რეალის" ფეხბურთელია და **კრისტიანო რონალდოს** გვერდით, **ჟოზე მოურინიოს** ხელმძღვანელობით ვარჯიშობს. მესუთი უფრო იმ მორცხვ აუტის მომწოდებელ ბავშვს ჰგავდა, რომელმაც ეს ესაა, გერმანიის ნაკრებთან ერთად ერთი დღის გატარება რაღაც გათამაშებაში მოიგო.

კითხვაზე, გამოიწვევს თუ არა **ბასტიან შვაინშტაიგერის** ტრავმა ავტომატურად იმას, რომ მოედანზე შეფი იოზილი იქნება, მესუთმა ასეთი პასუხი გასცა: მოედნის ცენტრში სამი ხედირას უფრო მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება, მე უფრო მშვიდი ტიპი ვარ, რომელიც უბრალოდ თავის საქმეს გააკეთებსო...

შალკე


შალკეს თავკაცი ფელიქს მაგათი საგონებელშია. მისმა გუნდმა სეზონი ამაზრზენად დაიწყო და შვიდი ტურის შემდეგ, ბოლოსწინა, მე-17 ადგილზეა

# კრიზისი არა, ისა...

## ფელიქს მაგათი სადღაც იტყუება

სეზონის დაწყებამდე, ფეხბურთში გარკვეული ნებისმიერი ადამიანისთვის რომ გეკითხათ, აუცილებლად გეტყოდათ, რომ „შალკე" წელს გერმანიის ჩემპიონობისთვის იბრძოლებდა. მიზეზი მარტივია: ერთი წლის წინ გელზენკირხენული კლუბის მთავარ მწვრთნელად **ფელიქს მაგათი** დაინიშნა, რომელმაც მოყვარულთა გუნდიდან გადმოყვანილი ფეხბურთელებით (მაგალითად **ჟოელ მატიპი, ლუკას შმიტცი**) „ხუმარები" მეორე ადგილზე გაიყვანა და ბოლო ტურამდე სდია მომავალ ჩემპიონ „ბაიერნს". და რაკი ამ ზაფხულს „შალკეში" კიდევ არაერთი ცვლილება განხორციელდა, მაგათის გუნდისგან ყველა მხოლოდ და მხოლოდ ერთს, ჩემპიონობისთვის ბრძოლას ელოდა.

ზაფხულში ფელიქსმა „შალკე" ძირფესვიანად შეცვალა. გუნდიდან გაუშვა **კევინ კურანი, მარსელო ბორდონი, რაფინია** და **ჰაიკო ვესტერმანი**. ოთხივე მათგანი ძირითადი შემადგენლობის განუყრელი წევრი იყო. სამაგიეროდ, ფელიქსმა გელზენკირხენში ისეთი ტიპაჟები გადაიყვანა, როგორებიც **რაული** და **კლაას იან ჰუნტელაარი** არიან. იყო კიდევ 11 (!) ტრანსფერი, მაგრამ ყველა ფეხბურთელის ჩამოთვლას აღარ დავიწყებთ (ისედაც არაერთხელ ჩამოგვითვლია).

მიუხედავად ამისა, კერძოდ კი იმისა, რომ მაგათმა ზაფხულში 30 მილიონ ევროზე მეტი დახარჯა, „შალკემ" პირველი ტურიდანვე ძალიან ცუდი შედეგების ჩვენება დაიწყო (1:3 „ჰამბურგთან"), უფსკრულის აპოგეა კი საკუთარ მოედანზე რურის დიდ დერბიში წაგება გახლდათ (1:3 „დორტმუნდთან"), როცა მხოლოდ ბორუსიელთა შანსების გამოუყენებლობის ბრალი იყო ის, რომ „შალკე" გაცილებით დიდი, სამარცხვინო ანგარიშით არ დამარცხდა.

თუკი წინა სეზონში „შალკეს" ჩემპიონ „ბაიერნთან" ერთად დაცვის საუკეთესო ხაზი ჰყავდა, ახლა **მანუელ ნოიერს** ბურთის კარიდან გამოტანა უკვე 14-ჯერ მოუხდა, რაც იმას ნიშნავს, რომ „შალკე" საშუალოდ ერთ თამაშში ორ გოლს უშვებს. მხოლოდ ოთხი ქულა შვიდი ტურის შემდეგ და „შალკე" მე-17 ადგილზეა - ვერაფერს იტყვი...

ასეთმა შედეგმა „შალკეში" „მონასტერი იმდენად არია", რომ ყოველთვის მშვიდი, გაწონასწორებული და გეგმაზომიერი მაგათიც კი ემოციური გახდა და ერთი კვირის განმავლობაში ორი ურთიერთგამომრიცხავი რაღაც წამოროშა, რაც სხვა მწვრთნელის შემთხვევაში დიდად არ გაგვიკვირდებოდა, მაგრამ ფელიქსის შემთხვევაში კი ნამდვილი სასწაულია. „ნიურნბერგთან" წაგების შემდეგ მაგათი პირველ ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნებაზე ალაპარაკდა, რაც, რა თქმა უნდა, უფრო ემოციური გადაწყვეტილება იყო, მაგრამ თუ სატურნირო ცხრილს შევხედავთ, არარეალური არ ყოფილა, გუშინ კი, „კიკერში" მისი ინტერვიუ დაიბეჭდა, სადაც ფელიქსი ამბობს, „შალკეს" კრიზისი ნაღდად არ აქვსო.

კვირის დასაწყისში მანუელ ნოიერის გარშემო ატყდა დიდი ამბავი. „შალკესა" და გერმანიის ნაკრების მეკარემ თქვა, ასეთ სიტუაციაში „შალკეში" თავს კარგად ნამდვილად არ ვგრძნობო, რის გამოც მაშინვე ატყდა მითქმა-მოთქმა იმის თაობაზე, რომ ზამთარში მანუელი „ბაიერნში" ან სადმე სხვაგან გადავა, მაგრამ მერე მაგათი გამოვიდა და ყველა დაამშვიდა: *„რატომ გაგიკვირდათ? ასეთ სიტუაციაში თავს მეც არ ვგრძნობ კარგად, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სადმე გავრბივარ. აბა, ის იქნებოდა ნორმალური, მანუელი მე-17 ადგილზე თავს კარგად რომ გრძნობდეს?„* - განრისხდა მაგათი.

მას მერე, რაც სეზონი დაიწყო, „შალკესთან" მიმართებაში აქტუალური თემაა **კრისტოფ მეტცელდერიც**, რომელიც გელზენკირხენელებმა ასევე მადრიდიდან გადაიბირეს და რომელმაც „შალკეს" შეფებს, მწვრთნელსა და ფანებს იმედები გაუცრუა. კრისტოფი გუნდის უსუსტესი წერტილი გახლდათ, რის გამოც გულშემატკივრებისგან სტვენა არ დაკლებია, მაგრამ ბოლო დროს საკმაოდ დასტაბილურდა. მაგათიც ამბობს, კრისტოფი უკვე სხვანაირად, საკმაოდ კარგად გამოიყურება და იმედი მაქვს, რომ კიდევ მოუმატებს, მე მას „შალკეს" ლიდერობასაც ვუწინასწარმეტყველებო. ფანები კი მაინც სხვაგვარად ფიქრობენ, მათ მეტცელდერი გულზე არ ეხატებათ, რაც სულაც არ არის გასაკვირი - კრისტოფი ხომ ყოფილი დორტმუნდელია და კარიერის საუკეთესო წლები „შალკეს" მოსისხლე მტერ „ბორუსიაში" აქვს გატარებული.

„სრული ბედნიერებისთვის" „შალკეს" ისღა აკლდა, რის შესახებაც გუშინდელ ნომერშიც ვწერდით: **ჯეფერსონ ფარფანი** პერუში დააპატიმრეს, რადგან მისი ყოფილი საცოლე მათი ორი წლის ვაჟისთვის ალიმენტის გაზრდას ითხოვს - უნდა, რომ ფარფანმა თავის შვილს ხელფასის 30 პროცენტი გადაურიცხოს ხოლმე). მაგათი იმედოვნებს, რომ ჯეფერსონი გელზენკირხენში მალე დაბრუნდება (სანამ ყველაფერი არ გაირკვევა, პერუდან გასვლის უფლებას არ მისცემენ) და 25 წლის ფეხბურთელი ბუნდესლიგის მომდევნო ტურისთვის გუნდთან ერთად იქნება. ისე, არა მარტო ალიმენტი, ფარფანი იმის გამოც დააკავეს, რომ თურმე თავის საცოლეს პერუელ პორნოვარსკვლავთან ღალატობდა...

„ნიურნბერგთან" წაგების შემდეგ მაგათმა შეგირდებს კი შეუტია და კატასტროფულ, აუხსნელ შეცდომებზე საუბრობდა, მაგრამ გავიდა რამდენიმე დღე და ცივი გონებით შეფასებისას, ფელიქსმა თავისი ფეხბურთელები დაიცვა - რაც უნდა იყოს, წინა სამ მატჩში „ფრაიბურგთან" (2:1), „გლადბახთან" (2:2) და „ბენფიკასთან" (2:0) ბიჭებმა ძალიან მოინდომეს და ასეთი თამაშების შემდეგ, ერთი მატჩის ცუდად ჩატარება მისაღები ამბავიაო. ორი თვეა, რაც სეზონი დაიწყო და მაგათმა ამ ხნის მანძილზე შეგირდები პირველად დაიცვა.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

● წყალბურთი



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# თბილისს დიდი წყალბურთი დაუბრუნდა

## მასპინძლებმა მოგებით დაიწყეს

ქართული სპორტის სტაჟიან ქომაგებს, ცხადია, ემახსოვრებათ „ლაგუნა ვერეს" აუზში წყალბურთელთა საერთაშორისო ტურნირები, რომლებშიც მსოფლიოს უძლიერეს ათლეტებს უასპარეზიათ. 80-იანი წლების მიწურულიდან ტრადიცია, სამწუხაროდ, დავიწყებას მიეცა. და აი, წლეულს, მას შემდეგ, რაც მწყობრში ჩადგა ჩოლოყაშვილის ქუჩაზე რეკონსტრუირებული საცურაო აუზი, პირველ საერთაშორისო ტურნირსაც ვუმასპინძლეთ. გუშინ კი „ოლიმპიკში" წყალბურთელებისა და სპორტის ამ სახეობის ქომაგებისთვის ზეიმი დაიწყო: თბილისი ევროპის საკლუბო ჩემპიონატის - ლენტროფის პირველი შესარჩევ რაუნდს მასპინძლობს. საქართველოს დედაქალაქში, როგორც გაუწყეთ, ექვსმა გუნდმა მოიყარა თავი. ისინი წრიული სისტემით იმ ოთხი რჩეულის ვინაობას გაარკვევენ, რომლებიც მომდევნო ეტაპზე გავლენ.

ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტია ბუდაპეშტის „ჰონვედი". მის შემადგენლობაში სამი ოლიმპიური ჩემპიონი თამაშობს. ესენი არიან **იშტვან გერგელი, მარტონ შივოში** და **ბალაშ ჰარაი**. თბილისური ტურნირი გუშინ სწორედ უნგრელებმა და ფრანგებმა გახსნეს. „ჰონვედის" უპირატესობა პირველივე წუთებიდანვე გამოიკვეთა და ფავორიტებმა „ოლიმპიკი" 11:2 (4:0, 2:2, 4:0, 1:0. ბურთები: შივოში-5, **გორ-ნაგი-2, ტოტი-1, ჰანგოდი-1, სალამონი-1, ჰარაი-1** (ყველა - „ჰონვედი"), **იაბლონსკი-1, იაკაბი-1** (ორივე - „ოლიმპიკი) დაამარცხეს.

უფრო დიდი ანგარიშით გაიმარჯვა ევროლიგის სამგზის ჩემპიონმა, ლენტროფისა და სუპერთასის ხუთგზის მფლობელმა იტალიის „პოსილიპომ", რომელმაც 19:1 (3:0, 5:0, 4:1, 7:0) სძლია თურქეთის ენკა-ს (გუიდალდი-4, გალო-4, ბანი-3, ჰუტენი-2, პერესი-2, საკოია-2, ბერტოლი-1, რენზუტო-1 (ყველა-„პოსილიპო"), გესიკი-1 (ენკა).

ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, ცხადია, მასპინძლების - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თბილისის მერიის გაერთიანებული გუნდისა და ისრაელის წარმომადგენელთა დაპირისპირება იყო.

ოლიმპიკი, 7 ოქტომბერი.
**ლიგამუსი/თბილისი (საქართველო)-ასა (ისრაელი)**
**18:4**
(6:1, 3:0, 5:1, 4:2).

ლიგამუსი-თბილისი: **ზურაბ ჭუმბურიძე, ბექა ქენქაძე** (2), **გურამ კოტარია** (1), **იოვან პოპოვიჩი** (1), **მარკო კორდიჩი** (1), **გიორგი ხვედელიანი, რევაზ ჩომახიძე** (3), **მიხეილ ბალათურია** (2), **ზურაბ რურუა** (კ. 3), **კონსტანტინე გეგელაშვილი** (4), **ტატო ნიკოლეიშვილი, ბექა ქავთარაძე** (1), **იოვან სტრუიჩი** (მთავარი მწვრთნელი **ზვიად დავითიანი**).

ასა: **კადზირი, გოლდენბერგი, გოლომბეკი, სტრუგო, შოჰამი** (1), **აპტელი, ეროსი** (1), **გულდშმია** (1), **ჰადარი** (1), **მურვიტზი, პოლაცეკი** (მთავარი მწვრთნელი **ბენი ლენგი**).

შეხვედრა მასპინძელთა იერიშებით დაიწყო, მაგრამ ანგარიში მხოლოდ მე-5 წუთზე გაიხსნა — თავი **ბექა ქენქაძემ** გამოიჩინა. რამდენიმე წამის შემდეგ გუნდის კაპიტანმა **ზურაბ რურუამ** პენალტით ანგარიში ორამდე გაზარდა. ინიციატივას მთლიანად „ლიგამუსი-თბილისი" დაეუფლა და პირველი პერიოდის ბოლომდე მეტოქის კარში კიდევ ოთხი გოლი გაიტანა. სტუმრებმა ანგარიშის მხოლოდ ერთი ბურთით შემცირება მოახერხეს.

მეორე პერიოდის დასაწყისში სახელოვანმა ქართველმა სპორტსმენმა **რევაზ ჩომახიძემ** იყოჩაღა — **კადზირთან** პირისპირ გასულმა მე-7 ბურთი მოათავსა ასა-ს კარის ბადეში. საერთოდ, ამ მატჩში ჩომახიძემ, რომელიც ერთწლიანი შესვენების შემდეგ დაუბრუნდა დიდ სარბიელს, სამი გოლი გაიტანა. მთლიანად ამ მატჩში „ლიგამუსი-თბილისის" წყალბურთელებმა 18 გოლი მიითვალეს, საკუთარ კარში კი 4 ბურთი მიიღეს. ქართული წყალბურთის ისტორიაში პირველმა ჩვენებურმა კლუბმა სადებიუტო ოფიციალურ ტურნირზე — ლენტროფის გათამაშებაში პირველი გამარჯვება იზეიმა, თანაც დიდი ანგარიშით.

დღეს მასპინძლები სტამბოლის ენკა-ს შეხვდებიან. წარმატების შემთხვევაში, დანარჩენი ორთაბრძოლების მიუხედავად, ფაქტობრივად, მეორე ეტაპის საგზურს დაიბევებენ.

— მიხარია, რომ საკლუბო ჩემპიონატში პირველი შეხვედრა მოვიგეთ, — მითხრა „ლიგამუსი-თბილისის" კაპიტანმა ზურაბ რურუამ. — ბიჭები მონდომებულები იყვნენ და სასურველ შედეგსაც მივაღწიეთ. ასა არ ყოფილა ძლიერი გუნდი. ისრაელში ბოლო ორი-სამი წელიწადია, წყალბურთს ყურადღებას უთმობენ, თუმცა დღეს ახალგაზრდულმა კლუბმა სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაგვიწია. მეორე ტურში დიდი ბრძოლა მოგველის თურქეთის ენკა-სთან, რადგან მე-4 საგზურის მთავარი კონკურენტი ჩვენთვის სწორედ ეს გუნდია. სტამბოლელებს შეჯიბრების სტარტზე მაინცდამაინც თავი არ შეუკლავთ „პოსილიპოსთვის." ასე მგონია, ძალები „ლიგამუსი-თბილისთან" საბრძოლველად შემოინახეს...

ასპარეზობის მონაწილენი დღეს ორ-ორ შეხვედრას გამართავენ: **მე-2 ტური**. 09.30. პოსილიპო-ოლიმპიკი, 11.00. ჰონვედი-ასა, 12.30. ლიგამუსი-თბილისი-ენკა. **მე-3 ტური**. 15.30. პოსილიპო-ასა, 17.00. ენკა-ოლიმპიკი, 18.30. ჰონვედი-ლიგამუსი-თბილისი.

● მძლეოსნობა

# ჰანს იორგ ვირცი გასაკრიტიკებლად კი არა, დასახმარებლად ჩამოვედით

გუშინ საქართველოს საქმიანი ვიზიტით ეწვია ევროპის მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი, შვეიცარიელი **ჰანს იორგ ვირცი**, ამავე ორგანიზაციის ფინანსურ დირექტორთან, ჩეხეთის მძლეოსნობის ფედერაციის თავკაც **კარელ პილნისთან** ერთად. მათი ჩამოსვლა თბილისში 2015 წელს კონტინენტის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალის საორგანიზაციო კამპანიას უკავშირდება. ისინი საქართველოს დედაქალაქში სპორტულ ბაზებს მოინახულებენ, ეწვევიან ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონს, დიდუბის მძლეოსნობის მანეჟს, საქმიანი შეხვედრები ექნებათ ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში.

გუშინვე საპატიო სტუმრები საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის ახალ ოფისს ეწვივნენ, სადაც ორგანიზაციის ხელმძღვანელებს, მწვრთნელებსა და მასმედიის წარმომადგენლებს ესაუბრნენ.

**ჰანს იორგ ვირცი:** *„მოხარული ვარ, რომ თბილისში ვიმყოფები ჩემს ქართველ კოლეგებთან, თანაც ახალ ოფისში. ასეთ გარემოში მუშაობა სასიამოვნოა. კარგად ვიცი ქართველი მძლეოსნების მიღწევები ოლიმპიურ თამაშებსა და სხვა მნიშვნელოვან საერთაშორისო შეჯიბრებებში, თუმცა მსმენია აქაური პრობლემების თაობაზეც, განსაკუთრებით ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით. გასაკრიტიკებლად არ ჩამოვსულვარ, ჩვენი მიზანია, დაგეხმაროთ, პრობლემები ერთად მოვაგვაროთ, საინტერესო შეჯიბრებები ჩავატაროთ... მარტო ჩვენ ვერაფერს გავხდებით, სხვებიც უნდა დაგვიდგნენ გვერდით, რადგან მძლეოსნობა ყველას სჭირდება, მძლეოსნობა ყველა სახეობისთვის საფუძველთა საფუძველია".*

**თამაზ მდინარაძე**, საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი: *„ჩვენთვის დიდი პატივია ევროპის მძლეოსნობის ფედერაციის მესაჭის სტუმრობა. მის სიტყვაზე ბევრად იქნება დამოკიდებული, თბილისი 2015 წელს ახალგაზრდულ ფესტივალს უმასპინძლებს თუ არა. ამ ორგანიზაციაში საქართველოს პატივს სცემენ, რადგან იციან, რომ 11 ოლიმპიური მედლის მფლობელები ვართ და ოლიმპიურ მოძრაობაში დიდი წვლილი გვაქვს შეტანილი. დარწმუნებული ვარ, ჩვენი თანამშრომლობა ნაყოფიერი იქნება, დაგვეხმარებიან და 2015 წლის ფესტივალის მასპინძლობის უფლების მოსაპოვებლად თანადგომასაც აღმოგვიჩენენ".*

ავტორის ფოტო



მარცხნიდან: ვასილ ბერიშვილი, თამაზ მდინარაძე, ჰანს იორგ ვირცი, კარელ პილნი, მაია აზარაშვილი

● ჭადრაკი

# შეხვედრა მედალოსნებთან

ორიოდე დღის წინათ ხანტი-მანსიისკში მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადა დასრულდა, სადაც საქართველოს ქალთა ნაკრებმა (**ნანა ძაგნიძე, ლელა ჯავახიშვილი, სალომე მელია, სოფიო ხუხაშვილი, ბელა ხოტენაშვილი**) მესამე ადგილი დაიკავა, ხოლო ცალკეულ დაფებზე მელიამ და ხოტენაშვილმა, შესაბამისად, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს.

კარგად იასპარეზეს ბათუმში 8-18 წლის მოჭადრაკეთა ევროპის პირველობაზე ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებმა, რომლებმაც ორ-ორი ოქროს (**მარიამ დანელია, ქეთი ნანალაშვილი**), ვერცხლისა (**მერი არაბიძე, ნატა ჯიბუტი**) და ბრინჯაოს (**დეა გოგიშვილი, ნინო ჯალალონია**) მედალი დაისაკუთრეს. 16-წლიანებში ჩემპიონმა მარიამ დანელიამ კი ტეხასის შტატის უნივერსიტეტში ოთხწლიანი უფასო სწავლის უფლებაც მოიპოვა.

გუშინ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციაში მედალოსნებს შეხვედრა მოუწყვეს. ოლიმპიადის პერიპეტიებსა და ბათუმურ ბატალიებზე ილაპარაკეს ფედერაციის პრეზიდენტმა **გია გიორგაძემ**, ქალთა ნაკრების მწვრთნელმა **დავით არუთინიანმა**, დიდოსტატმა **დავით გურგენიძემ** და **ლაშა ჯანჯღავამ**. ითქვა ისიც, რომ მედალოსნები სახელმწიფოსგან პრემიებს მიიღებენ, ამას გარდა, ქალთა ნაკრებს ჭადრაკის ფედერაციის გენერალური სპონსორი - კომპანია „სოკარიც" დააჯილდოებს.

ოქტომბრის მეორე ნახევარში საქართველოს ქალთა გუნდი „სამაია" (**მაია ჩიბურდანიძე, ლელა ჯავახიშვილი, ნინო ხურციძე, სალომე მელია, ბელა ხოტენაშვილი**) ბულგარეთის ქალაქ პლოვდივში ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დაფინანსებით ევროპის საკლუბო ჩემპიონატში იასპარეზებს, ახალგაზრდა მოჭადრაკეები კი საბერძნეთში 8-18-წლიანთა მსოფლიოს პირველობაზე ითამაშებენ.

გვერდი მოამზადა
ვაჟა **დანელიამ**

ავტორის ფოტო



მარცხნიდან: ლაშა ჯანჯღავა, ქეთი ნანალაშვილი, მარიამ დანელია, დავით გურგენიძე, დეა გოგიშვილი

● მემორიალი

# ორნი სათავეში

გუშინ სომხურ ჯერმუკში კარენ ასრიანის მემორიალზე მესამე ტურის პარტიები გათამაშდა. **კონსტანტინე შანავამ გევორქ ალავერდიანი** დაამარცხა, **სერგეი ვოლკოვმა** კი **მაია ლომინეიშვილს** სძლია. ახლა ორივე გამარჯვებული გათამაშების ცხრილს სამ-სამი ქულით უდგას სათავეში.

მესამე ტურში ქართველთა დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: **ჰაკობ ვარდანიანი-დავით მაღალაშვილი** 0:1, **ვარდან ხოჯაიანი-ნაზი პაიკიძე** 1:0, **არმენ ანტინიანი-სოფიო გვეტაძე** 0:1, **ოლგა რუბლიოვსკაია-სოფიო გურამიშვილი** 0:1, **ლიანა აგაბეკიანი-ნინო იმნაძე** 0,5:0,5.

დღეს მე-4 ტურში განსაკუთრებულ ინტერესს, ცხადია, ლიდერების - შანავას და ვოლკოვის შეხვედრა იწვევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამბო. მსოფლიოს ჩემპიონატი ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში

# მსოფლიო არც ისე ძლიერი გამოდგა

დღეს დილის 10 საათზე თბილისის სპორტის სასახლეში სტარტს აიღებს ახალგაზრდა და ჭაბუკ სამბისტთა მსოფლიოს ჩემპიონატი. საქართველო ბოლო წლებში ძნელად, დიდი წვალებით, მაგრამ მაინც უშინაურდება პირველხარისხოვანი შეჯიბრებების მასპინძლობას, თუმცა ეს ტურნირი ერთ-ერთი გამორჩეულია. რამდენიც უნდა ვილაპარაკოთ თავად სამბოს, როგორც სპორტის სახეობის სტატუსზე და მის შედარებაზე ოლიმპიურ საჭიდაო სახეობებთან, ფაქტია, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მსოფლიოს პირველობისთვის არ გვიმასპინძლია არც ერთ სახეობაში, არც ერთ ასაკში. ევროპის ჩემპიონატებს დიდებშიც ვუმასპინძლეთ და ახალგაზრდებშიც, ძიუდომ და თავისუფალ-ბერძნულ-რომაულმა ჭიდაობებმა მსოფლიოზეც მიიტანეს პირდაპირი თუ ირიბი იერიში, მაგრამ მიზანს ვერც ერთმა მიაღწია. მოჭიდავეებმა ახალგაზრდების მსოფლიოს პირველობის მასპინძლობის სურვილი ოფიციალურად დააფიქსირეს, ძიუდოისტებმა კი, რაკილა უფროსებში ევროპა შარშან ჩაატარეს, ამჯერად მსოფლიო ამოიღეს მიზანში - ისევ უფროსებში, თუმცა მხოლოდ შესაძლებლობები დაზვერეს და რაკილა შანსები უპერსპექტივოდ მიიჩნიეს, ბოლოს უკან დაიხიეს. ამხელა ტურნირის მასპინძლობის უფლების მოსაპოვებლად სამბისტებსაც ბევრი წინააღმდეგობა შეხვდათ, მაგრამ საწადელს მაინც მიაღწიეს. შეგახსენებთ, რომ ამ ჩემპიონატის მასპინძლობა ბოლო თვეებში რუსეთმაც მოინდომა, რაც უფრო ქართული მხარის დასასჯელი ღონისძიება იყო – ჩვენებმა გუნდი არ გააგზავნეს მოსკოვში, „რუსეთის პრეზიდენტის თასზე“, რისთვისაც სამაგიეროს გადახდა ამ შეჯიბრების ჩამორთმევით მოინდომეს. საბედნიეროდ, ჩვენი ნაკრების თავკაც **ოლეგ იაძის** რიტორიკამ გაჭრა და ტურნირი პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს გადაურჩა.

ამ ჩემპიონატში საქართველოდან ვაჟებთან ერთად გოგოებიც გამოვლენ. მართალია, ყველა მათგანი ძიუდოისტია, რადგან სამბოში გოგოები კვლავაც არ ვარჯიშობენ, მაგრამ ეს ფაქტი ქართული სპორტის ისტორიაში ასევე ახალი ფურცელია. ოღონდ, ვაჟებისგან განსხვავებით, გოგოები არასრული გუნდებით გამოვლენ - ორივე ასაკში ხუთ-ხუთი მოჭიდავე.

ვაჟთა შორის ჭაბუკთა ნაკრებში გუნდის თავკაც **ემილ რაშის** გადაწყვეტილებით **ლერი ჯიხვაშვილი** (48), **გიორგი საჩალელი** (52), **ლაშა გიუნაშვილი** (56), **გიორგი კაცია** (60), **გოჩა ვარძელაშვილი** (65), **მიხეილ ჩოხელი** (70), **შმაგი შარიფაშვილი** (75), **ბექა რატიანი** (81), **ალექსანდრე მილდიანი** (87), **სლავა რეზესიძე** (+87) იჭიდავებენ, ახალგაზრდების დამრიგებელმა **ბადრი ჯანიაშვილმა** კი ჩემპიონატისთვის **გივი ნადარეიშვილი** (48), **ვაჟა ლატარია** (52), **გენადი ჩირგაძე** (57), **გიორგი ტაბატაძე** (62), **ზვიად კაპანაძე** (68), **ზებედა რეხვიაშვილი** (74), **ვახტანგ სარაჯიშვილი** (81), **ზაზა დავაძე** (90), **არჩილ შინჯიკაშვილი** (100), **ლევან მუქერია** (+100) შეარჩია.

გოგოებიდან ახალგაზრდებში **დარინა აბულაძე** (48), **შორენა შარაძე** (63), **ნინო ოძელაშვილი** (70) და **თამარ ლომიძე** (+78) გამოვლენ, უმცროს ასაკში - **ცირა აბულაძე** (48), **ნონა მერაბიშვილი** (52), **სოფო ბერიძე** (57), **თეა სუხიტაშვილი** (70) და **ელენე ქებაძე** (+78), რომლებსაც მწვრთნელმა **გია თენაძემ** გუშინ **თამარ მარტიაშვილი** (65) დაამატა.

სამწუხაროდ, მსოფლიოს პირველობა ვერ გამოდგა იმდენად ძლიერი, როგორც ორგანიზატორები ვარაუდობდნენ - გუშინ, საღამოს 20 საათისთვის თბილისში 20 გუნდი იყო ჩამოსული, ორი კი წუხელ, შუაღამისას უნდა ჩამოსულიყო. ერთ-ერთი მათგანი მონგოლეთი იყო.

შეჯიბრებები დღესაც და შაბათ-კვირასაც 10 საათზე დაიწყება. დღეს, 17 საათზე გახსნის საზეიმო ცერემონიალია, ფინალური შეხვედრები კი 18 საათიდან დაიწყება. ფინალები მომდევნო დღეებშიც იმავე დროს გაჩაღდება. დღეს საჭიდაოდ ჭაბუკებში ვაჟებიდან 48, 60 და 75, გოგოებიდან 40, 52, 65კგ წონების, ხოლო ახალგაზრდა ვაჟებიდან 48, 62, 82, გოგოებიდან კი 44, 56 და 68-ის წარმომადგენლები გავლენ. ხვალ ჭაბუკებში ვაჟებიდან 52, 65, 81 და +87, გოგოებიდან - 44, 56, 70, +75-ის სპორტსმენები იასპარეზებენ, ახალგაზრდებში ვაჟებიდან - 52, 68, 90, +90, გოგოებიდან - 48, 60, 72, +80-ის. დანარჩენი წონების წარმომადგენლები კვირას იჭიდავებენ.

ბოლოს, კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ სპორტის სასახლეში დასწრება თავისუფალია, ჩვენები კი ორივე ასაკში გუნდური პირველობის მოგებას გეგმავენ.

**ირაკლი თავაძე**

გამოხმაურება

# ეროვნული სპორტით სპეკულირება?!

29 სექტემბრის „ლელოში“ გამოქვეყნდა ქართული ხალხური თამაშებისა და სპორტის ეროვნული სახეობების ასოციაციის „კავშირი“ პრეზიდენტის (ზუსტად ასე წერია) **დიმიტრი დუნდუას** წერილი „ასაფართი ქართულ ჭიდაობაში“.

წერილის დასაწყისში ვკითხულობთ, — 1946 წელს შეიქმნა ქართული ჭიდაობის სექცია და ჩამოთვლილია შემადგენლობა...

ქართული ჭიდაობა საუკუნეების წინათ დაუწერელი კანონებით, ჩვენი ხალხის შემოქმედებით ვითარდებოდა. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან მას მსახიობთა და თეატრალთა ამხანაგობები მფარველობდნენ.

1923 წელს კი საქართველოს ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს დავალებით პირველად ჩამოყალიბდა ქართული ჭიდაობის სექცია, რომლის თავმჯდომარე გახდა ცნობილი მომღერალი და მოჭიდავე **ლადო კავსაძე** (1885-1953).

30-იან წლებში საქართველოს ფიზკულტურის საბჭომ კვლავ განაახლა ქართული ჭიდაობის სექცია, რომელშიც შევიდნენ **ვანო გლდანელი** (წამალაშვილი), ძმები **შაშო** და **ირაკლი კახნიაშვილები**, **აკაკი ადეიშვილი** და სხვები. დიახ, 1946 წელს, მეორე მსოფლიო ომის შემდეგაც განახლდა ეს სექცია.

დუნდუას თუ დავუჯერებთ, 1946 წელს შეიქმნა და დაიხვენა ქართული ჭიდაობის წესები. უნდა გითხრათ, რომ „ქართული ჭიდაობის შეჯიბრებების წესები“ ნაბეჭდი სახით პირველად საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა 1935 წელს გამოსცა. 1940 წელს გამოვიდა პირველი სახელმძღვანელო (ავტორი **ილო სვანელი (თომაშვილი)**).

აქვე ვკითხულობთ — „დადგინდა საჭიდაო სამოსი“. არ არის სწორი. 1946 წლამდე იყო და მას შემდეგაც არ შეცვლილა საჭიდაო ტანსაცმელი. 1900 წლითაა დათარიღებული ფოტო, სადაც ლეგენდარული კულა გლდანელი მოკლემკლავიანი ჩოხითაა გამოსახული. 1910 წლის ჯგუფურ ფოტოზე **შაშო ვერელი (ალექსანდრე კახნიაშვილი)**, **სანდრო კანდელაკი**, **ლუკა დადიანიძე (შერთულელი)** მოკლემკლავიანი ჩოხით, **მიხა ქურხული** კი გრძელმკლავიანი ჩოხით არიან. ასე რომ, 1946 წელს არავითარი საჭიდაო სამოსი არ დაუდგენიათ.

ერთგან დუნდუა წერს: „იაპონიაში ჩასვლა და მათთვის „უცნობი მტრის“ — ქართული ჭიდაობის ანა-ბანის სწავლების მცდელობა თვით იაპონიაში და სხვა ნებისმიერ ნორმალურ, ჩვენსავით ძველი ტრადიციების მქონე ქვეყანაში ლალატად ჩაითვლებოდა. აბა, სცადოს ვინმემ, იაპონიაში ჩავიდეს და მათი ეროვნული სახეობების საიდუმლოებებს გაეცნოს ან რომელიმე მასწავლებელი ჩაიყვანოს თავის ქვეყანაში და მისგან ისწავლოს იაპონური ჭიდაობის საიდუმლოებები“.

ბატონი დუნდუა აქ ალბათ გამოჩენილი მწვრთნელის **ბიძინა მაზიაშვილის** (1928-2004) ორთვიან მივლინებას გულისხმობს იაპონიაში, როცა მან 1990 წლის შემოდგომაზე ქართული ჭიდაობის სემინარები ჩაატარა იაპონიის ძიუდოს კლუბებში. რა საიდუმლოებებზეა ლაპარაკი, როცა იაპონელებმა 1882 წელს დაფუძნებული ძიუდო 1922 წელს ეროვნულ სპორტად გამოაცხადეს, 30-იან წლებში კი მისი მთელ მსოფლიოში პოპულარიზაცია დაიწყეს, ვიდრე 1964 წელს XVIII ოლიმპიური თამაშების პროგრამაში არ შეიტანეს...

ამომავალი მზის ქვეყანამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მათი ძიუდო მთელ მსოფლიოს გაეცნო და პოპულარული გამხდარიყო ქართველი და იაპონელი მოჭიდავეების არაერთი ერთობლივი წვრთნაც ამის დასტურია...

რაც შეეხება იაპონიის ყველაზე უძველეს ტრადიციულ სახეობას, მათთვის ყველაზე საყვარელ სუმოს. აქ 2010 წლის ივლისიდან პირველად ისტორიაში უმაღლეს დივიზიონში (მაკუუჩი) სამი ქართველი სუმოისტია: **ლევან ცაგურია** (კოკაი), **ლევან გორგაძე** (ტოჩინოშინი) და **თეიმურაზ ჯუღელი** (გაგამარუ). ისინი დღეს იაპონიაში ცხოვრობენ და სუმოს ყველა საიდუმლოებას სწავლობენ. სხვათა შორის, სუმოში ამჟამად მონღოლები დომინირებენ...

ახლა ქართული ჭიდაობის სამოსის შესახებ — გრძელი თუ მოკლე ჩოხა? დუნდუას აზრით, მე გრძელი ჩოხის მომხრე ვარ. სინამდვილეში კი, როცა ამაზე გაიმართა პოლემიკა, ექსპერიმენტს დავუჭირე მხარი. მეოცე საუკუნის დასაწყისშიც ასე იყო — ჭიდაობდნენ გრძელი ჩოხებითაც და მოკლემკლავიანებითაც. 30-იანი წლებიდან კი მთლიანად მოკლე ჩოხებზე გადავიდნენ. მოდი ახლა გრძელი ჩოხა გამოვცადოთ.

ბოლოს და ბოლოს, ჩოხები სულაც არ არის მთავარი. ჩვენ იაპონელებივით ქართული ჭიდაობის სწავლების სისტემა არა გვაქვს მოწესრიგებული. ტალანტების და ენთუზიასტების იმედზე ვართ.

1882 წელს, როცა **ძიგარო კანომ** ძიუდო შექმნა, იმავე წელს ჩამოაყალიბა მისი სკოლა — „კოდოკანიც“...

სხვათა შორის, სწორედ 1882 წელს მოიპოვა ქართული ჭიდაობის დიდ სარბიელზე პირველი ხმაურიანი წარმატებები **კულა გლდანელმა** (ყირიმელი, 1858-1933).

ახლა ორიოდე სიტყვა დიმიტრი დუნდუაზე, ჭიდაობის მესვეურები ბავშვობიდანვე იცნობენ ერთმანეთს. ამ სფეროში „ახალი კაცის“ გამოჩენა კი ცნობისმოყვარეობას იწვევს *(გამოხმაურებაში ავტორი ეხება დ. დუნდუას საქმიანობაში მთელ რიგ დარღვევებს, რომლის გადაუმოწმებლად გამოქვეყნებისგან რედაქციამ თავი შეიკავა, მით უფრო, რომ ბრალდებებს საპოლემიკო თემასთან საერთო არაფერი აქვს).*

ვინ და როდის აირჩია დიმიტრი დუნდუა აღნიშნული ასოციაციის პრეზიდენტად?! დარწმუნებული ვართ, „ქალალდები“ მას მოწესრიგებული ექნება. ეროვნული სპორტით სპეკულირება კი არ არის კარგი საქმე!

ჩვენ არ ვიცით, ქართული ჭიდაობის გარდა, როგორ ეწყობა „დუნდუას ტურნირები“ ლელობურთში, ცხენბურთში, ისინდსა, თუ სხვა ხალხურ სახეობებში.

მაგრამ ეროვნული სპორტის სახეობებს რომ მეტი მზრუნველობა სჭირდება, ეს ნამდვილად ვიცით.

**გაბრიელ ბარჯაძე**
საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი



როგორი უნდა იყოს ქართული ჭიდაობის ჩოხა? აი, რაზე მიდის პოლემიკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული სპორტი

● კალათბურთი

# ფაჩულია: მაღალი ტემპი და მობილურობა




**ზაზა ფაჩულიამ** ერთ-ერთ ინტერვიუში მითხრა - **მაიკ ვუდსონი** მხოლოდ შავი სამუშაოს შესრულებას მავალებს, არც ერთი კომბინაცია ჩემზე არ ეწყობაო... სწორედ ამიტომ აპირებდა იგი კლუბის გამოცვლას 2010-11 წლების სეზონის წინ. თუმცა გადაიფიქრა, რადგან „ატლანტა ჰოქსში“ მთავარი მწვრთნელი შეიცვალა - ვუდსონის ადგილი **ლარი დრიუმ** დაიკავა.

საინტერესოა, რა ფუნქციას დააკისრებს ახალი თავკაცი ქართველ ცენტრს. ატლანტელი ჟურნალისტები, რომლებიც „ჰოქსის“ პირველ ვარჯიშს დაესწრნენ, ამბობენ, რომ წინა სეზონთან შედარებით სიტუაცია რადიკალურად განსხვავებულია. სწორედ „ატლანტას“ სათამაშო სისტემაში შეტანილ ცვლილებებს მიეძღვნა სტატია AP-ში, რომლის ავტორიც **ჩარლზ ოდუმი** გახლავთ.

პუბლიკაციას მრავლისმთქმელი სათაური აქვს: „ჰოქსის“ შეტევა მობილური და სწრაფი გახდება“.

„პირველივე ვარჯიშის შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ „ატლანტა“ ახალ სეზონში განსხვავებული გუნდი იქნება, გაცილებით სწრაფი და მოძრავი. მწვრთნელი ლარი დრიუ ყოველი ვარჯიშის ბოლოს შეგირდებს სისწრაფეში ავარჯიშებს. საინტერესოა, რომ ერთ-ერთი ასეთი ტესტი მესამე ადგილზე დაასრულა ცენტრმა ზაზა ფაჩულიამ. იგი სისწრაფეში მხოლოდ ჯო ჯონსონს (5:30 წუთი) და ჯოშ სმიტს (6 წუთი) ჩამორჩა. ქართველ ცენტრს 6:07 წუთი დასჭირდა.

ფაჩულია აცხადებს: *„ჰოქსში“ ექვსი წელია, ვთამაშობ და ასეთ მაღალ ტემპში აქამდე არ მივარჯიშია. ლარი დრიუს განსხვავებული სტილი აქვს...“*

ზაზა მხოლოდ შეტევის სისწრაფის მატებას როდი გულისხმობს. ახალი მწვრთნელის ხელში „ატლანტა“ უფრო მობილური გახდება, რაც იმას ნიშნავს, რომ იერიშებში ყველა კალათბურთელი მიიღებს მონაწილეობას. შეიძლება გაიკვირვოთ, ნუთუ ხუთივე მოთამაშემ არ უნდა მიიღოს მონაწილეობაო? აქამდე „ატლანტაში“ ასე არ იყო: პირველ რიგში ჯო ჯონსონი ისროდა. თუ ჯოს სროლის საშუალებას არ მისცემდნენ, ჯოშ სმიტს უნდა ესროლა... ორი წლის წინათ გაცილებით მძიმე მდგომარეობა იყო - ჯონსონი იმაზე მეტს სტყორცნიდა, ვიდრე დანარჩენი 11 კალათბურთელი ერთად. ეს მაიკ ვუდსონის მწვრთნელობისას ხდებოდა. ლარი დრიუ კი სხვა სტრატეგიით შეუტევს:

*- ვარჯიშებისას ბურთს მოედნის ერთი კიდიდან მეორისკენ ვათამაშებთ. კალათბურთელებიც სწრაფად გადავაადგილდებით. შეტევაში ყველა ვმონაწილეობთ. შარშან ასე არ იყო - ვიდექით და შევყურებდით, ერთი მოთამაშე როდის ისროდა,* - ამბობს ზაზა ფაჩულია და დასძენს:

*- ფიზიკურად ძლიერები ვართ და მაღალ ტემპში თამაშს ბოლომდე გავუძლებთ. სწრაფი თამაში ჩვენი პლუსია. ამასთან, როცა კალათბურთელი ხედავს, რომ შეტევისას მისი როლი იზრდება, მოტივაცია ემატება, რაც შედეგზე დადებითად მოქმედებს.*

ის ერთი კალათბურთელი, რომელსაც ატლანტელები შეტევისას შეჰყურებდნენ, ჯო ჯონსონი იყო. იგი ახალი მწვრთნელის ინიციატივას გაგებით ეკიდება:

*- მესმის, რაც უფრო გუნდურად თამაშობ, მით მეტია წარმატების მიღწევის შანსი. მჭიდრო მეურვეობის შემთხვევაშიც შემიძლია ბურთის ჩაგდება, მაგრამ ახალ სეზონში ფუნქციები მეტ-ნაკლებად თანაბრად გადანაწილდება და ჩემი ტყორცნების საერთო რაოდენობა ცოტა მოიკლებს. თუმცა ამაზე არ ვნაღვლობ, მთავარია გუნდური გამარჯვება.*

ლარი დრიუს ხელმძღვანელობით „ატლანტა“ პირველ საგამოფენო მატჩს დღეს გამთენიისას „მემფისთან“ ითამაშებდა და გულშემატკივარი სწორედ ამ შეხვედრაში იხილავდა „ჰოქსის“ მოდერნიზებულ შეტევას, რომელშიც ზაზა ფაჩულიას მეტი დატვირთვა ექნება.

**ვაჟა სიმონიშვილი**




საქართველო-პორტუგალია. გიორგი ცინცაძე ჰეშიმუ ევანსს ერთხელ უკვე გაექცა

# 8, 18, 81 და 88

## ცინცაძე ბულგარელებს და პორტუგალიელებს ვერ ასცდა

**გიორგი ცინცაძის** „ტარტუ როკი“ სამ ტურნირში თამაშობს - ბალტიის ლიგაში, ევროჩელენჯზე და ესტონეთის ჩემპიონატში. დღეს ორ შეჯიბრებაზე ვთქვათ, ესტონეთის პირველობასა და ევროჩელენჯზე.

შიდა ჩემპიონატი „როკერებმა“ „ტავრასთან“ რაკვერეში გასვლითი მატჩით დაიწყეს. ესტონეთის პირველობაზე „კალევისა“ და „როკის“ მატჩებში (ერთმანეთთან თამაში არ იგულისხმება) სტუმარ-მასპინძლის ფაქტორი არ მოქმედებს - შინ თუ გარეთ ტარტუელები და კალეველები იმარჯვებენ. ტრადიცია არც რაკვერეში დარღვეულა - საფინალო სირენამ სამი რვიანი და „როკის“ მოგება დააფიქსირა - 88:81.

ტარტუელთა მე-8 ნომერმა, გიორგი ცინცაძემ 18 წუთი ითამაშა (სასტარტოში რომ იყო, ამის შეხსენება არ დაგჭირდებათ), 4-4 ქულა-მოხსნა და 5 შედეგიანი გადაცემა მოაგროვა.

სტუმრებმა პირველი პერიოდი 2 ქულით მოიგეს, მეორე – 7-ით, მესამე - 3-ით და გადამწყვეტი რაუნდის წინ 12 ქულიანი ფორა დაიბევეს. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ შეხვედრა მშვიდად მიიყვანეს გამარჯვებამდე - მატჩის ბოლოს რაკვერელებმა სხვაობა 2 ქულამდე შეამცირეს (76:78), მაგრამ მეტის გაკეთება ვერ შეძლეს.

მატჩის ბომბარდირი ტარტუელი **რაინ ვეიდმანი** გახდა - 22 ქულა ჩააგდო.

ესტონეთის ჩემპიონატში ცინცაძის თანაგუნდელებს 9 ოქტომბერს საპასუხისმგებლო მატჩი ელის - „კალევს“ ტალინში ესტუმრებიან, 11-ში „ვალგას“ მიიღებენ.

ევროჩელენჯის მატჩები კი 16 ნოემბერს დაიწყება. უფრო სწორად, ამ დღეს „ტარტუ როკი“ ჯგუფურ ეტაპში ჩაერთვება, თორემ ევროჩელენჯის საკვალიფიკაციო შეხვედრები ახლაც მიმდინარეობს. 6 ოქტომბერს ევროთასის შესარჩევი ეტაპის მატჩები გაიმართა - გამარჯვებულები ევროთასზე მოხვდნენ, დამარცხებულები - ევროჩელენჯზე. შესაბამისად, სრულად დაკომპლექტდა C ჯგუფი, რომელშიც „როკი“ ითამაშებს. ცინცაძეს აგვისტოში გაცნობილ ბულგარელებთან და პორტუგალიელებთან მოუწევს დაპირისპირება - C ჯგუფში მოხვდნენ ლისაბონის „ბენფიკა“, სოფიის „აკადემიკი“ და შვეიცარიული „ლუგანო“. „აკადემიკოსთა“ განაცხადში ბულგარეთის ნაკრების ერთი კალათბურთელია - **ბოჟიდარ ავრამოვი,** რომელიც ერთი წლის წინათ **თორნიკე შენგელიასთან** ერთად „ვალენსიაში“ ასპარეზობდა. სოფიელებს ამერიკელების გარდა ლატვიელი ცენტრი **კასპარს კამბალაც** ჰყავთ. „ბენფიკას“ რიგებში პორტუგალიის ნაკრების სამი მოთამაშეა: **ჰეშიმუ ევანსი, მიგელ მინავა** და **ფრანსისკო ჟორდაო.**

„ტარტუ როკი“ პირველ მატჩს შვეიცარიელებთან ჩაატარებს, შემდეგს — „აკადემიკთან“... თუმცა, ჯობს, „როკის“ კალენდარი სრულად შემოგთავაზოთ. მანამდე გეტყვით, რომ ევროჩელენჯის წლევანდელ გათამაშებაში 32 გუნდი 8 ჯგუფადაა გაყოფილი. თითო ქვეჯგუფიდან ორი საუკეთესო გავა. მომდევნო ეტაპზე 16 კლუბი ოთხ ჯგუფად გაიყოფა, საიდანაც ორ-ორი მეოთხედფინალის საგზურს მოიპოვებს...

**C ჯგუფის**

16 ნოემბერი: **ლუგანო-როკი**
23 ნოემბერი: **როკი-აკადემიკი**
30 ნოემბერი: **ბენფიკა-როკი**
7 დეკემბერი: **როკი-ლუგანო**
14 დეკემბერი: **აკადემიკი-როკი**
21 დეკემბერი: **როკი-ბენფიკა**

**ვაჟა სიმონიშვილი**

# კანარია ზაგრებზე დიდია

**ტორინ გრინის** „გრან კანარიამ“ იოლად გადალახა ევროთასის საკვალიფიკაციო ეტაპის ბარიერი. განმეორებით მატჩში კუნძულელებმა ხორვატულ „ზაგრებს“ 96:60 მოუგეს და ჯგუფურ ტურნირში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს. პირველი მატჩი ხორვატებს ჰქონდათ მოგებული (71:69) და ესპანეთის კუნძულოვან მხარეში იმედიანად ჩავიდნენ, თუმცა პირველივე მეოთხედმა ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა: გრინის (სასტარტო იყო) თანაგუნდელებმა საწყისი 10 წუთი 27:10 მოიგეს... მომდევნო 30 წუთში „გრან კანარიამ“ სხვაობა კიდევ უფრო გაზარდა და ევროთასზე ღირსეულად შეაბიჯა.



ტორინ გრინი

საქართველოს ნაკრების უკანახაზელის ტორინ გრინის მონაგარი ასე გამოიყურებოდა: 25 წუთი, 9 ქულა, 6 პასი, 3 მოხსნა. მან 2-2 ორქულიანი, სამიანი და საჯარიმო ისროლა და მხოლოდ ერთი შორეული ტყორცნა ააცილა. ისიც შეხვედრის ბოლო წუთებზე, როცა ყველაფერი გარკვეული იყო. მასპინძელთაგან ყველაზე მეტი, 24 ქულა **ჯეის ქეროლმა** ჩააგდო.

ევროთასზე გუნდები ჯგუფებად ჯერ არ გაუნაწილებიათ, წილისყრა 14 ოქტომბერს ჩატარდება. სამაგიეროდ, ცნობილია, რომ ეს შეჯიბრება 16 ნოემბერს დაიწყება. ევროთასის ჯგუფურ ეტაპზე ტორინ გრინის გარდა **მანუჩარ მარკოიშვილი** („კანტუ“, იტალია) და **ტაირონ ელისი** („ესტუდიანტესი“, ესპანეთი) ითამაშებენ.

**ვაჟა სიმონიშვილი.**

● ჩოგბურთი

# სამი ქართველი წყვილებში დარჩა

ჩოგბურთის ქართველი გულშემატკივრები განსაკუთრებული ინტერესით **ანა ტატიშვილის** (136) პროგრესს ადევნებენ თვალყურს. 20 წლის ჩოგბურთელი სამშობლოში უპირობო ლიდერია, მსოფლიოშიც საუკეთესო ასეულს მიუახლოვდა. ბუნებრივია, ქომაგს ჰოსწყინდა ქართული ჩოგბურთის პლანეტის ფერხულის არიერგარდში ყოფნა, საუკეთესო ქართველი ჩოგბურთელების მესამე-მეოთხე ასეულებში „ყურყუტი“. იმედი კი სწორედ ტატიშვილმა გააჩინა, მაგრამ ჩვენებური ჯერჯერობით მეტისმეტად არასტაბილურია - ერთ დღეს თუ ასეულის წევრის იოლად დამარცხება შეუძლია, მეორე დღეს შეიძლება ყველასთვის უცნობ სუსტ ჩოგბურთელთანაც დამარცხდეს. ასე კი სერიოზული მიზნის მიღწევა (ასეულში შესვლა სწორედ ასეთია) გაუჭირდება...

ეს ყველაფერი კანზას სიტის ტურნირის (50 ათასი დოლარი) პირველი წრის შედეგების გაცნობის შემდეგ „ცხელ გულზეა“ ნათქვამი - ანამ წააგო „უაილდ ქარდით“ მიწვეულ ჩოგბურთელთან, 20 წლის **ირინა ფალკონისთან** (281), რომელსაც კლასიფიკაციაში ლამის 150 საფეხურით უსწრებს - 5:7, 2:6. ჩვენებური ტურნირის წყვილთა ბადეში კი რჩება, მაგრამ მთავარი მაინც ერთეულთა თამაშებია. ესეც უკუსვლა - ტატიშვილმა შარშან კანზას სიტიში მეოთხედფინალში გააღწია, ახლა მის შარშანდელ ქულებს წლევანდელი ჩაანაცვლებს (18-ის ნაცვლად 1 დაერიცხება).

წლის ბოლომდე ანას „დასაცავი“ აქვს როკ ჰილის ტურნირის (25 ათასი დოლარი) 8 ქულა, ფინიქსის (50 ათასი) - 32 ქულა და ტორონტოს (50 ათასი) - 10 ქულა, ჯამში 50 ქულა.

უილიამსბურგის ტურნირის (10 ათასი) I წრეში დამარცხდა **სალომე დევიძე,** რომელსაც ბრიტანელმა **ჰოუპ ჯონსონმა** მოუგო - 6:2, 7:6 (6). სამაგიეროდ, დევიძისა და **მაგდა ოქრუაშვილის** წყვილმა პირველ ნომრად განთესილი უკრაინულ-ამერიკული დუეტი (**ხარჩენკო, აუგუსტინი**) დაამარცხა - 3:6, 6:1, 10:4 და მეოთხედფინალში გავიდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ანა ტატიშვილი

საქართველოს ჩემპიონატი



ბურთით ირაკლი ჭყონია

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# ვიცე-ჩემპიონი უმაღლესს გამოეთხოვა

7 ოქტომბერი

| | |
|---|---|
| აკადემია | 16 |
| ლელო | 17 |

აკადემია (15-9) ელიზბარაშვილი, გოგოლაშვილი, ნასიძე, მოლოდინაშვილი, კიზირია, შარიქაძე, ქოპილაშვილი. (1-8) ფირცხალაიშვილი, მეკოკიშვილი, ლამბაშიძე, ნებულიშვილი, გელაძე (ბერძული 75), ნიბლაძე, მალლაკელიძე, ჩხიკვაძე (ჩაჩუა 75).

*ლ: მოლოდინაშვილი. პს: ელიზბარაშვილი (2), მეკოკიშვილი. გ: მეკოკიშვილი.*

ლელო (15-9) ჯოგლიძე, ზაალიშვილი, კორკელია, ლომინაძე (მანჯავიძე 41), ანდღულაძე (ჭინჭარაული 68), ყიასაშვილი, კაჭარავა. (1-8) პატარაია (სანიკიძე 68), ჭყონია, გაბელაია (სუჯაშვილი 59), დაუშვილი (აზალაძე 40), ჯალაღონია, მძინარიშვილი, ხორბალაძე, ჭყოიძე.

*ლ: კაჭარავა. 4ს: ყიასაშვილი.*

სინბინი: კაჭარავა.

მსაჯი: გ. ამირხანაშვილი

საქართველოს ჩემპიონატის XIII ტური სკანდალით აღინიშნა. უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის მებრძოლთა მატჩი რუსთავის „ხარება“ და თბილისის „არმაზს“ შორის ჩაიშალა. პირველი ტაიმის მიწურულს, როცა არმაზელები 7:3-ს იგებდნენ, მოედანზე ჩხუბი ატყდა. მსაჯებმა მოჩხუბართა დაშოშმინება ვერაფრით შეძლეს და კომისართან კონსულტაციის შემდეგ გადაწყდა, რომ მატჩის გაგრძელება შეუძლებელი იყო.

ამ ფაქტთან დაკავშირებით, ცხადია, რაგბის კავშირის სადისციპლინო კომიტეტი იმსჯელებს. აღსანიშნავია, რომ ორივე გუნდს უმაღლესი ლიგიდან პირდაპირ გავარდნის საფრთხე არ ემუქრებოდა. მათ შორის დამარცხებული ყველაზე უარეს შემთხვევაში ბოლოსწინა, მე-7 ადგილს დაიკავებდა და პირველ ლიგაში მეორე ადგილზე გასულ გუნდთან მოუწევდა პლეი ოფში დარჩენისთვის ბრძოლა.

უმაღლესი ლიგა კი ვიცე-ჩემპიონმა „ბათუმი XV“-მ დატოვა. ზღვისპირელებმა წლევანდელ ჩემპიონატში ძალიან ცუდად იასპარეზეს, 13 მატჩიდან მხოლოდ ორი მოიგეს და ბოლო ადგილზე არიან. უმაღლეს ლიგაში დარჩენის შანსი ბათუმელებს ბოლოსწინა ტურამდეც ჰქონდათ. საამისოდ მათ ორი დარჩენილი შეხვედრა აუცილებლად უნდა მოეგოთ, მაგრამ მე-13 ტურში შინ ვერას გახდნენ ქუთაისის „აიასთან“ - 15:30.

ამ გამარჯვებით ქუთათურებმა სატურნირო ცხრილში პირველი ადგილი დაიბრუნეს. ამაში მათ ხელი თბილისის „ლოკომოტივმაც“ შეუწყო, რომელმაც დიღომში, „ლოკომოტივის“ სარაგბო ბაზაზე ლიდერი „ვისოლი\ყოჩები“ დაამარცხა - 21:7.

„ვისოლი\ყოჩები“ ბოლო ტურის წინ მე-4 საფეხურზე ჩამოქვეითდა და თუ გავითვალისწინებთ, რომ ბოლო მატჩს უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის მებრძოლ „არმაზთან“ გამართავს, შესარჩევ ფინალში მოხვედრა უნდა გაუჭირდეს.

საქართველოს ჩემპიონმა და თასის მფლობელმა თბილისის „ლელომ“ დიდ დიღომში, „ვისოლის“ სარაგბო სტადიონზე უმძიმეს ბრძოლაში მინიმალური სხვაობით მოუგო თბილისის „აკადემიას“ - 17:16. აკადემიელებისთვის ეს მარცხი შესაძლოა საბედისწერო გამოდგეს. მართალია, ბოლო ტურში ისინი შინ უმოტივაციო „ბათუმი XV“-ს ხვდებიან, მაგრამ დაალწევენ თუ არა თავს ბოლოსწინა ადგილს, სხვა მატჩების შედეგებზეც იქნება დამოკიდებული.

„ლელოს“ და „აკადემიას“ დაპირისპირება, როგორც უკვე ვთქვით, საკმაოდ დაძაბულ, უშელავათო ბრძოლაში წარიმართა. გამარჯვებულის ვინაობის გარკვევა არბიტრის საფინალო სასტვენამდე შეუძლებელი იყო. „ლელოს“ ტრავმების გამო ლამის გუნდის ნახევარი აკლდა, სათადარიგოთა შორის იყვნენ და მეორე ტაიმიდან ჩაერთვნენ თამაშში ძირითადი შემადგენლობის მორკინალები **მიხეილ სუჯაშვილი, გიორგი სანიკიძე** და **ლაშა აზალაძე.**

„აკადემიას“ რომ მოკლე სათადარიგოთა სკამი აქვს, ეს ახალი არაა. გუნდის მწვრთნელმა **პაატა ნარიმანაშვილმა** ძირითად შემადგენლობაში რამდენიმე ახალგაზრდა მოთამაშე დააყენა. მათ შორის სამხრეთაფრიკული სტაჟირებიდან ახლახან დაბრუნებული **მერაბ შარიქაძე** და **ლევან გოგოლაშვილი.** ერთი სიტყვით, ორივე გუნდს პრობლემები საკმაოდ მოეძალა, თუმცა „აკადემიას“ უფრო რთულად აქვს საქმე: უმაღლეს ლიგაში დარჩენისთვის უწევს ბრძოლა.

პირველი ტაიმი „ლელომ“ 9:3 მოიგო. არადა, ადვილი შესაძლებელი იყო, პირიქითაც ყოფილიყო. თავად განსაჯეთ: მე-11 წუთზე „ლელო“ მარჯვენა ფრთიდან უტევდა, შუამარბ **გიორგი ლომინაძის** გადაცემა აკადემიელმა გარემარბმა **ჯაბა კიზირიამ** ჩაჭრა, მეტოქის ლელომდე 60 მეტრი ირბინა და ის იყო, ანგარიში უნდა გაეხსნა, რომ „ლელოს“ მგეზავი **ირაკლი ყიასაშვილი** წამოეწია და შებოჭა. კიზირიას ბოჭვისას ბურთი წინ გაუვარდა.

ამის შემდეგ „აკადემიას“ მგეზავმა **გიორგი ელიზბარაშვილმა** სამჯერ სცადა არეკნით მეტოქის კარის დალაშქვრა. ერთხელ დაუფარეს, ორჯერ კი მიზანმა უმტყუნა.

სამაგიეროდ, სამი საჯარიმოდან სამივე ზუსტად დაარტყა ლელოელმა ყიასაშვილმა, რაზეც აკადემიელმა შერკინების კვაჭმა **ბექა მეკოკიშვილმა** მხოლოდ ერთით უპასუხა - 3:9.

მეორე ტაიმი „აკადემიამ“ უფრო აქტიურად დაიწყო, დაცვაში ნაკლებ შეცდომას უშვებდა და მორკინალების მოკლე დარტყმებით მეტოქეს რაკში თამაშის წესების დარღვევას აიძულებდა. შედეგად, ელიზბარაშვილმა 57-ე წუთისთვის ორი საჯარიმოთი ანგარიში გაათანაბრა - 9:9.

ეს ანაგარიში მომდევნო ათი წუთის განმავლობაში აღარ შეცვლილა. 69-ე წუთზე კი დაწინაურება ისევ „ლელომ“ შეძლო, ყიასაშვილმა ისევ საჯარიმო გაიტანა - 12:9.

„აკადემიამ“ თამაში მოედნის ცენტრიდან განაახლა. შეცვლაზე შესულმა „ლელოს“ მგეზავმა **გოდერძი ჭინჭარაულმა** ბურთი ჩათვლის მოედნიდან ათ მეტრში დაიჭირა და იქვე მესამეხაზელ **გიორგი ჭყოიძეს** მიაწოდა, რომელსაც ის ხელიდან გაუვარდა. შერკინება „აკადემიას“ სასარგებლოდ დაინიშნა. შერკინებიდან ბურთი რვა ნომერმა, **ნიკა ჩხიკვაძემ** გამოიტანა და მარცხენა, მოკლე ფრთიდან შეუტია. მერე მარჯვნივ მესამეხაზელ **ალექსანდრე მალლაკელიძეს** მიაწოდა, ამან იქვე მიმყოლი შუამარბი **გიორგი მოლოდინაშვილი** ჩართო შეტევაში, რომელმაც ლელოში შეაღწია, მეკოკიშვილმა გარდასახა - 16:12.

ამის შემდეგ „ლელომ“ თითქმის ათი წუთი მეტოქის ჩათვლის მოედნის მისადგომებთან გაატარა და მანამდე არ მოეშვა, სანამ ლელო არ გაიტანა. მორკინალებმა მოკლე დარტყმებით მოწინააღმდეგე ლელოს ხაზს მიაჯაჭვეს. ბოლოს, 78-ე წუთზე რაკიდან ბურთი ცხრა ნომერმა **გიორგი კაჭარავამ** აიტაცა და „ლელოსთვის“ გამარჯვების ლელო გაიტანა. ყიასაშვილმა ვერ გარდასახა - 17:16.

„აკადემიამ“ კიდევ ერთხელ სცადა მატჩის გადარჩენა, „ლელოს“ ჩათვლის მოედანს მიუახლოვდა კიდეც, მაგრამ რაკში თამაშის წესი დაარღვია და იერიში ჩაეშალა. „ლელომ“ ზედიზედ ორი წაგების შემდეგ მესამე აღარ დათმო და შესარჩევ ფინალში გასვლის შანსი გაეზარდა

**XIII ტური**

ხარები-არმაზი (ჩაიშალა), ლოკომოტივი-ვისოლი\ყოჩები 21:7, ბათუმი XV-აია 15:30,

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აია | 13 | 9 | 0 | 4 | +79 | 18 |
| 2. ლელო | 13 | 9 | 0 | 4 | +141 | 18 |
| 3. ლოკომოტივი | 13 | 9 | 0 | 4 | +91 | 18 |
| 4. ყოჩები | 13 | 8 | 1 | 4 | +59 | 17 |
| 5. ხარები | 12 | 5 | 0 | 7 | -119 | 10 |
| 6. არმაზი | 12 | 4 | 1 | 7 | -101 | 9 |
| 7. აკადემია | 13 | 3 | 2 | 8 | -33 | 8 |
| 8. ბათუმი XV | 13 | 2 | 0 | 11 | -117 | 4 |

**XIV ტური**

არმაზი-ვისოლი\ყოჩები, ლელო-ხარები, აკადემია-ბათუმი XV, აია-ლოკომოტივი.

მკითხველის თხოვნით

LAWS OF THE GAME RUGBY UNION 2010

# რაგბის წესები

**საქართველოს ნაკრების წარმატებებთან ერთად რაგბით დაინტერესებული ადამიანების რიცხვი დღითი დღე იზრდება. იზრდება ოვალური ბურთით თამაშის ერთგულ ქომაგთა ლაშქარიც. მაგრამ მათი რაოდენობა უფრო დიდი იქნება, რაგბის თამაშის ერთი შეხედვით რთულ წესებს თუ ჩასწვდებიან.**

**„ლელო“ აგრძელებს რაგბის წესების განმარტებებს, რაც დაინტერესებულ მკითხველს დაეხმარება, უფრო იოლად ჩასწვდეს ოვალური ბურთით თამაშის არსს.**

## გუნდი

გუნდი შედგება მატჩის დამწყები თხუთმეტი (15) მოთამაშისა და სათადარიგო მოთამაშეებისგან.

თუ სათადარიგო მოთამაშე დაშავებული გუნდელის მაგივრად ჩაება თამაშში, ეს შეცვლაა, ხოლო თუ იგივე ტაქტიკური მოსაზრებით გაკეთდა, ამას გამოცვლა ჰქვია.

## მოთამაშეთა რაოდენობა

გუნდს სათამაშო არეში არ უნდა ჰყავდეს 15 მორაგბეზე მეტი.

## სათადარიგო მოთამაშეები და (ტაქტიკური მოსაზრებით) გამოცვლა.

ნაკრებთა მატჩზე გუნდს შეუძლია იყოლიოს შვიდი სათადარიგო. სხვა მატჩებზე ამათ რაოდენობას აწესებს მატჩის ორგანიზატორი კავშირი.

## პირველხაზელთა რაოდენობა

ქვემოთ მოტანილ ცხრილში წერია, თუ გუნდის რამდენი მოთამაშე უნდა იყოს ისე გაწვრთნილი, რომ შერკინების პირველ ხაზში დადგომა შეძლოს.

| რაოდენობა | პირველ ხაზელი |
|---|---|
| 15 ან ნაკლები | სამი |
| 16,17 ან 18 | ოთხი |
| 19, 20, 21 ან 22 | ხუთი |

პირველხაზელის შეცვლა შეუძლია მხოლოდ სათანადოდ გაწვრთნილსა და გამოცდილ მოთამაშეს იმის მიუხედავად, იგი მატჩის დამწყებია თუ სათადარიგო.

## გაძევება ბინძური თამაშის გამო

ბინძურად თამაშის გამო მატჩის ბოლომდე გაძევებული მოარაგბის მაგივრად თამაშში ვერავინ ჩაებმება.

## მატჩის ბოლომდე შეცვლა

ნებადართულია დაშავებული მოთამაშის შეცვლა, ოღონდ ბურთის უქმობის დროს და მხოლოდ მსაჯის დასტურით. თუ დაშავებულს მატჩის ბოლომდე შეცვლიან, იგი თამაშში ხელმეორედ აღარ უნდა ჩაებას.

## დროებითი (სისხლდენის გამო) შეცვლა

თუ მოთამაშე მოედნიდან სისხლდენის გამო გავიდა, შეიძლება მისი დროებით შეცვლა, თუ ეს მოთამაშე მოედანზე არ ან ვერ დაბრუნდა შეცვლიდან 15 წუთის განმავლობაში, იგი მატჩის ბოლომდე შეცვლილად მიიჩნევა და თამაშში ველარ ჩაებმება.

თუ მერე ეს შემცვლელიც დაშავდა, მისი შეცვლაც შეიძლება.

მაგრამ, თუ შემცვლელი ბინძური თამაშის გამო გააძევეს, დროებით შეცვლილი მორაგბე თამაშში ველარ დაბრუნდება.

## გამოცვლილის დაბრუნება

(ტაქტიკური მოსაზრებით) გამოცვლილი მოთამაშე თამაშში ხელახლა ველარ ჩაებმება, თუნდაც მას დაშავებული გუნდელის შეცვლა სურდეს.

**გამონაკლისი 1:** გამოცვლილს შეუძლია დასისხლიანებულის დროებით შეცვლა.

**გამონაკლისი 2:** გამოცვლილს შეუძლია დაშავებული, დროებით გაძევებული ან მატჩის ბოლომდე გაძევებული პირველხაზელის მაგივრად თამაშში ჩაბმა.

## გაძევებული პირველხაზელი

თუ გუნდს პირველხაზელის მატჩის ბოლომდე გაძევების შემდეგ, მისი დროებით გაძევების პერიოდში ან ტრავმის გამო სათანადოდ გაწვრთნილი პირველხაზელი აღარ ჰყავს, თამაში ცრუ შერკინებით უნდა გაგრძელდეს, ანუ შერკინებისას მიწოლა ამ შემთხვევაში აკრძალულია. მოთამაშეთა ამგვარად გაწვრთნილობისა და მათი ყოლის დადგენა ევალება გუნდს და არა მსაჯს.

**სამატჩო რაზმი**

| ბეკები (უკანა ხაზელები) | | ფორვარდები (მორკინალები) | |
|---|---|---|---|
| **დამწყები 15-ეული (XV)** | | | |
| 15 ფულბეკი | | 1 მარცხენა ბურჯი | I ხაზი |
| 14 მარჯვენა ფრთა | | 2 კვაჭი (ჰუკერი) | I ხაზი |
| 13 შუამარბი | | 3 მარჯვენა ბურჯი | I ხაზი |
| 12 მგეზავი/შუამარბი | | 4 მხტომელი | II ხაზი |
| 11 მარცხენა ფრთა | | 5 მხტომელი | II ხაზი |
| | | 6 მარბიელი | III ხაზი |
| 10 მგეზავი | ღერძი | 7 მღლეტელი | III ხაზი |
| 9 ჩავბეკი | ღერძი | 8 მარბიელი | III ხაზი |
| **მარქაფა (სათადარიგონი)** | | | |
| 22 უკანა ბეკი (11 14 15) | | 16 კვაჭი | |
| 21 შუა ბეკი (10 12 13) | | 17 ბურჯი | |
| 20 ჩავბეკი | | 18 მხტომელი | |
| | | 19 მარბიელი/მღლეტელი | |

## სამოსი

მოთამაშის სამოსია ყველაფერი, რაც კი მას თამაშის დროს აცვია ან უკეთია, ანუ კვართი (მაისურა), შორტი, საცვლები, გეტრები და ბუცები.

დამატებითი სამოსი მოთამაშეს შეიძლება ეცვას რეცხვადი ელასტიკური ბანდაჟი. მოთამაშეს გეტრის ქვეშ შეიძლება ეკეთოს წვივსაცავი, თუ ის დაფარულია რბილი მასალით და ამ საფრის სისქე შეუკუმშავ მდგომარეობაში ნახევარ სანტიმეტრზე მეტი არაა. მოთამაშეს გეტრის ქვეშ შეიძლება ეკეთოს კოჭსაცავი, რომელიც წვივის მესამედზე მაღალი არაა. იგი შეიძლება დამზადებული იყოს ხისტი, მაგრამ არალითონური მასალისგან.

მოთამაშეს შეიძლება ეკეთოს უთითო ხელთათმანი, რომელიც მტევანს მაჯიდან თითების ბოლო სახსრებამდე ფარავს.

მოთამაშეს შეიძლება ეკეთოს რბილი და თხელი მასალისგან დამზადებული საბეჭურა, რომელიც ჩაკერებული იქნება საცვალში ან კვართში, ან მათზე იქნება მიმაგრებული. საბეჭურა შეიძლება ფარავდეს მხარსა და ლავიწს.

მოთამაშეს პირში შეიძლება ედოს პირსაცავი.

მოთამაშეს თავზე შეიძლება ეფაროს რბილი და თხელი მასალისგან დამზადებული ჩაფხუტი.

მოთამაშეს ნატკენი ადგილის დაფარვა და დაცვა ბანდაჟით ან ნახვევით შეუძლია.

მოთამაშეს ტრავმის თავიდან ასაცილებლად შეიძლება ეკეთოს თასმა ან მსაგავსი რამ.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბური



დურანტს MVP-ის ტიტულს უწინასწარმეტყველებენ

# არც ლებრონი, არც მაიამი

## კლუბების გენერალურმა მენეჯერებმა მომავალ ჩემპიონად ლეიკერსი, საუკეთესო მოთამაშედ კი კევინ დურანტი დაასახელეს

ახალი სეზონის წინ, ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ ლიგის ოცდაათივე კლუბის გენერალურ მენეჯერებს შორის ტრადიციული გამოკითხვა ჩაატარა.

გამოკითხვის ყველაზე საინტერესო შედეგი შემდეგში მდგომარეობს - მხოლოდ ერთ ადამიანს სჯერა, რომ „მაიამი ჰიტის“ ახალწვეული **ლებრონ ჯეიმსი** მომავალი სეზონის MVP გახდება. ხმების ორი მესამედი (67 პროცენტი) „ოკლაჰომას“ ლიდერმა **კევინ დურანტმა** მოიპოვა.

დურანტის შემდეგ მოდის **კობი ბრაიანტი** - 26 პროცენტი. ლებრონის მსგავსად, ერთი ხმა მიიღო „ორლანდოს“ ცენტრმა **დუაიტ ჰოვარდმა**.

გენერალური მენეჯერები დარწმუნებულნი არიან, რომ წლის საუკეთესო დებიუტანტი დრაფტის პირველი ნომერი, ვაშინგტონელი **ჯონ უოლი** გახდება (68 პროცენტი). საუკეთესო მცველი იქნება „იუტას“ გამთამაშებელი **დერონ უილიამსი** (60%), საუკეთესო ფორვარდები - „დალასისა“ და „ლეიკერსის“ ლეგიონერები **დირკ ნოვიცკი** და **პაუ გასოლი** (29-29%), ხოლო საუკეთესო ცენტრი **დუაიტ ჰოვარდი**.

გამოკითხულთა 63 პროცენტს მიაჩნია, რომ „ლოს ანჯელეს ლეიკერსი“ შეინარჩუნებს ჩემპიონის ტიტულს. 33 პროცენტი მიიღო „მაიამიმ“, 4 პროცენტი - „ბოსტონმა“. გენერალურმა მენეჯერებმა შარშანაც „ლეიკერსი“ დაასახელეს ჩემპიონად და მათი პროგნოზი გამართლდა.

გუნდების ხელმძღვანელებმა ასევე დაასახელეს კონფერენციებისა და დივიზიონების გამარჯვებულები. 70 პროცენტს მიაჩნია, რომ აღმოსავლეთში პირველობას „მაიამი“ მოიპოვებს, დასავლეთში - „ლეიკერსი“ (96,4%). დივიზიონებში გამარჯვებულები ასე გამოიყურება: ატლანტის ოკეანე - „ბოსტონი“ (100 პროცენტი); ცენტრალური - „ჩიკაგო“ (82.1%), „მილუოკი“ (17,9%); სამხრეთ-აღმოსავლეთი - „მაიამი“ (74,1%), „ორლანდო“ (25,9%); სამხრეთ-დასავლეთი - „დალასი“ (71,4%), „სან ანტონიო“ (28,6%); ჩრდილო-დასავლეთი - „ოკლაჰომა“ (63,0%), „პორტლენდი“ (22,2%), „იუტა“ (11,1%); წყნარი ოკეანე - „ლეიკერსი“ (96,4%), „ფინიქსი“ (3,6%).

ამბები

### პეჟა გაისად წავა?

2010-11 წლების სეზონი, შესაძლოა, ბოლო აღმოჩნდეს **პეჟა სტოიაკოვიჩისთვის** ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში. შეგახსენებთ, რომ „ნიუ ორლეან ჰორნეტსის“ სერბ ლეგიონერს ბოლო დროს ხშირად აწუხებს ტრავმა, რის გამოც ვერ ახერხებს სრულფასოვანი სეზონის ჩატარებას.

*„ჩემთვის ეს იქნება მე-13 სეზონი ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში და მინდა ის ტრავმების გარეშე ჩავატარო. გაისად 34 წლის გავხდები და მომიწევს კარიერის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღება. ყველაფერი ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე იქნება დამოკიდებული.*

*ყოველი სპორტსმენისთვის კარიერის დასრულება ცხოვრების რთული ეტაპია. ზუსტად არ ვიცი, შევწყვეტ თუ არა თამაშს, მაგრამ ცხადია, რომ ერთი წლით უფრო „მოხუცი“ ვიქნები“*, - განაცხადა პეჟა სტოიაკოვიჩმა.

### NBA-ს ბრაზილიაც ნახავს

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კომისარმა **დევიდ სტერნმა** საჩუქარი გაუკეთა კალათბურთის ბრაზილიელ მოყვარულებს - ისინი მალე „ცოცხლად“ იხილავენ ასოციაციის გუნდების თამაშებს. სტერნის თქმით, ბრაზილიაში NBA-ის გუნდების მონაწილეობით პირველი მატჩი 2014 წელს შედგება.

*„მინდა გავახარო ბრაზილიელი გულშემატკივრები. 2014 წელს თქვენ იხილავთ პირველ მატჩს ლათინურ ამერიკაში, რომელშიც NBA-ის კლუბები მიიღებენ მონაწილეობას“*, - განაცხადა სტერნმა პარიზში გამართულ პრესკონფერენციაზე.

### უმცროსი საბონისი მოტივირებულია

ლეგენდარული ლიტველი კალათბურთელის **არვიდას საბონისის** ვაჟმა - **ტაუტვიდას საბონისმა** განაცხადა, რომ მთელ ცხოვრებას კალათბურთს მიუძღვნის. ამჟამად უმცროსი საბონისი ესპანეთის „უნიკახას“ ახალგაზრდულ გუნდში თამაშობს, აგრეთვე ლიტვის იუნიორთა ნაკრების წევრია, რომელმაც წელს ევროპის ჩემპიონატი მოიგო - ფინალში რუსეთის ნაკრები გაანადგურა (90:61).

*„რა თქმა უნდა, პირველ რიგში ყველასთვის არვიდას საბონისის ვაჟი ვარ, მაგრამ ეს არ მაღელვებს*, - ამბობს ტაუტვიდას საბონისი „მარკასთვის“ მიცემულ ინტერვიუში - *ჩემი მთავარი ამოცანაა - ყოველდღიური პროგრესი, თამაშის ყველა კომპონენტში გაუმჯობესება, თანაგუნდელებისგან საუკეთესო თვისებების ალება. ამბობენ, რომ მოედანზე აკურატულად ვმოქმედებ, კარგად ვგრძნობ თამაშის რიტმს... რაც შეეხება ჩემს მომავალს, ის მხოლოდ კალათბურთს უკავშირდება“.*

კალათბურთი

# კალათბურთს ყველაზე კარგად ჩვენ ვთამაშობთ

**„ლეიკერსი“ ევროპულ ტურნეს აგრძელებს, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ გუნდის ლიდერის კობი ბრაიანტის ფანებს არ გაუმართლათ. კობიმ ახლახან დაასრულა მუხლის ოპერაციის შემდეგ აღდგენითი კურსი და მწვრთნელები ცდილობენ ნაკლებად დატვირთონ NBA-ის ვარსკვლავი. ამიტომაც ევროპელებს პრაქტიკულად არ მიეცათ ბრაიანტის ოსტატობის ხილვის საშუალება - მაგალითად, ლონდონში კობიმ მხოლოდ ექვსი წუთი ითამაშა „მინესოტას“ წინააღმდეგ, ახლა ის ბარსელონას სტუმრობს და ადგილობრივ გუნდთან სათამაშოდ ემზადება. მანამდე კი კალიფორნიული კლუბის ლიდერს გაზეთ „მარკას“ კორესპონდენტი გაესაუბრა.**

**- რა მდგომარეობაშია თქვენი მუხლი?**

- სრულ გამოჯანმრთელებამდე ნაადრევია ლაპარაკი. თუმცა პლეი ოფის ფინალის დროს ტკივილი უფრო გაუსაძლისი იყო. ახლა კი... „მინესოტასთან“ საკონტროლო შეხვედრაში მხოლოდ ექვსი წუთი ვითამაშე, შემდეგ კი ფეხი ყინულის პაკეტებით შევიხვიე. რა თქმა უნდა, დასანანია, რადგან მაყურებელი მოუთმენლად ელოდა ამ შეხვედრას. მაგრამ ეს უკეთესია, ვიდრე 40 წუთი ვითამაშო ისე, რომ ჩემი შესაძლებლობები ვერ გამოვავლინო და თანაც ტრავმა გავიმიზეზო. ჩემი მთავარი მიზანია - რეგულარული ჩემპიონატის სტარტისთვის სრულ მზადყოფნაში ვიყო და კარგი სეზონი ჩავატარო.

**- ამერიკის ნაკრებმა 12 ოლიმპიური ჩემპიონის გარეშეც მოიპოვა თურქეთში მსოფლიოს ჩემპიონატის ოქროს მედალი. ასე ძლიერები არიან ამერიკელი კალათბურთელები?**

- ძალიან მიხარია მაიკ კრჟიჟევსკისა და მისი გუნდის მორიგი წარმატება. თურქეთში აშშ-ის ნაკრებს რამდენიმე რთული მეტოქე შეხვდა, რომელსაც შეეძლო ცალკეულ მატჩში ჩვენი დამარცხება, მაგრამ აშშ-ის მაინც ყველაზე მეტად ეკუთვნოდა ჩემპიონობა. ჩვენთან მართლაც ყველაზე კარგად თამაშობენ კალათბურთს. საკმარისია გადახედოთ ბოლო სამ წელიწადში NBA-ის ჩემპიონების - „ბოსტონისა“ და „ლეიკერსის“ შემადგენლობებს. იქ ლეგიონერები მინიმალური რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილი.

**- გამოდის, რომ NBA-სა და ევროლიგის კლასის გათანაბრების შესახებ ლაპარაკი - ტყუილია? მაშინ რა საჭიროა ამ ორი ლიგის კლუბებს შორის მატჩების ჩატარება, როცა გამარჯვება წინასწარ არის ცნობილი?**

- მოდი, წინასწარ ნუ გამოვაცხადებთ „ლეიკერსთან“ მატჩში „ბარსელონას“ დამარცხებას (ეს შეხვედრა გუშინ გაიმართა). გარდა ამისა, წინასასეზონო მატჩები შედეგისთვის არ ტარდება. აქ მთავარია, გულშემატკივართა ინტერესის გაზრდა. სხვათა შორის, მომეწონა ინგლისელი გულშემატკივრები. იქ აქტიური პუბლიკაა, არადა ლონდონში არც ერთი საკალათბურთო სუპერკლუბი არ არსებობს.

**- შეიძლება დადგეს ისეთი დრო, როცა ევროპის რომელიმე კლუბში, მაგალითად, „ბარსელონაში“ გააგრძელებ კარიერას?**

- ევროპაში მხოლოდ ფეხბურთს თუ ვითამაშებ.

**- სხვათა შორის, ერთ-ერთი ჟურნალის გარეკანზე „ბარსელონას“ საფეხბურთო კლუბის ფორმა გეცვათ. ამ გუნდის გულშემატკივარი ხართ?**

- საერთოდ მიყვარს ტექნიკური, შემოქმედი ფეხბურთელები, „ბარსელონაში“ კი ასეთი ბევრი მოთამაშეა ლეო მესის მეთაურობით. იტალიაში გავიზარდე და რეგულარულად დავდიოდა სერია A-ს მატჩებზე. თუმცა უფრო მეტად ინგლისისა და ესპანეთის ჩემპიონატები მომწონდა. იქ უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ ტექნიკას.

**- ამ ზაფხულს ლებრონ ჯეიმსი და კრის ბოში „მაიამი ჰიტში“ გადავიდნენ და დუეინ უეიდთან ერთად ახალი სუპერტრიო შექმნეს. თქვენ კი სამი წლით გააგრძელეთ კონტრაქტი „ლეიკერსთან“ და როგორც ჩანს, მთელ პროფესიულ კარიერას ერთ გუნდში გაატარებთ. ეს გზა მართებულად მიგაჩნიათ?**

- რატომაც არა, მე ხომ რამდენიმე საჩემპიონო ბეჭედი მოვიგე. შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ჩემი კარიერა შედგა.



კობი და რიკი რუბიო

# შაკის რვაქულიანი დებიუტი

საჩვენებელი მატჩების მეორე დღეს დიდ ინტერესს იწვევდა „ბოსტონ სელტიქსში“ ლეგენდარული **შაკილ ო’ნილის** დებიუტი. ცნობილმა ცენტრმა NBA-ში თავისი მე-19 სეზონი კარიერაში რიგით მეექვსე კლუბში დაიწყო.

შაკმა 15 წუთი დაყო მოედანზე და რვა ქულა დააგროვა. *„ახლა ვცდილობ ახალ პარტნიორებთან შეთამაშებასა და ფორმის სწრაფად აღდგენას. მე არ ვარ გუნდში ერთადერთი ახალბედა. დღეისთვის ჩვენ „ბოსტონის“ საკალათბურთო კულტურას ვითვისებთ და თან მის გამდიდრებას ვცდილობთ“*, - განაცხადა მატჩის შემდეგ ო’ნილმა. „სელტიქსმა“ დამაჯერებლად დაამარცხა „ფილადელფია“ - 93:65.

კიდევ ერთი მატჩი გაიმართა ევროპაში და ზედიზედ მეორე შეხვედრა მოიგო „მინესოტამ“. ლონდონში „ლეიკერსის“ დამარცხების შემდეგ, „მგლებმა“ პარიზში „ნიუ იორკ ნიქსს“ მოუგეს - 106:100. ყველაზე შედეგიანები იყვნენ **კევინ ლავი** და **მარტელ უებსტერი** - მათ 17-17 ქულა ჩაიწერეს აქტივში, თანაც ლავმა 14 მოხსნაც მიითვალა. „ნიუ იორკის“ რიგებში კვლავ ყველაზე შედეგიანი იყო **ამარე სტაუდმაიერი** - 14 ქულა.

**ნიუ იორკი–მინესოტა 100:106**

29:22, 19:25, 26:36, 26:23

ნ-ი: სტაუდმაიერი (11), რენდოლფი (14), ფილდსი (13), დუგლასი (12+3 მოხსნა), ჩენდლერი (12).

მ: ლავი (17+14 მოხსნა), უებსტერი (17), ბისლი (13+7 მოხსნა), ჯონსონი (12), რიდნური (11+8 მოხსნა), პეკოვიჩი (11+6 მოხსნა).

**შარლოტი–ოკლაჰომა 93:97**

25:33, 28:30, 24:22, 16:12

შ: ტომასი (16+7 მოხსნა), უოლასი (14), დიაო (14), ბრაუნი (12), ოგუსტინი (10+6 პასი).

ო: გრინი (25), ჰარდენი (16+4 პასი+5 ჩაჭრა), იბაკა (12+11 მოხსნა), დურანტი (12), მეინორი (10).

**ბოსტონი–ფილადელფია 93:65**

19:9, 30:13, 21:18, 23:25

ბ: რ. ალენი (14+8 მოხსნა), ერდენი (13), დევისი (13), ლასმე (12), დენიელსი (10), რონდო (4+7 პასი+3 ჩაჭრა).

ფ: იანგი (17), მიქსი (13), ჰოლიდეი (10+6 მოხსნა), უილიამსი (10).

**მემფისი–ინდიანა 87:85**

19:22, 26:19, 19:28, 23:16

მ: გეი (12), მაიო (11), ტაბიტი (10), მ. გასოლი (7+9 მოხსნა), კონლი (6+7 პასი), რენდოლფი (6+7 მოხსნა).

ი: ჰიბერტი (18+10 მოხსნა), მაკრობერტსი (14+7 მოხსნა), პრაისი (12).

**ფინიქსი–ტორონტო 77:129**

18:24, 21:31, 19:39, 19:35

ფ: დადლი (10), ნეში (9+7 პასი), თურქოგლუ (6+8 მოხსნა).

ტ: კლეიზა (20), დეროზანი (16), დორსი (13+10 მოხსნა), უიმსი (12), ჯეკი (10+7 პასი).

# უეიდის ტრავმა ორკვირიანია

## დეტროიტის შვედი ლეგიონერი სეზონს გამოტოვებს



უეიდმა დეტროიტთან მხოლოდ 3 წუთი ითამაშა

„მაიამი ჰიტის“ ლიდერ **დუეინ უეიდს** დაახლოებით ორი კვირის გამოტოვება მოუწევს - ასეთია იმ ტრავმის შედეგი, რომელიც მცველმა „დეტროიტთან“ პირველ წინასასეზონო მატჩში მიიღო. ფლორიდელ ვარსკვლავს მუხლი აქვს დაზიანებული და ხანგრძლივი აღდგენითი კურსი მოუწევს, თუმცა სასიხარულოა ის ამბავი, რომ დუეინს ქირურგიული ჩარევა არ დასჭირდება. უახლოეს დღეებში მას მაგნიტო-რეზონანსული ტომოგრაფია ჩაუტარდება, რომელიც ზუსტად განსაზღვრავს ტრავმის ხარისხს.

ამ მომენტისთვის „ჰიტის“ არც ერთ ოფიციალურ წარმომადგენელს არ ულაპარაკია დაბრუნების ზუსტ თარიღზე, თუმცა თავად უეიდი მიიჩნევს, რომ მინიმუმ ორი კვირა ნამდვილად ვერ ითამაშებს.

■ ■ ■

კიდევ უფრო ძვირად დაუჯდა „მაიამისა“ და „დეტროიტის“ შეხვედრა „პისტონზის“ ფორვარდ **იონას ჟერებკოს**. შვედმა ლეგიონერმა აქილევსის მყესი გაიწყვიტა და მინიმუმ ექვსთვიანი დასვენება ესაჭიროება. ამ დღეებში კალათბურთელს ოპერაციას გაუკეთებენ.

ეს იმას ნიშნავს, რომ 23 წლის ჟერებკო პრაქტიკულად მთელ მომავალ სეზონს გამოტოვებს. სასტარტო ხუთეულში მის ადგილს **ჩარლი ვილანუევა** დაიკავებს.

გასულ წელს სკანდინავიელმა 80 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 9.3 ქულა და 6.0 მოხსნა დააგროვა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

# ფინიშის სწორზე

**წლევანდელი სეზონის დასრულებამდე ოთხი ეტაპია დარჩენილი, ტიტულისთვის კი კვლავაც ხუთი პილოტი აგრძელებს ბრძოლას. ბრიტანული „ავტოსპორტი" თითოეულის შანსებს აფასებს და საკუთარ ფავორიტსაც ასახელებს.**



ვის გაუმართლებს სეზონის ბოლოს

### ჯენსონ ბატონი
მე-5 ადგილი,
ლიდერთან ჩამორჩენა: 25 ქულა

გადამწყვეტი რბოლების წინ ყველაზე არასახარბიელო სიტუაციაში მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი **ჯენსონ ბატონი** იმყოფება. მაგრამ ამ საკითხს შეიძლება მეორე მხრიდანაც შევხედოთ - სეზონის წინ ბრიტანელის „მაკლარენში" გადასვლას შეცდომას უწოდებნენ და ჯენსონს **ლუის ჰემილტონთან** ბრძოლაში სრულ კრახს უწინასწარმეტყველებდნენ. მიუხედავად ამისა, ბატონი ჯერჯერობით იბრძვის ტიტულის დასაცავად და თანაგუნდელს სულ ხუთი ქულით ჩამორჩება.

**დადებითი არგუმენტები:** ბატონი - გონიერი პილოტია. ის დიდ ყურადღებას უთმობს ტაქტიკას და მეტწილად სწორედ ამის ხარჯზე აღწევს წარმატებას. გარდა ამისა, ძალიან სტაბილურია, გააჩნია ტიტულისთვის ბრძოლის გამოცდილება, რითაც „რედ ბულის" პილოტებისგან განსხვავდება. ასევე არ უნდა დავივიწყოთ ტექნიკური განახლებები, რომელსაც „მაკლარენი" იაპონიის გრან-პრისთვის ამზადებს - ეს ჯენსონისთვის, შესაძლოა, სერიოზული არგუმენტი აღმოჩნდეს.

**უარყოფითი არგუმენტები:** და მაინც უნდა ვაღიაროთ, რომ ბატონის შანსები არც ისე მაღალია. მას მეტად დამაჯერებელი სტარტი გამოუვიდა - პირველ ოთხ რბოლაში ორ გამარჯვებას მიაღწია, მაგრამ მას შემდეგ არაფერი მოუგია. თანდათან საჩემპიონო რბოლაში აუტსაიდერად ჩამოყალიბდა და ამ მომენტისთვის უბრალოდ სისწრაფე აკლია. თავად ბატონმა აღიარა, რომ ამ სეზონში სისწრაფეში ჩამორჩება თანაგუნდელ ჰემილტონს. იმის გათვალისწინებით, რომ ამ მომენტისთვის „მაკლარენი" შესაძლებლობების მიხედვით მესამე გუნდია, ბატონი არამარტო ლუისთან, არამედ „რედ ბულთან" და „ფერარისთანაც" აგებს. ბრიტანელი ასევე სუსტია საკვალიფიკაციოში: პირველ სამეულში მხოლოდ ერთხელ მოხვდა, იმ დროს, როცა ჰემილტონის ანგარიშზე პოული მოდის. გაუგებარია, რის ხარჯზე აპირებს დარჩენილ რბოლებში სიტუაციის შეცვლას ჩემპიონი.

### სებასტიან ფეტელი
მე-4 ადგილი,
ლიდერთან ჩამორჩენა: 21 ქულა

**სებასტიან ფეტელი**, რომელიც პირველი ეტაპების შემდეგ მთავარ ფავორიტად მიიჩნეოდა, ბოლო რბოლების წინ მხოლოდ მეოთხე ადგილს იკავებს. ეს არც არის გასაკვირი: ახალგაზრდა გერმანელი ძალიან ბევრ შეცდომას უშვებდა.

**დადებითი არგუმენტები:** ფეტელი შეუჩერებელი და არანორმალურად სწრაფია. რა თქმა უნდა, ამაში მანქანაც უწყობს ხელს, რომელიც წელს საუკეთესოა, მაგრამ პილოტის ოსტატობასაც დიდი როლი ენიჭება. სებასტიანი განსაკუთრებით ძლიერია კვალიფიკაციაში: სეზონის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ ვერ მოხვდა პირველ სამეულში. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მან კარგად წარმართა რბოლები იტალიასა და სინგაპურში. იმის გათვალისწინებით, რომ მონცაში „რედ ბული" არც ისე ძლიერი იყო, დანაკარგი მინიმუმამდე დაიყვანა და მეოთხე ადგილზე გავიდა. სინგაპურში კი კვალიფიკაცია წააგო **ფერნანდო ალონსოსთან**, რბოლაში კი მუდმივ ზეწოლას ახდენდა ესპანელზე, მაგრამ სულელურ შეტევებზე არ წასულა, როგორც ეს თურქეთსა და ბელგიაში იყო. ვითომ გერმანელი დაბრძენდა?

**უარყოფითი არგუმენტები:** სებას მხოლოდ ორი მოგება აქვს ამ სეზონში - მის ზემოთ მყოფ პილოტებს უფრო მეტჯერ გაუმარჯვიათ. წარმატებისთვის არა მხოლოდ სისწრაფე, არამედ სტაბილურობაც აუცილებელია, ამაში კი გერმანელი მოიკოჭლებს. დაუშვებელია ისეთი შეცდომების დაშვება, როგორიც თურქეთსა და ბელგიაში ვიხილეთ. ამან მას ბევრი ქულა დააკარგვინა. რა თქმა უნდა, ყველაფერი შეიძლება მოხდეს: შესაძლოა, ფეტელმა მოიპოვოს სტაბილურობა და მაინც მოახერხოს ჩემპიონობა. მაგრამ სებასტიანი წელს ზედიზედ სამჯერ პოდიუმზე არ ასულა, წინ კი ოთხი ეტაპია და თითოეულში საჭიროა საუკეთესო სამეულში მოხვედრა. ფაქტობრივად, გერმანელს გარდამტეხი მომენტი უდგას: მან უნდა დაამტკიცოს, რომ უკვე გაიზარდა ჩემპიონობისთვის. სავსებით შესაძლებელია, რომ სებამ ეს გამოცდა ვერ ჩააბაროს და მაშინ საკუთარი ამბიციების დადასტურება მომავალი წლისთვის უნდა გადადოს.

### ლუის ჰემილტონი
მე-3 ადგილი,
ლიდერთან ჩამორჩენა: 20 ქულა

სეზონის ამ ეტაპზე მსოფლიოს 2008 წლის ჩემპიონმა ძალიან ცუდ მდგომარეობაში ჩაიგდო თავი. ლუისმა არც ისე დამაჯერებლად დაიწყო ჩემპიონატი, მაგრამ თანდათან გამოასწორა სიტუაცია. თუმცა სეზონის მეორე ნაწილი თავად ჰემილტონმა გააფუჭა.

**დადებითი არგუმენტები:** მიუხედავად იმისა, რომ „რედ ბულს" მთელი სეზონის განმავლობაში ტექნიკური უპირატესობა ჰქონდა, ლუისი საკმაოდ კარგად გამოდიოდა და საერთო ჩათვლაში პირველ ადგილს ინარჩუნებდა. ბრიტანელის სისწრაფესა და ნიჭში ეჭვი არავის ეპარება. „მაკლარენმა" მანქანის სერიოზულ განახლებას მიაღწია, რითაც, შესაძლოა, შესამჩნევად შეამციროს „ფერარისთან" და „რედ ბულთან" სიჩქარეში ჩამორჩენა. გარდა ამისა, ჰემილტონს ტიტულისთვის ბრძოლაში დიდი გამოცდილება აქვს და ორიდან ერთ ასეთ შემთხვევაში წარმატებას მიაღწია.

**უარყოფითი არგუმენტები:** უნგრეთიდან სინგაპურამდე მონაკვეთი ჰემილტონისთვის კოშმარული იყო: ოთხი რბოლიდან სამი ვერ დაასრულა, აქედან ორჯერ მან საკუთარ თავს უნდა დააბრალოს წარუმატებლობა: მონცასა და სინგაპურში სხვა მრბოლელთან კონტაქტის გამო გავარდა ტრასიდან. პილოტს, რომელიც ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძვის, უბრალოდ არ აქვს ასეთი შეცდომების დაშვების უფლება. ასევე მნიშვნელოვანია იმის გახსენება, 2007 და 2008 წლებში, როცა ლუისი ჩემპიონობისთვის იბრძოდა, სეზონის ბოლო სტარტებს არც ისე ძლიერად ატარებდა, განსაკუთრებით გადამწყვეტ ეტაპებს. თუმცა ახლა ლუისი სხვა სიტუაციაშია - ის არა ლიდერის, არამედ მდევრის როლში იმყოფება. მაგრამ მისი მანქანა საუკეთესო არ არის, რაც ბრიტანელის ამოცანას კიდევ უფრო ართულებს და ტიტულზე მის შანსებს ამცირებს.

### ფერნანდო ალონსო
მე-2 ადგილი,
ლიდერთან ჩამორჩენა: 11 ქულა

**მარკ უებერთან** ჩამორჩენის მიუხედავად, ალონსო პირველობის უმთავრესი კანდიდატია. ფერნანდოსთვის ეს სეზონი არაერთგვაროვანია: ბაჰრეინში სასტარტო ეტაპის მოგების შემდეგ, ის სტაბილურად ვერ ხვდებოდა პოდიუმზე, მაგრამ ბოლო ევროპულ რბოლებში შეძლო ბრძოლაში გარდატეხის შეტანა. რაღაც ეტაპზე ისე ჩანდა, რომ ალონსო უკვე გამოეთიშა ტიტულისთვის ბრძოლას, მაგრამ სამმა გამარჯვებამ ის ამ ბრძოლაში დააბრუნა.

**დადებითი არგუმენტები:** ესპანელი ბრწყინვალე სპორტულ ფორმაში შევიდა. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ალონსო პრაქტიკულად ყოველთვის ძლიერად ატარებდა სეზონის დასკვნით ნაწილს, მით უმეტეს, რომ „ფერარიმ" მანქანასთან მიმართებაში დიდ პროგრესს მიაღწია. არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი არგუმენტი: „მაკლარენისგან" და „რედ ბულისგან" განსხვავებით, ალონსო ჩემპიონობის ერთადერთი პრეტენდენტია, რომლის გუნდის ყველა რესურსი და პარტნიორის დახმარება მხოლოდ მასზე იქნება მიმართული. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის ტიტულიც ფერნანდოს უდავო პლუსია: მასზე უკეთ არავინ იცის, როგორ გაუმკლავდეს უდიდეს ზეწოლას.

**უარყოფითი არგუმენტები:** არ უნდა დავივიწყოთ, რომ მიმდინარე სეზონში ალონსო ხშირად უშვებდა გაუმართლებელ შეცდომებს და არ არის გამორიცხული, დარჩენილ რბოლებშიც ვიხილოთ მსგავსი ლაფსუსები. მართალია, „ფერარიმ" შესამჩნევ პროგრესს მიაღწია, მაგრამ მას მაინც არ ჰყავს ჩემპიონატში საუკეთესო მანქანა და სისწრაფეში აგებს „რედ ბულთან", რამაც შეიძლება გადამწყვეტი როლი ითამაშოს ჩემპიონის გამოვლენაში.

### მარკ უებერი
საერთო ჩათვლის ლიდერი

ალონსოს მთავარი მეტოქე მარკ უებერი იქნება. ავსტრალიელი მიმდინარე სეზონში საგრძნობლად შეიცვალა და სამართლიანად იკავებს ლიდერის პოზიციას.

**დადებითი არგუმენტები:** წელს უებერმა არაერთხელ დაამტკიცა, რომ შეუძლია ძალიან სწრაფი იყოს. 34 წლის ავსტრალიელი მეორე ახალგაზრდობას განიცდის: ასე დამაჯერებელი ის არასოდეს ყოფილა. ამ სეზონში მან წარმატებით გააქარწყლა საზოგადოებრივი აზრი იმის შესახებ, რომ არ შეუძლია ახალგაზრდა სებასტიან ფეტელთან ბრძოლა. რაც არ უნდა იყოს, უებერს სებასტიანზე მეტი გამოცდილება აქვს. როგორც მიმდინარე სეზონმა აჩვენა, ავსტრალიელს სიმშვიდეც გამოარჩევს და სტაბილურად ავსებს ქულათა მარაგს. თანაც მას საუკეთესო მანქანა ჰყავს პელოტონში.

**უარყოფითი არგუმენტები:** უებერს სუსტი მხარეებიც აქვს. ერთ-ერთია - ავსტრალიელის შედარებითი სტაბილურობა. მართალია, ის სხვა პრეტენდენტებზე ხშირად აგროვებს ქულებს და პოდიუმზე ასრულებს რბოლებს, მაგრამ ერთადერთი მონაკვეთი, რომლის დროსაც მარკი სტაბილურად ძლიერად გამოვიდა, ესპანეთის, მონაკოსა და თურქეთის რბოლები იყო. ხშირად „რედ ბულის" პილოტი ერთ ტრასაზე დამაჯერებლად გამოიყურება, მეორეზე - ნელა მოძრაობს. ამის მაგალითია სინგაპური: უებერმა თავად აღიარა, რომ მას არ გამოსდიოდა ზოგიერთ მოსახვევში შესვლა, რის გამოც მარკმა ერთი სწრაფი წრეც ვერ გაიარა. არადა, წინ არის კორეას ტრასა, რომელსაც არავინ იცნობს და ამან შეიძლება პრობლემა გამოიწვიოს, მანამდე კი „სუზუკას" ურთულესი ტრასა ელოდება. ამასთან, თურქეთისა და ბრიტანეთის გახსენებისას, არ შეიძლება იმის გამორიცხვა, რომ სეზონის ფინიშზე გუნდში ისევ წარმოიშვას დაძაბული სიტუაცია: „ფერარისგან" განსხვავებით, უებერს არ მიუღია ნომერ პირველი პილოტის სტატუსი და მისი მეწყვილე ასევე ინარჩუნებს ტიტულის შანსებს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ევრო 2011** | |
| **UNDER 21** | |
| შვეიცარია-შვედეთი | 4:1 |
| ისლანდია-შოტლანდია | 2:1 |
| **UNDER 19** | |
| სერბეთი-ბულგარეთი | 3:0 |
| ირლანდია-ლუქსემბურგი | 5:0 |
| რუსეთი-შვედეთი | 4:2 |
| უკრაინა-დანია | 2:0 |
| ხორვატია-ფარერები | 2:2 |
| იტალია-ლატვია | 2:1 |
| სლოვაკეთი-მალტა | 4:0 |
| პოლანდია-სლოვენია | 2:0 |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ბრაზილია-ირანი | 3:0 |
| **UNDER 21** | |
| უნგრეთი-ჩერნოგორია | 0:2 |
| **Under 20** | |
| გერმანია-შვეიცარია | 2:0 |
| **ინგლისი** | |
| **კონფერენსი** | |
| ფორესტ გრინი-გრიმსბი | 3:3 |
| **ირლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ლიმერიკი-უექსფორდი | 1:0 |
| მერვუ-სოლტჰილი | 2:1 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| ავანგარდი-ს. იულიაევი | 3:4 |
| იუგრა-მეტალურგი (მ) | 2:2 ბულ. 0:1 |
| ვიტიაზი-სკა | 3:3 ბულ. 0:1 |
| სევერსტალი-ატლანტი | 3:2 |
| დინამო (მ)-სპარტაკი | 5:1 |
| **ნორვეგია** | |
| ვოლერენგა-ლორენსკოგი | 2:2 ბულ. 1:0 |
| რუსენბორგი-მანგლერუდი | 2:2 ბულ. 1:0 |
| სტორჰამარი-სტიორნენი | 4:1 |
| ფრისკ ასკერი-ლილეჰამერი | 4:7 |
| **სლოვაკეთი** | |
| ბისტრიცა-მარტინი | 3:2 |
| ჟილინა-პოპრადი | 2:5 |
| სკალიცა-ტრენჩინი | 2:3 |
| კოშიცე-ნიტრა | 2:2 დ.დ. 2:3 |
| სლოვანი-ზვოლენი | 3:3 დ.დ. 4:3 |
| **ფინეთი** | |
| ბლუზი-ესეტი | 0:1 |
| ტაპარა-კერპეტი | 3:1 |
| ტპს-კალპა | 2:5 |
| ჰიფკ-პელიკანსი | 7:3 |
| ჰპკ-იოკერიტი | 1:4 |
| იუვიასკიულა-ლუკო | 6:1 |
| **ჩეხეთი** | |
| ლიტვინოვი-სპარტა | 2:1 |
| **შვედეთი** | |
| აიკ-ბრიუნასი | 2:3 |
| სიოდერტალე-იურგორდენი | 3:1 |
| ტიმრა-შელეფტეო | 3:2 |
| ფერიესტადი-ჰ371 | 4:1 |
| ფრიოლუნდა-ლინჩოპინგი | 1:1 ბულ. 1:0 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. პეკინი** | |
| ფერერი-ლუ | 6:3, 3:6, 6:1 |
| ალმაგრო-სიოდერლინგი | 5:7, 6:4, 3:6 |
| მონტანიესი-მიურეი | 5:7, 3:6 |
| ლუბიჩიჩი-დოლგოპოლოვი | 6:3, 7:6 |
| **ATP. ტოკიო** | |
| შარდი-როდიკი | 4:6, 6:7 |
| მელცერი-ტროიცკი | 6:7, 6:3, 6:7 |
| მონფილსი-სეპი | 6:4, 6:4 |
| ნადალი-რაონიჩი | 6:4, 6:4 |
| **WTA. პეკინი** | |
| კერბერი-ნა ლი | 2:6, 0:6 |
| სევასტოვა-პეტროვა | უარი |
| ივანოვიჩი-დემენტიევა | 7:6, 7:6 |
| ვოზნიაცკი-კვიტოვა | 6:3, 6:2 |

TV პროგრამა

**8 ოქტომბერი. პარასკევი**

**I არხი**

**20:55** ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. საქართველო-მალტა (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**07:15** გასული კვირის ჰიტ-აღლუმი. იტალიის ჩემპიონატი. პარმა-მილანი.
**09:05** გასული კვირის ჰიტ-აღლუმი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-უტრეხტი.
**10:55** საერთაშორისო პანორამა.
**12:00** ახალი ამბები.
**12:20** გასული კვირის ჰიტ-აღლუმი. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ატლეტიკო.
**14:10** გასული კვირის ჰიტ-აღლუმი. იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-პალერმო.
**16:00** ახალი ამბები.
**16:20** საფეხბურთო პროგრამა.
**16:55** გასული კვირის ჰიტ-აღლუმი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ტვენტე-გრონინგენი.
**18:45** ახალი ამბები.
**19:10** გასული კვირის ჰიტ-აღლუმი. საფრანგეთის ჩემპიონატი. სენტ ეტიენი-მარსელი.
**21:00** საფეხბურთო კლუბი.
**21:50** საფეხბურთო პროგრამა.
**22:25** ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. ჩერნოგორია-შვეიცარია (LIVE).
**00:25** ბრაზილიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**00:55** ახალი ამბები.
**01:20** ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. გერმანია-თურქეთი.
**03:00** ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. ავსტრია-აზერბაიჯანი.
**04:50** ევრო 2011. 21წლამდელები. პლეი ოფი. I მატჩი. ინგლისი-რუმინეთი.

**EUROSPORT**

**10:30** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. პეკინი. ჩინეთი. 1/8 ფინალი.
**11:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. პეკინი. ჩინეთი. 1/4 ფინალი (LIVE).
**17:15** ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. ბოსნია-საფრანგეთი.
**18:00** ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. შვეიცარია-ინგლისი.
**19:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. პეკინი. ჩინეთი. 1/4 ფინალი.
**20:55** ოლიმპიური თამაშები. ლონდონი 2012. ტელეჟურნალი.
**21:00** ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. ბოსნია-საფრანგეთი.
**21:50** ფეხბურთი. ევრო 2012. ახალი ამბები.
**22:00** მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. გრან-პრი. აშშ.
**23:00** ბოულინგი. PBA-ის ტური. აშშ. ტელეჟურნალი.
**00:00** მულტისპორტი.
**01:00** ფეხბურთი. ევრო 2012. მიმოხილვა.
**02:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. პეკინი. ჩინეთი. 1/4 ფინალი.

ამბები

მძლეოსნობა

## ოლიმპიური ჩემპიონი ექვსი თვით დასაჯეს

პეკინის ოლიმპიური ჩემპიონი, იამაიკელი მორბენალი **შელი-ენ ფრეზერი** დოპინგის გამოყენებისთვის ნახევარი წლით არის დისკვალიფიცირებული. 2010 წლის მაისში სპრინტერი ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატის ოქსიკოდონის მიღებაში გამოიჭირეს. ამ წამლის მიღებამდე სპორტსმენმა წინასწარ უნდა გააფრთხილოს ანტისადოპინგო ორგანიზაციები.

მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ 6 ოქტომბერს დაასრულა ამ საქმის განხილვა და 100 მეტრზე ოლიმპიურ ჩემპიონს ექვსთვიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერა.

ფრეზერს 2011 წლის 7 იანვრიდან შეეძლება საერთაშორისო ტურნირებში დაბრუნება.

ფორმულა 1

## ჰიულკენბერგის ადგილს ვენესუელელი პილოტი ემუქრება

ბოლო ჭორების თანხმად, GP2-ის სერიის ჩემპიონმა, ვენესუელელმა **პასტორ მალდონადომ**, შესაძლოა, „უილიამსში" გერმანელი **ნიკო ჰიულკენბერგი** შეცვალოს.

მსხვილი სპონსორების დაკარგვის გამო ბრიტანული საჯინიბო რთულ ფინანსურ სიტუაციაში აღმოჩნდა და მალდონადოს ტრანსფერიდან მიღებულმა სასპონსორო თანხებმა, შესაძლოა, ნაწილობრივ მოაგვაროს ეს პრობლემა - ამ პილოტს მხარს უჭერს ვენესუელის მთავრობა და ეროვნული მსხვილი კომპანიები.

თავის მხრივ, ჰიულკენბერგის მენეჯერი **ვილი ვებერი** გერმანელთან კონტრაქტის გაგრძელებისთვის გუნდისგან გარკვეულ თანხას ითხოვს, ასე რომ, „უილიამსისთვის" ეს როქი სავსებით მომგებიანია - GP2-ის ერთ ჩემპიონს მეორეთი შეცვლის და თან ფინანსურ მდგომარეობასაც გამოასწორებს.

ოლიმპიზმი

## დედოფლის სახელობის ოლიმპიური პარკი

ლონდონის ზაფხულის თამაშების შემდეგ ოლიმპიურ პარკს ბრიტანეთის დედოფლის **ელიზაბეტ II**-ის სახელს მიანიჭებენ.

ბრიტანეთის სპორტის მინისტრმა ეს გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ მონარქია ქვეყანაში ყველაზე მძლავრი ინსტიტუტია. ლონდონის მერის **ბორის ჯონსონის** თქმით, ქალაქის აღმოსავლეთით პარკში 11 ათასი სახლი აშენდება, რომელთაგანაც 40 პროცენტი ოჯახური დასვენებისთვის იქნება განკუთვნილი.

ზაფხულის 30-ე ოლიმპიადა ლონდონში 27 ივლისიდან 12 აგვისტომდე გაიმართება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პირველი




**კაროლინ ვოზნიაცკიმ** „ხუთიანზე" ჩაატარა აზიური ტურნე (რომელიც ჯერ არ დაუსრულებია) - მან ტოკიოს ტურნირის მოგებით არამარტო პროგრამა-მინიმუმი, არამედ გუშინ პროგრამა-მაქსიმუმი შეასრულა - ჩინეთის ღია პირველობის მეოთხედფინალში გავიდა, რისი წყალობითაც ორშაბათიდან სათავეში ჩაუდგება WTA-ის კლასიფიკაციას.

სულ ორი მატჩის მოგება სჭირდებოდა დანიელს იმისთვის, რომ ისტორიაში მეოცე პირველი ჩოგანი გამხდარიყო. ვოზნიაცკიმ ძალიან იოლად შეასრულა ეს ამოცანა. მართალია, მას ესტონელ **კაია კანეპისთან** შეხვედრამ არ მოუწია, მაგრამ როგორც გუშინ ვწერდით, მერვედფინალში მეტოქედ ჩეხი **პეტრა კვიტოვა** ერგო, რომელსაც უიმბლონზე მხოლოდ ორი გეიმი მოუგო. თუმცა მას შემდეგ კვიტოვას ღირებული არაფერი უჩვენებია და მართალია, იმუქრებოდა - კაროლინის რეიტინგში გალიდერებას გადავდებო, გუშინ სრულიად უმწეო ჩანდა მსოფლიოს ახალი პირველი ჩოგნის წინააღმდეგ. დანიელმა მისთვის არადამახასიათებელი ბევრი შეცდომა დაუშვა, მაგრამ გარეგნულად სრულიად აუღელვებელი ჩანდა და საბოლოოდ ორ სეტში გაიფორმა კომფორტული გამარჯვება. პირველ პარტიაში ჩეხმა ორი ბრეიკი გააკეთა, მაგრამ მაინც წააგო - 3:6. მეორეში კი გონს მოსვლა ვერ მოასწრო, როცა ანგარიშში უკვე 0:4 იყო.

მაშ ასე, კაროლინ ვოზნიაცკი ოფიციალურად გახდება პირველი ჩოგანი **შტეფი გრაფის** (377 კვირა უმაღლეს საფეხურზე), **მარტინა ნავრატილოვას** (332), **კრის ევერტის** (260), **მარტინა ჰინგისის** (209), **მონიკა სელეშის** (178), **სერენა უილიამსის** (123), **ჟუსტინ ანენის** (117), **ლინდსი დავენპორტის** (98), **ამელი მორესმოს** (39), **დინარა საფინას** (26), **ტრეისი ოსტინის** (21), **კიმ კლაისტერსის** (19), **ელენა იანკოვიჩის** (18), **ჯენიფერ კაპრიატის** (17), **მარია შარაპოვას** (17), **არანჩა სანჩეს-ვიკარიოს** (12), **ანა ივანოვიჩის** (12), **ვენუს უილიამსისა** (11) და **ივონ გულაგონგის** (2) შემდეგ.

ვოზნიაცკის მეოთხედფინალში ანა ივანოვიჩთან მოუწევს შეხვედრა, რომელმაც, როგორც იქნა, უმაღლესი დონის თამაში აჩვენა და ორ ტაი-ბრეიკზე მოუგო **ელენა დემენტიევას**. პირველ სეტში სერბს შეეძლო მშვიდად მიეყვანა საქმე გამარჯვებამდე - რუსის სასტარტო ბრეიკის შემდეგ ანამ ზედიზედ ოთხი გეიმი აიღო, მაგრამ შემდეგ ერთი თავისი მოწოდება წააგო, 5:3-ზე კი სეტბოლები ვერ გამოიყენა და სეტზე ვერ მოაწოდა. საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა, რომელშიც 2:2-ზე დემენტიევამ ზედიზედ ხუთი გათამაშება და მასთან ერთად სეტი წააგო.

მეორე პარტიის მეცხრე გეიმში ელენამ პირველი ბრეიკ-პოინტი მოიპოვა სეტში, რომელიც ავტომატურად გახდა სეტბოლი, მაგრამ ანამ მეორე მოწოდებაზე მოიგერია საფრთხე. ისევ ტაი-ბრეიკი და ისევ სერბის დამაჯერებელი თამაში - 7:4.

**WTA**

**China Open**

პეკინი (ჩინეთი). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 4 500 000 დოლარი

**1/8 ფინალი**

**ნა ლი (ჩინ, 9)**-ანჟელიკ კერბერი (გერ) 6:2, 6:0; **ანასტასია სევასტოვა (ლატ)**-ნადია პეტროვა (რუს, 13) პეტროვას უარი; **ანა ივანოვიჩი (სერ)**-ელენა დემენტიევა (რუს, 7) 7:6, 7:6; **კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 1)**-პეტრა კვიტოვა (ჩეხ) 6:3, 6:3.

**1/4 ფინალი**

ვოზნიაცკი (1)-ივანოვიჩი; პეერი (15)-ბაშჩინსკი; ნა ლი (9)-სავასტოვა; სკიავონე (5)-ზვონარევა (2).



ისინი დოჰაში მიდიან

# კიდევ ორი გაირკვა

გაირკვა წლის შემაჯამებელი ტურნირის კიდევ ორი მონაწილე. 26-31 ოქტომბერს დოჰაში თამაშის უფლება მოიპოვეს ავსტრალიელმა **სამანტა სტოსურმა** და იტალიელმა **ფრანჩესკა სკიავონემ** - წერს WTA-ის ოფიციალური ვებგვერდი. უფრო ადრე სეზონის მთავარ ტურნირზე გამოსვლა გაინაღდეს - დანიელმა **კაროლინ ვოზნიაცკიმ**, რუსმა **ვერა ზვონარევამ**, ამერიკელმა **სერენა უილიამსმა** და ბელგიელმა **კიმ კლაისტერსმა**.

წლევანდელ სეზონში სამანტა გახდა პირველი ავსტრალიელი **ვენდი ტეორნბულის** შემდეგ (1980 წელი), რომელმაც „დიდი სლემის" ტურნირის ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. სტოსურმა როლან გაროსის გადამწყვეტ მატჩში ითამაშა, სადაც სწორედ სკიავონესთან წააგო. ასევე წელს მან მეორე ტიტული მოიპოვა კარიერაში - გაიმარჯვა ამერიკული ჩარსლტონის პრესტიჟულ ტურნირში.

რაც შეეხება სკიავონეს, მიმდინარე სეზონში როლან გაროსის მოგებით ის გახდა პირველი იტალიელი ისტორიაში, ვინც „დიდი სლემის" ტურნირზე გაიმარჯვა. პარიზულ კორტებზე ტრიუმფამდე ფრანჩესკამ ბარსელონაში მოიპოვა მთავარი პრიზი. წელს 30 წლის ჩოგბურთელმა პირველად შეაღწია WTA-ის რეიტინგის პირველ ათეულში.

# ვენუსმა სეზონი დაასრულა, კარიერაც?

ამერიკელმა **ვენუს უილიამსმა** ნაადრევად დაასრულა 2010 წლის სეზონი. ამის მიზეზი მუხლის ტრავმაა, რომელიც უკვე დიდი ხანია აწუხებს უფროს უილიამსს. ამის შესახებ თავად ვენუსმა მოუყვა ჟურნალისტებს.

თავის ოფიციალურ განცხადებაში „დიდი სლემის" ტურნირების შვიდგზის ჩემპიონმა აღნიშნა, რომ მისთვის რთული იყო ამ გადაწყვეტილების მიღება. ის იმედგაცრუებულია იმის გამო, რომ მონაწილეობას ვერ მიიღებს ოქტომბრის ტურნირებსა და ფედერაციის თასის ფინალში.

*„დღემდე გავდივარ მკურნალობისა და თერაპიის კურსს ჩემს ტრავმირებულ მუხლზე. მკურნალობა წარმატებით მიმდინარეობს, გარკვეული პროგრესიც არის, მაგრამ რეციდივის თავიდან ასაცილებლად ბოლომდე უნდა გავიარო აღდგენითი ციკლი. ვფიქრობ, ასი პროცენტით ვიქნები მზად 2011 წლის სეზონის სტარტისთვის"*, - ამბობს ვენუსი, რომელსაც ამერიკის ღია პირველობის ნახევარფინალის შემდეგ არ უთამაშია, სადაც მან მომავალ ჩემპიონ **კიმ კლაისტერსთან** წააგო.

ვენუსისა და სერენასთვის აუცილებელია ფედერაციის თასზე თამაში - მათ ამ ტურნირზე ორი მატჩი მაინც უნდა ჩაატარონ იმისთვის, რომ ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადაზე გამოსვლის უფლება მიიღონ.

წელს ვენუს უილიამსმა ორი ტიტული მოიგო - თებერვალში დუბაისა და აკაპულკოს ტურნირებზე გაიმარჯვა, ხოლო სერენასთან ერთად წყვილებში ავსტრალიის ღია და როლან გაროსი მოიგო. ამ სეზონში მისმა მონაგარმა 2 614 782 დოლარი შეადგინა.

P.S. მოგვიანებით იტალიურმა გაზეთმა „კორიერე დელო სპორტმა" ვენუსის უახლოესი მეგობრების ინფორმაციაზე დაყრდნობით განაცხადა, რომ დღეს უილიამსი სპეციალურ პრესკონფერენციას მოიწვევს, რომელზეც ჩოგბურთიდან წასვლის შესახებ ოფიციალურ განცხადებას გააკეთებს.

იტალიელი ჟურნალისტები ასახელებენ დიდი სპორტიდან წასვლის სავარაუდო მიზეზებს: *„მას მარცხენა მუხლი აწუხებს, თან დაიღალა, აღარ აქვს კორტზე გასვლის მოტივაცია. ახლა 30 წლის ვენუსის მთავარი ინტერესებია - მოდა, კოსტუმები და ჩვენებები"*.

რა გადაწყვეტილებაც არ უნდა მიიღოს ვენუსმა, მას ყოველთვის მოიხსენიებენ ყველა დროის ერთ-ერთი უძლიერეს ქალ ჩოგბურთელად. უფროსი უილიამსის ანგარიშზეა „დიდი სლემის" 21 ტიტული (7 - ერთეულებში, 12 - წყვილებში, 2 - მიქსტში). სულ მას WTA-ის 43 ტურნირი აქვს მოგებული. ამ მომენტისთვის ის ერთადერთი ჩოგბურთელია მსოფლიოში, რომელიც სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი გახლავთ.

# ახალი რომანი იწყება?

სულ მალე, შესაძლოა, ახალი საჩოგბურთო რომანის მოწმენი გავხდეთ. ლაპარაკია მსოფლიოს ახალ პირველ ჩოგანზე, დანიელ **კაროლინ ვოზნიაცკისა** და ესპანელ **ფერნანდო ვერდასკოზე**.

რას ეფუძნება ეს ვარაუდი? პირველ რიგში იმას, რომ ეს ახალგაზრდა წყვილი სულ უფრო ხშირად ჩნდება საზოგადოების წინაშე - ფოტოაპარატების ობიექტივები მუდმივად „იჭერენ" ერთად ფერნანდოსა და კაროლინს.

ამ კვირასაც წყვილმა ჟურნალისტებს ჭორაობის საბაბი მისცა. ვერდასკო და ვოზნიაცკი პეკინში იმყოფებიან - დანიელი აგრძელებს ჩინეთის ღია პირველობაზე გამოსვლას, ესპანელი კი გამოეთიშა ტურნირს, მაგრამ ჩინეთიდან არ გაემგზავრა და ვოზნიაცკის მატჩს დაესწრო, თანაც მხურვალედ გულშემატკივრობდა კაროლინს. ამის შემდეგ წყვილმა ერთად გაატარა დრო წვეულებაზე, რომელიც სპეციალურად მოთამაშეებისთვის იყო მოწყობილი.



ფერნანდო და კაროლინი ერთად არიან



რაფა და როჯერი

# რაფას როჯერისა სჯერა

მსოფლიოს პირველი ჩოგანი **რაფაელ ნადალი** კვლავინდებურად მიიჩნევს **როჯერ ფედერერს** თავის მთავარ კონკურენტად, აგრეთვე ნებისმიერი ტურნირის ფავორიტად, რომელშიც შვეიცარიელი მიიღებს მონაწილეობას.

*„სულაც არ მგონია, რომ ეს წელი როჯერისთვის წარუმატებელი იყო,* - აღნიშნა ესპანელმა ჩოგბურთელმა. - *მიმდინარე სეზონში მან მოიგო ავსტრალიის ღია პირველობა და მასტერსის ტურნირი ცინცინატიში. გარდა ამისა, მადრიდისა და ტორონტოს მასტერსების ფინალამდე მიაღწია. შეუძლებელია ზედიზედ ყველა ტურნირის მოგება. უბრალოდ წარმოუდგენელია იმ შედეგების გამეორება, რომელსაც ფედერერი ბოლო 7-8 წლის განმავლობაში აჩვენებს. ეს დაუჯერებელი მიღწევაა!"*

შეგახსენებთ, რომ რაფაელს ჯერ კიდევ ბევრი აშორებს შვეიცარიელის რეკორდამდე, რომელიც „დიდი სლემის" 16 ტურნირის მოგებას ითვლის. დღეისთვის ნადალის ანგარიშზე ცხრა ასეთი ტიტულია.

კითხვაზე, დაიწყებს თუ არა კვლავ როჯერი პრესტიჟული ტურნირების მოგებას, ესპანელმა დარწმუნებით განაცხადა, რომ ეჭვი არ ეპარება ფედერერის შესაძლებლობებში.

*„რა თქმა უნდა, როჯერი მომავალ სეზონში ყველა ღონეს იხმარს იმისთვის, რომ შეავსოს თავისი პრიზების კოლექცია და ისევ მოიგოს „დიდი სლემის" ტურნირები. ამ მომენტისთვის ის მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელთა სამეულში შედის, მისი თამაშის დონე კვლავინდებურად მაღალია, ამიტომაც ვერ ვხედავ მიზეზს, რატომ ვერ უნდა შეძლოს მან უიმბლდონის, ამერიკის ღია პირველობის ან ნებისმიერი სხვა ტურნირის მოგება.*

*დარწმუნებით შემიძლია იმის თქმა, რომ რთულია მწვერვალზე დიდი ხანი ყოფნა. საჭიროა მუდმივად უმაღლესი დონის თამაში და მუდმივი პროგრესი. ის, რაც როჯერმა გააკეთა, ძალიან რთულია"*, - ამბობს ნადალი.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**